ომარ ცხვარაძე

# ოსკარი

/ცოდნა, რომლის შესახებ
დუმდნენ საუკუნენი/

ომარ ცხვარაძე

საქართველოს მწერალთა,
მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა
აკადემია „ქალდეა“

# ოსკარი

/ცოდნა, რომლის შესახებ
დუმდნენ საუკუნენი/

გამომცემლობა შპს „თეკა&კომპანია“
თბილისი
2013

რედაქტორი **ვაჟა ეგრისელი,**

*პოეტი-აკადემიკოსი*

ISBN 978-9941-0-6042-7

## წინასიტყვაობის მაგიერ

*დაახლოებით ორმოცი საუკუნეა, რაც დედამიწა ცხრაათასწლიანი ნათელ ზონაში მოძრაობის შემდგომ შევიდა ოთხიათასწლიან მოძრაობის ბნელ, სისასტიკით მოცულ სამოძრაო სივრცეში. სწორედ ეს სივრცე და პერიოდი გახლავთ კაცობრიობის ცხოვრების უმძიმესი ხანა. ამ ისტორიულ პერიოდში კაცობრიობამ გადაიტანა მრავალი უსამართლო ომი, სისხლისღვრა, უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა და მრავალი უბედურება. დიახ, დამთავრდა ეს ოთხიათასწლიანი ცხოვრების ტანჯვის პერიოდი 2012 წლის 21 დეკემბერს და დედამიწა შევიდა ახალ, ცხრაათასწლიან ნათელში მოძრაობის პერიოდში, ხოლო ამის შემდეგ ყველაფერი ისევ განმეორდება. მეორე* ***პეტრესი*** *თ3-8. „არც ეს უნდა იყოს თქვენთვის დაფარული საყვარელნო, რომ ერთი დღე უფლისათვის, როგორც ათასი წელი, და ათასი წელი, როგორც ერთი დღე“. ამიტომაა ბიბლიაში ნათქვამი „ლაზარე“ ოთხი დღის მკვდარია. ...*

*კაცობრიობამ ამ პერიოდში გადაიხადა მრავალი უსასტიკესი ომები; რადგან ხალხმრავალი ქვეყნები, სხვა ერებზე წართმეული ქონებით გამდიდრებულნი ცდილობდნენ დაეპყროთ მთელი მსოფლიო და ემართათ კაცობრიობა; როგორც ეს დღეს ხდება... მაშინ როდესაც მსოფლიოს ერთადერთი მბრძანებელი და მმართველია, სამყაროს შემოქმედი უფალი ღმერთი. ამდენად დედამიწაზე მსოფლიოს ერთმართველი ვერცერთი სახელმწიფო, ქვეყანა ვერ გახდება და პირიქით ისინი შეეწირებიან ამ უფალი ღმერთის ნების საწინააღმდეგო სურვილებს. რადგან ვიცით; რომ განვლილ ისტორიულ პერიოდში შეიქმნა მრავალი იმპერიები, მაგრამ შემდგომში ისინი დაინგრენ და განადგურდნენ, როგორც ბაბილონი, ...*

მათი მხოლოდ სახელები და ნანგრევები შემორჩა დღემდე. ... ასევე დაემართება ყოველ იმ ქვეყნას, რომლებიც უფალი ღმერთის ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ დღესაც. წინასწარ იცოდნენ, რომ ეს გახლავთ მათი წინასწარი გაფრთხილება უფალ ღმერთის მიერ.

უნდა ვიცოდეთ, რომ სამყაროს შემოქმედმა, მისი მოძრაობის მომწესრიგებელმა და ამ მარადიული, მოწესრიგებული მოძრაობის მაკონტროლებელმა უფალმა ღმერთმა კარგად იცის, რომ დედამიწაზე არსებულმა ბოროტმა ძალებმა საფრთხე შეუქმნეს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას და სისტემატურად იმუქრებიან საკუთარ ნებაზე წარმართონ სამყაროს მოწესრიგებული მოძრაობა; გადააქციონ ის ქაოსურ მოუწესრიგებელ მოძრაობად. სწორედ ამიტომ არის განრისხებული უფალი ღმერთი და ყოველ მომდევნო დღეს უნდა ველოდეთ ყოველი ასეთი ბოროტი ძალების, ქვეყნების, იმპერიების, ხალხმრავალი ქვეყნების განადგურებას, რადგან მათ საფრთხე შეუქმნეს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას და ცდილობენ სამყაროს მოწესრიგებული მოძრაობის უწესრიგო მოძრაობაში გადაყვანას. მოკლედ რომ ვთქვათ საფრთხე დაემუქრა უფალი ღმერთის მიერ შექმნილ მთელ სამყაროს. ... სწორედ, ჩვენდა საუბედუროდ ეს მდგომარეობაა დღევანდელ მსოფლიოში.

ვიცით, რომ ორიათასი წლის წინათ ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ წელს მოხდა დედამიწაზე იესო ქრისტეს ზეციური ღვთიური ცოდნის გამოცხადება და მან თავი გაწირა, რომ ეხსნა კაცობრიობა განსაცდელისგან, კატასტროფისგან, განადგურებისაგან. სახარება იოანესი თ11-6 „და როცა გაიგო ავად არისო, (ლაზარე) ორი დღე კიდევ დარჩა იმ ადგილას, სადაც იყო“. 11-11. „ეს თქვა და ამის შემდეგ უთხრა მათ: ლაზარემ, ჩემმა მეგობარმა მიიძინა; მაგრამ მივალ და გავაღვიძებ მას“. ... დიახ, ორი დღე ეს ხომ ორი ათასი წელია, სწორედ ორიათას წელს დაპირებისამებრ იესო ქრისტე კვლავ გამოცხადდა ამჯერად ხელმეორედ და მან აღადგინა, გამოაღვიძა „ლაზარე“ ანუ იგივე ქართული ენა, რომელიც ოთხი დღის მკვდარი ანუ ოთხიათასი წელია,

რომ მიძინებულია და ის თავის ზეციურ ღვთიურ ფუნქციას ვერ ასრულებს, სწორედ კაცობრიობა იმყოფებოდა ბნელ, ბოროტებით მოცულ სივრცეში და უმოწყალოდ იტანჯებოდა დედამიწაზე ადამიანთა დიდი უმრავლესობა.

დამთავრდა ეს ბნელი, საიდუმლოებით მოცული დრო, საბურველი ჩამოხსნა ძველსა და ახალ აღთქმას და ხილული გახდა დედამიწის შესვლა ახალ ნათელ მოძრაობის სივრცეში. ამიტომ ადამიანთა აზროვნება ხდება სულ სხვანაირი, კეთილგანწყობილი, სიმართლისა და სამართლის მაძიებელი, ზეციური ცოდნით მოქმედი და იწყება ცხოვრების ახალი ერა, ერა ბრწყინვალე ცხოვრებისა. ... მაგრამ დედამიწაზე იმდენად მრავალია ბოროტება, ულმერთოება, ურწმუნოება და ურთიერთ სიძულვილი, რომ ამ მდგომარეობაში მომავალი ბედნიერი ცხოვრება შეუძლებელია.

როგორ შეიძლება ბოროტეულთა და კეთილ ადამიანთა ერთად ცხოვრება, ანუ „კოჰაბიტაცია“ მოხდეს და მათ შორის ურთიერთ შეთანხმებული თანაცხოვრება; როდესაც ილია ჭავჭავაძე გვასწავლის „მდიდარსა და ღარიბს შორის სიყვარული სიზმარია, მათ შორის ხიდია ჩატეხილი“ ყოველივე ის რაც სადღეისოდ ხდება ეს იმიტომ, რომ როგორც ჩანს სადღეისოდ კაცობრიობა ჯერ კიდევ არ არის აღბეჭდილი უფალი ღმერთის ანგელოზის მიერ, მათ შუბლსა და მარჯვენა ხელის ცერა თითზე, თუ ვინაა ბოროტი და ვინ კეთილი. და თუ აღბეჭდილია, უფალი ღმერთი აყოვნებს რისხვას იმიტომ, რომ იქნებ ბოროტეულთაგან ვინმე დაუბრუნდეს კეთილსინდისიერ ცხოვრებას, რომ გადარჩეს და გადაარჩინოს მისი შთამომავლობა და მომავალი. ამისათვის მან გირაო უნდა დაუბრუნოს სამშობლოს და მის მოყვასს, ვისაც მან ის ბოროტებით, ძალადობით წაართვა, მოინანიოს ყოველი ჩადენილი ცოდვა და იცხოვროს სიმართლით და სამართლით, რადგან ჩვენ ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები, ანუ მართლის მადიდებელი.

ამდენად უნდა ვიცოდეთ, რომ ქვეყნის გაჩენიდან, როდესაც უფალმა ღმერთმა შექმნა ადამიანი, ანუ ადამი, რადგან ადამი ყველა ენაზე მოიხსენება როგორც ადამი, მაგრამ

როგორც ადამიანი ანუ ადამის შთამომავალი ამ გაგებით არცერთ ენაზე არ მოიხსენება. უფალმა ღმერთმა თავისი ნების აღსასრულებლად შექმნა ქანაანელები; დედამიწის ქანის და ანის, ცეცხლის ქვეყანა. ის ხომ ქვეყნის გაჩენიდან დღემდე მოვიდა უფალი ღმერთის ნებით და იარსებებს სამარადჟამოდ; რომ ადიდონ უფალი ღმერთი, მისი შემოქმედება და აღასრულონ მისი ნება; სურს თუ არა ეს ვინმეს, ამას მნიშვნელობა არ აქვს. დედამიწაზე უფალი ღმერთის კარნახით და უშუალო მოქმედებით, მისი ნება აღსრულდება პირველად საქართველოში და შემდგომ გავრცელდება ის მთელ მსოფლიოში. ...

ვიცით კაცობრიობამ, თავისი არსებობის პერიოდში გამოიარა, ქვეყნის მმართვის მრავალი სახის სისტემა და მათ შორის თითქმის ყველა მიუღებელი და უვარგისი იყო; ამიტომაც იცვლებოდა ის ახალი სისტემით. ჩვენმა თაობამ გამოვიარეთ სოციალისტური სისტემა, და ამჟამად ვცხოვრობთ უფრო უარეს კაპიტალისტურ სისტემაში. ამიტომ ქვეყნის მართვის ეს მიუღებელი, უსასტიკესი სისტემა უნდა შეიცვალოს ახალი უმჯობესი მართვის სისტემით; რომელიც აღწერილია წიგნ „ოსკარში“. წიგნის სახელწოდება „ოსკარი“ მიანიშნებს, რომ „ოს“ კარია, ე.ი. „ოს“ ცნება, ანუ ოცნება, ცოდნა – „ოს“ შესახებ. გახსნი წიგნს და შედიხარ ზეციურ ღვთიურ ცოდნაში. ამდენად გთხოვთ წაიკითხოთ წიგნი ძალიან დაკვირვებით და თუ რაიმე წინადადება გექნებათ, თანახმა ვარ ვისაუბროთ, რომ დავადგინოთ ვინ ვართ მართალი და სიმართლე ორივემ გავიზიაროთ, რადგან ყოველივე ეს ჩვენს ერს, სამშობლოს, შთამომავლობას გამოადგება მომავალ ცხოვრებაში. ...

**ომარ ცხვარაძე**

# თავი პირველი

ქართველები, რომ ღმერთების ღმერთის, ისრაელის ღმერთის კუთვნილი ერია; ქართული ენა რომ ღმერთის ენაა და მის მიერაა დაფუძნებული საქართველოში; კურთხეულია მის მიერ; დედამიწაზე ამ ენით მეტყველებ-და ყოველი ერი, რომელიც შემდგომში თვით უფალმა ღმერთმა აურია ენები, რადგან ეს საჭირო გახდა. დამწერ-ლობის ქართული ასო ნიშნები, ბგერები თვით უფალი ღმერთის ნაბოძებია ქართველებისთვის; ასევე ტერიტო-რია სადაც ცხოვრობდნენ ქანაანელები, იბერიელები, კოლ-ხები, შემდგომში ქართველები, დაკანონებულია თვით უფალი ღმერთის მიერ; კურთხეული და დალოცვილია მის მიერ. ... ეს ყველაფერი თითქოს ვიცოდი ახალგაზრ-დობიდანვე შინაგანი შეგრძნებით, მაგრამ სათანადო მტკი-ცებულებების გარეშე, საუბარი და მსჯელობა არ შემეძ-ლო.

სკოლიდანვე ვეძებდი წმიდა წიგნს ბიბლიას წასა-კითხად, მაგრამ ვერსად ვიშოვნე. რა თქმა უნდა ვეძებდი სადაც მივწვდებოდი ბიბლიოთეკებში, ყოფილი თავად, აზნაურთა ოჯახებში, მაგრამ ვერსად მოვახერხე მისი შოვნა.

გავიდა წლები და 1989 წელს საქართველოს საპატრი-არქომ გამოსცა ბიბლია, რომელიც შევიძინე და მაშინვე დავიწყე კითხვა, თუმცა ამ დრომდე კარგად ვსწავლობდი საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიას, გეოგრაფიას, ხელოვნებას, გენიოს მოღვაწეებს, მათ ნაამბობსა და გად-

მოცემულ სიბრძნეს. ამ მხრივ ძალზე დამეხმარა ბატონ აკაკი გელოვანის წიგნი „მარად ცოცხალი ხელოვნება“.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე აღმეძრა სურვილი შემეცნო თუ რა ხდებოდა რეალურად დედამიწაზე, სამყაროში და საერთოდ ჩვენს ცხოვრებაში, რა ხდება სადღეისოდ და რა მოხდება უახლოეს მომავალში. ...

ამ გონივრულმა გადაწყვეტილებამ მიმიყვანა იმ რეალურ ცოდნამდე, რომ შემემეცნა ბიბლიაში აღწერილი, უფალი ღმერთის წინასწარმეტყველთა ნაამბობიდან შეძლებისდაგვარად ყველაფერი. ამომეხსნა ყოველი იდუმალი და მიმეღო ჩემთვის ცხოვრების გზად. რა თქმა უნდა წინასწარმეტყველთა ნათქვამიდან ბევრი რამ უკვე მოხდა, მაგრამ ზოგიერთი ჯერ კიდევ მოსალოდნელია მოხდეს ახლო მომავალში. ამდენად ძალზე საინტერესო და მიმზიდველი გახდა მუშაობა წიგნ ბიბლიის შესასწავლად.

ყოველივე ამან დამარწმუნდა, რომ რეალურად ახდა წინასწართქმული წარსულში; ყველაფერი ხდება ჩვენს თვალწინ დღევანდელ დღეს. დავრწმუნდი, რომ რაც ნათქვამია, უნდა მოხდეს უახლოეს მომავალში უეჭველად ახდება. მოსალოდნელია დიდი უბედურებანი და ჩემი სურვილია, წინასწარ გაცნობოთ ჭეშმარიტება, რაც უნდა მოხდეს უახლოეს მომავალში და ამით რაც შეიძლება მეტი ადამიანი, თანამოძმე, მოყვასი გადავარჩინო მოსალოდნელ უბედურებებს.

ცნობილია, რომ თავისთავად არაფერი არ შეიქმნება, მოწესრიგდება, არ იმოძრავებს გარკვეული ენერგიის მიწოდების გარეშე. გარკვეული დროს შემდეგ აუცილებელი არ გახდეს რაიმე ცვლილებები ამ მოწესრიგებული მოძრაობათა შესანარჩუნებლად; რომ წესრიგი არ დაირ-

ღვეს და მოძრაობა უწესრიგო, ქაოსური საზიანო სიცოცხლის პირობებისთვის არ გახდეს. ყოველივე ამის შესანარჩუნებლად აუცილებელია წინასწარ ყოველგვარი ქაოსური მოძრაობათა მომწესრიგებელი, სამოძრაო ენერგიათა მიმწოდებელი და ყოველგვარი მოძრაობის კონტროლი, ანუ მაკონტროლებელი ძალა. ასე, მაგალითად: თუ დედამიწა ოდნავ მაინც ააჩქარებს მოძრაობას ის თვით დედამიწაზე მრავალ პრობლემებს გამოიწვევს და ამიტომ აუცილებელია ეს ბრუნვის აჩქარება მოყვანილი იქნას საჭირო პარამეტრებში, რომ მოიხსნას წარმოქმნილი პრობლემები; ასევე ხდება ტემპერატურის აწევის ან დაწევის დროს, ჟანგბადის, სინესტის მისაღები ნორმების შენარჩუნება და სხვა მრავალი ფაქტორთა რეგულირება.

სწორედ ამ პრობლემათა მომგავრებლად ადამიანებმა აღიარეს უფალი ღმერთი, ეთაყვანეს მას და ლოცულობდნენ მისი ხატის მიმართ.

მზე, დედამიწა, მთვარე და თითქმის ყოველი პლანეტა მრგვალი ფორმისაა, სფეროსებურია, ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო, მათ შორის ზოგიერთი ამავე დროს მოძრაობს რომელიმე პლანეტის გარშემო, ჩვენს შემთხვევაში დედამიწა ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო და მოძრაობს მზის გარშემო ორბიტაზე. შემოწერს წრეს. აქედან გამომდინარე უფალი ღმერთის სწავლებით, ქართველი ხალხის წინაპრებმა შემოიღეს დამწერლობა, შექმნეს ასო-ნიშნები, სასაუბრო ბგერების მიხედვით. ასე თანდათან ყალიბდებოდა ქართული ენა დაყრდნობილი ბუნებრივ, რეალურ ჭეშმარიტებაზე და ღვთიურ ცოდნაზე. ყოველივე ეს საჭირო გახლდათ ადამიანებს მიეღოთ ღვთიური ცოდნა, ესწავლათ ღვთიური კანონები, ბრძანებები და დამორჩილებოდნენ მის ნებას, სწავლებას, ცოდ-

ნას. თუ ყოველივე ეს ზეპირსიტყვიერად გავრცელდებოდა, მაშინ მოსალოდნელი იყო მრავალი შეცდომების დაშვება, ეს კი დაუშვებელი იყო უფალი ღმერთისათვის. პირველი ასო-ნიშანი შემოღებული იქნა მრგვალი ო-ს ფორმით, რომელიც ფუნქციონირებდა მანამდე, სანამ ეს მრგვალი ო, არ გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა ენების დამწერლობებში. ამის შემდეგ შეცვალეს ქართველებმა და შემოიღეს ო-ს გონიოს ფორმა L, რაც მიანიშნებს გონება ო-ს შესახებ. შემდგომში შემოიღეს ის ფორმა, რომელსაც დღეს ვიყენებთ დამწერლობაში ო-ს სახით, თუ მას შევაბრუნებთ და ხაზს ზემოთ დავწერთ, მივიღებთ პ-ე ასო-ნიშანს და თუ გავაგრძელებთ, მივიღებთ ჰ-აე ნიშანს, რომელიც უსასრულობაში მიდის ზეცაში ღმერთამდე. თუ ჰორიზონტალურად დავწერთ, ვღებულობთ სპირალის ფორმას და ორივე მხარზე მიდის ასევე უსასრულობაში. ...

იმ ქვეყნებმა და ერებმა, რომლებმაც ქრისტიანული სარწმუნოება მიიღეს, იძულებულნი იყვნენ შეექმნათ საკუთარ ენაზე საჭირო დამწერლობა, ან მიეღოთ რომელიმე ქვეყნის უკვე შექმნილი დამწერლობა. დიახ, ასეთი ქვეყნები, ვინც შემოიღო საკუთარი დამწერლობები და აღიარეს უფალი ღმერთი, მისი კანონები, სწორედ ასეთი ქვეყნები გახლავთ დღევანდელ დღეს ყველაზე განვითარებული ყოველმხრივ, რა თქმა უნდა ქრისტიანული რწმენის ქვეყნები....

მრგვალი ო-დან ამოდის ქართული დამწერლობის ყველა ასო ნიშანი და აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის. ღვთიური ცოდნის გავრცელებისა და ადამიანთა რწმენის დამკვიდრებისათვის.

ო-ს შესახებ ბიბლია გვაწვდის უტყუარ ცნობებს, გავეცნოთ მათ შორის ზოგიერთს:

***ბარუქ. წინასწარ.:*** თ3-24, ო, ისრაელ, რა დიდია ღვთის სახლი, და რა ვრცელია ღვთის სამფლობელო!

25. დიდია იგი და არა აქვს დასასრული, მაღალია და განუზომელი.

26. იქ იშვნენ ბუმბერაზები, რომლებიც სახელოვანნი იყვნენ დასაბამიდან, ტანმაღალნი, მცოდნე ომისა. ...

27. მაგრამ ისინი არ გამოურჩევია ღმერთს და არც ცოდნის გზა მიუცია მათთვის,

28. დაიღუპნენ, რადგან არ ჰქონდათ სიბრძნე, დაიღუპნენ თავიანთი უგუნურებით.

29. ვინ ავიდა ზეცად, ვინ აიღო სიბრძნე და ჩამოიტანა ღრუბლებიდან?...

36. ეს არის ღმერთი ჩვენი და სხვა არ შეირაცხება მის წინაშე.

37. მან იპოვა ყველა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს, თავის მორჩილს, და ისრაელს, რომელიც შეიყვარა.

38. შემდგომ ამისა გამოჩნდა იგი დედამიწაზე და მიმოიქცეოდა ადამიანთა შორის.

4–1. ეს არის ღვთის ბრძანებათა წიგნი და რჯული, რომელიც საუკუნოდ იქნება. ყოველი მისი დამჭერი, იცხოვრებს, მისი მიმტოვებელი კი მოკვდება.

2. მოიქეც, იაკობ, და აიღე იგი და გაემართე მისი სინათლის ბრწყინვალებისკენ.

3. ნუ მისცემ სხვას დიდებას შენსას და ნურც შენს სარგებელს – უცხო ხალხს.

4. ნეტარნი ვართ, ისრაელ, რადგან ჩვენ ვიცით, რაც ესათნოება ღმერთს.

2–15. რათა გაიგოს მთელმა ქვეყანამ, რომ შენ ხარ

უფალი, ჩვენი ღმერთი და რომ შენი სახელი ეწოდება ისრაელსა და მის მოდგმას. ...

***მეოთხე მაკაბელთა:*** 7–7. ო, რჯულის თანხმიერო და ღვთიურო ცხოვრების ფილოსოფოსო! ...

7–10. ო, განსაცდელთა მძლეველო ბერიკაცო, ცეცხლზე უფრო გამძლე მოხუცო, ვნებათა დიდო მბრძანებელო, ელეაზარ! ...

7–15. ო, ნეტარო სიბერევ და პატიოსანო ჭაღარავ, რჯულიერო სიცოცხლევ, რომელიც სიკვდილის ჭეშმარიტმა ბეჭედმა სრულყო! ...

14–2. ო, მეფეებზე უმეფურესო გონებავ, თავისუფლებაზე უთავისუფლესო!

3. ო, წმიდა და უთანხმოესო კავშირო შვიდ ძმისა რჯულის გულისთვის!

4. შვიდ ყრმათაგან არც ერთს არ გამოუჩენია სიმხდალე და არ შედრეკილა სიკვდილის წინაშე,

5. არამედ ყველანი, თითქოსდა უკვდავებისთვის მოასპარეზენი, წამებით სიკვდილს ესწრაფოდნენ. ...

7. ო, ყოვლადწმიდაო, შეხმატკბილებულო ძმათა შვიდეულო! როგორც სამყაროს შესაქმისეული შვიდი დღე უვლის ფერხულს ღვთისმოსაობის გარშემო, ...

15–1. ო, ბავშვთა გონებავ, ვნებათა დამთრგუნველო! ო, რჯულო, შვილებზე მეტად სასურველო დედისათვის! ...

13. ო, მშობლიური სიყვარულის წმიდა ბუნებავ, გამომკვებელო ძუძუებო და დაუოკებელო დედობრივო გრძნობავ!

16–14. ო, დედავ, ღვთის მეომარო რჯულისათვის! ო, ბერდედავ, შენი სიმხნევით სძლიე მტარვალსაც კი და სიტყვით და საქმით მამაკაცზე ძლიერი გამოჩნდი! ...

აქ საუბარია ო-ს შესახებ ცოდნისა და ამ ცოდნის

ჭეშმარიტებაზე; გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის ორასი მეომარი დიდგორის ომში და სამასი არაგველების ბრძოლა ირანელების წინააღმდეგ. და მრავალი სხვა ფაქტები საქართველოს ისტორიიდან. ნუთუ არავის უკვირს, რომ დავით აღმაშენებლის ორასი მეომარი, სამასი არაგველი... ყველანი დაიხოცნენ, მათ ამის შესახებ წინასწარ იცოდნენ, რომ ამ ბრძოლაში გარდაიცვლებოდნენ; ტანის, ხორცის სიკვდილი გარდაუვალი იყო, მაგრამ თავგანწირვით იბრძოდნენ მტერთა წინააღმდეგ საკუთარი სულის, სამშობლოს, მოყვასის, შთამომავლობის გადასარჩენად. მაშინ როდესაც ყოველი მომაკვდავი, სიკვდილმისჯილი როგორ ცახცახებს შიშით სიკვდილის წინაშე. მაგრამ ეს გმირები, რომლებმაც კარგად იცოდნენ ო-ს შესახებ ღვთიური, ზეციური ცოდნა, რომ ხორცის, ტანის სიკვდილი საშინელება არ არის და სულის გადარჩენაა, მისი მარადიული სიცოცხლის მინიჭება, ეს უდიდესი ბედნიერებაა, ამიტომ იბრძოდნენ ისინი მტრის წინააღმდეგ ასე მედგრად და უშიშრად. ასე გადაარჩინეს საკუთარი სული, სამშობლო, მოყვასი, შთამომავლობა. ...

როგორც აღვნიშნეთ ძველ ქართულ დამწერლობაში „ო“ მრგვალი კვერცხის (სიცოცხლის საწყისი ფორმის) მსგავსად იწერებოდა და იწერება დაფაზე, ტყავზე, ქაღალდზე, დაპროექციებული სახით და გვაძლევს ნული საწყისის ფორმას, გამოისახება წრის ფორმით. ქართველები დათვლას ვიწყებთ ნული, ერთი, ორი... კავკასიონზე გვაქვს მწვერვალი თეთრნულდი. სწორედ ამ მიდამოებიდან იწყება დედამიწაზე ათვლა. ამ მიდამოებიდან გამოედინება დღევანდელი მდინარე რიონი, რომელსაც ადრე ფაზისი ეწოდებოდა ანუ პირველი, გვაქვს მდინარე იორი და ა.შ. ასე ავითვლით ნული, ფაზა ანუ ერთი, ი-ორი და ა.შ.

როგორც ვიცით კვერცხიდან იწყება ახალი სიცოცხ-ლე; როდესაც ფრინველი კვერცხს ბუდეში დებს, კვერცხს წვერი ზემოთ აქვს და ბოლო ქვემოთ; როდესაც ბარტყი უნდა გამოიჩეკოს, წიწილა ნისკარტს დაარტყამს კვერცხს შიგნიდან, ან დედა კრუხი გარედან დაარტყამს ნისკარტს კვერცხს, კვერცხის კანი ამოტყდება ზემოთ, ამოვა ბარტყი და დაიწყება ახალი სიცოცხლე, სწორედ ამ მდგომარეობაში კვერცხის გარსი გვაძლევს ა-ს ფორმას, რომელიც ჩვენ თვალით ვხედავთ. ეს გახლავთ ა-ს რეალური ფორმა. ისეთი ნივთები, საგნები ან მდებარეობა, რომელსაც რეალურად ვხედავთ და ჩვენს გარშემოა იწყება ა – ასო ნიშნით. აქაა, აქ დევს, ამისია, ამან გააკეთა, ამქვეყნიურია..., ხოლო თუ კვერცხი ქვემოდან გაიხსნა ან გაიჭრა, ამოტყდა წარმოიშობა ი – ასო ნიშანი.

ამიტომაა რომ ი, ანუ იდუმალი ასო ნიშნით ავსახავთ ისეთ საგანთა მდგომარეობას, რომელიც ნამდვილადაა, რეალურადაა, მაგრამ ჩვენ მას თვალით ვერ ვხედავთ. რა თქმა უნდა ბუდეში დადებულ კვერცხს ჩვენ ზემოდან დავცქერით და ვერ ვხედავთ მას ქვემოდან ბუდის ძირიდან და ამდენად ის გახსნილია რეალურად, მაგრამ მას ვერ ვხედავთ. ამიტომ გვაქვს სიტყვები იქ არის, იმისია, იმან გააკეთა, იქ დევს, იმქვეყნიურია... ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ი, რეალურთან ანუ იდუმალ რეალურთან, რომ ის ნამდვილად რეალურად არსებობს, მაგრამ მას ჩვენ რეალურად ვერ ვხედავთ; თუმცა თუ წარმოვიდგენთ მას ის რეალურია. ამდენად მივიღეთ ი – იდუმალი მაგრამ რეალური. ასევე გრძელდება ქართულ დამწერლობაში შემოღებული ყოველი ასო ნიშნის გაცოცხლება, მისი წარმოდგენის რეალურად აღიარება. ...

თუ ქართულ დამწერლობაში: ა, ი, ე, ო, უ, ხმოვანების

ერთის-მეორეთი შევცვლით ჩვენთვის საინტერესო სიტყვაში, ჩვენ მივიღებთ ჩვენთვის საინტერესო სიტყვის მთელ შინაარსს და გავიგებთ მის რეალურ მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ იდუმალება ჩადებული სიტყვაში ამ მეთოდის გამოყენებით გახდება რეალობა ამ სიტყვის მიმართ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანები ვიჯერებთ მხოლოდ და მხოლოდ იმ რეალობას, რასაც ვხედავთ. და არ ვიჯერებთ იმ რეალობას, რომელსაც ვერ ვხედავთ, ვამჩნევთ ან ხელით ვერ შევეხებით. ყოველივე ის რაც ჩვენთვის უცნობია, იდუმალია და ვერ ვხედავთ მას; აუცილებელია ავიმაღლოთ ჩვენი ცოდნა ისე რომ ჩვენთვის თითქმის ყოველი იდუმალი რეალობად აღვიქვათ, რომ ჩვენი გონიერება მიწვდეს იმ სიმაღლეებს, იმ ცოდნას, რომელიც ჩვენი არსებობისთვის, სამყაროს არსებობისთვის აუცილებლობითაა გამოწვეული და საჭირო.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ მატერიალისტური სოფლმხედველობა არაა საკმარისი სრულყოფილი ცოდნის მისაღებად, არამედ აუცილებელია იდეალისტური მსოფლმხედველობა შევისწავლოთ, შევიმეცნოთ და ის რეალური გავხადოთ როგორც ჩვენთვის, ასევე მოყვასისათვის. სწორედ ამ ცოდნის გაღრმავებას ეხება ეს ჩემი შრომა. და შრომიდან გამომდინარე გთხოვთ, ძალზე დაბეჯითებით წაიკითხოთ ეს წიგნი, რომ გახდეს თქვენთვის ყველაფერი გასაგები. ...

ქართული დამწერლობა რომ ყველა სხვა დამწერლობაზე ადრინდელია და ის უფალი ღმერთის უშუალო მითითებით, კარნახით, ღვთიური ცოდნითაა შექმნილი, ამის შესახებ ჩვენ ამ წიგნის კითხვისას თანდათან

დავრწმუნდებით; ამ მხრივ გამოვიყენოთ **იოანე ზოსიმეს** შრომა: **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“**.

დამარხულ არს ენაი ქართული
დღედმდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად,
რათა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
და ესე ენაი
მძინარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰრქვიან.
და ახალმა ნინომ მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამი და მართაი.
და მეგობრობაი
ამისთვის თქვა,
რამე თუ ყოველი საიდუმლო
ამასა ენასა შინა დამარხულ არს.
და ოთხი დღისა მკვდარი
ამისთვის თქვა დავით წინაწარმეტყველმან,
რამეთუ „ათასი წელი –
ვითარცა ერთი დღე“.
და სახარებასა შინა ქართულისა ხოლო, თავსა მათეისასა,
წილი ზის, რომელ ასოი არს,
და იტყვის ყოვლად
ოთხ ათასსა მარაგსა, –
და ესე არს ოთხი დღეი,
და ოთხისა დღისა მკვდარი,
ამისთვის მისთანვე დაფლული

სიკვდილითა ნათლიღებისა მისისაითა.
და ესე ენაი,
შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა,
მდაბალი და დაწუნებული –
მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა,
და სასწაულად ესე აქვს:
ას ოთხი წელი
უმეტესი სხვათა ენათა
ქრისტეს მოსვლითაგან ვიდრე დღესამომდე,
და ეს ყოველი, რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგითხარ,
ას ოთხი წელი ესე წელი,
და წილი ანბანისაი.

იოანე ზოსიმემ რომ ბრწყინვალედ იცის ბიბლია, უძველესი ღვთიური ცოდნა და მზადაა აღწეროს ჩვენს გასაგებად ქართული ენის დიდება, მისი ღვთიური წარმოშობა, რომ ამ ენით ეცნობებოდა ისრაელიანებს ყოველი ღვთიური ბრძანება, კანონები, წესები, სამართალი და სიმართლე, რომ დედამიწაზე ეცხოვრათ მშვიდად, წესრიგით, სამართლიანად ამისთვის იძლეოდა უფალი ღმერთი ბრძანებებს, კანონებს, რჯულის კანონს და სხვა მეტადსაჭირო შეგონებებს. ამიტომ მოავლინებდა მის წინასწარმეტყველთ, ღმერთის მსახურებს მღვდელთა, მოძღვართა სახით. თავის მხრივ უფალი ღმერთი ყველაფერს აკეთებდა ადამიანთა სიცოცხლისა და ცხოვრების მოსაწესრიგებლად, მის გასახანგრძლივებლად, რომ ადამიანებს შეემეცნათ ცოცხალი, მარად შემოქმედი უფალი ღმერთი და გაწეული დიდი შრომისთვის ელოცათ მის მიმართ და სამადლებელი შეეწირათ მისთვის. ყოველივე ამ ცოდნას

უფალი ღმერთი აძლევდა ქართველებს და შემდეგ ის ვრცელდებოდა მთელ დედამიწაზე; მაგრამ მაშინ ქრისტეს შობიდან პირველი ათასწლეულის დასასრულისა და მეორე ათასწლეულის დასაწყისში ამის დრო არ იყო, რადგან ყოველი წინასწარმეტყველთა ნათქვამს აქვს გარკვეული დრო და ამ დრომდე ვერავინ გახსნის იმ საიდუმლოს, რომელსაც ღმერთი ასაიდუმლოებს გარკვეულ დრომდე. მან რომ დაწეროს, ის რაც იცის, ის მოისპობა, რადგან შეეწინააღმდეგა უფალი ღმერთის ნებას. ამიტომაა იოანე ზოსიმე გვესაუბრება იმ იდუმალებაზე, რომელიც დღემდე უნდა ყოფილიყო გასაიდუმლოებული, ხოლო მინიშნებებით შეგვახსენებს, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ ყოველი იდუმალი ნათელი გახდება. და აი დადგა დრო, რომ ყოველივე ღვთიური ცოდნა თანდათან აგიხსნათ.

შესაძლებელია გავეცნოთ ***იოანეს სახარებას:*** თ11-1. იყო ავად ვინმე ლაზარე ბეთანიელი, მარიამისა და მართას, მისი დის სოფლელი.

2. ხოლო მარიამი იყო ის, ვინც ნელსაცხებელი სხცო უფალს და თავისი თმებით შეუმშრალა ფეხები, და ვისი ძმა ლაზარე ავად იყო.

აქ საუბარია, რომ ქართული ენა დავიწყებულია, დაწუნებულია, ავად არის იმიტომ, რომ მისი მთელი სიდიადე, ღირსება, მოქმედება, იდუმალებაში მოექცა და ის აღარავის აღარ ახსოვს, არავის სჭირდება, თუმცა დადგება დრო, ჟამი და ის მთელი თავისი შესაძლებლობით ამობრწყინდება იდუმალებიდან, იესო ქრისტეს ხელმეორედ მოსვლით. ამის შემდეგ ნათელი გახდება დედამიწაზე, რაც დღეს ჩვენთვის გაუგებარია თუ რატომ ხდება ამდენი უბედურება მთელ დედამიწაზე და მათ შორის საქართველოში სატანიზმის არსებობის პირობებში.

***მეორე პეტრესი:*** თ3-8. არც ეს უნდა იყოს დაფარული თქვენთვის, საყვარელნო, რომ ერთი დღე უფლისათვის, როგორც ათასი წელი, და ათასი წელი, როგორც ერთი დღე. ...

***იოანეს სახარება:*** თ11-3. დებმა კაცი გაუგზავნეს იესოს და შეუთვალეს: უფალო, აჰა, ვინც გიყვარს, ავად არის.

აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნათქვამია, „უფალო ვინც შენ გიყვარს“, აქ გასაიდუმლოებულია ხაზგასმით საყვარელი მოსწავლე, რომელსაც ხშირად ყურადღებას არ ვაქცევთ ამ მომენტში. ხოლო როდესაც ის შემდეგში შეგვხვდება უნდა მივხვდეთ, რომ საუბარია ლაზარეზე. რადგან იესოს ყველა მოსწავლე და ადამიანი უყვარს, მაგრამ ხაზგასმით მხოლოდ ლაზარეზეა საუბარი.

11-4. ეს რომ გაიგო, იესომ თქვა: ეს სნეულება სასიკვდილო არ არის, არამედ რათა იდიდოს ღმერთის ძე მისგან.

ლაზარეს, ანუ ქართული ენის სნეულება, მიძინება სასიკვდილო არ არის, ღმერთის წყალობით ის არ მოკვდება, რადგან შორეულ მომავალში ის აუცილებელი და საჭიროა, რომ მისი გაღვიძებით, მთელი სიცხადით ამეტყველებით იდიდოს უფალი ღმერთის ძემ იესო ქრისტემ ქვეყნად. მან უნდა ახსნას ჩამოფარებული საბურველი ყოველ იდუმალებას, დღემდე უცნობს.

11-5. უყვარდა იესოს მარიამი, მისი და და ლაზარე.

6. და როცა გაიგო, ავად არისო, ორი დღე კიდევ დარჩა იმ ადგილას, სადაც იყო.

ამ თითქოსდა ერთ სტრიქონში გადმოცემულია საიდუმლოთა უდიდესი ცოდნა. ვიცით რომ იესო ქრისტე გამოცხადდა პირველად ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ-

სავე წელს, ანუ იესო ქრისტეს დაბადებიდან დაიწყო ახალი წელთაღრიცხვა. იესო ქრისტე იქ სადაც იყო, ანუ საქართველოში, კიდევ დარჩა ორი დღე, ანუ ორიათასი წელი. და ამჟამად ჩვენი წელთაღრიცხვით ორიათას წელს მოხდა იესო ქრისტეს ხელმეორედ ზეციური ცოდნით გამოცხადება, მან გააღვიძა, გამოაფხიზლა ლაზარე, ანუ ქართული ენა; ეს უკვდავი ენა ამოქმედდა მთელი სიმძლავრით და ამ ენით დავიწყე ბიბლიური ჭეშმარიტების ახსნა და თქვენთან საუბარი. ...

კარგი იქნება თუ თვალს გადავავლებთ ევრიპიდეს, ბერძენ მწერლის ნაწარმოებს „მედეას ტრაგედიას“, რომელიც დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში დაიწერა, თუმცა ამ ნაწარმოებში აღწერილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით თვრამეტი საუკუნის წინანდელი რეალობა, მომხდარი საქართველოსა და ელინელ, ჯერ კიდევ ცოდნით ჩამორჩენილ ერში. ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ ელინელთა მეფის შვილი იაზონი გაგზავნეს კოლხეთში „ოქროს საწმისის“ ჩამოსატანად, აქ ოქროს საწმისში გასაიდუმლოებულია ის ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭირო ცოდნა, რომელიც არსებობს იმ დროისთვის კოლხეთში და არის ოქროს ხანის ცხოვრება; რომ წაეღო ეს ცოდნა იაზონს ამისთვის ჩამოვიდა კოლხეთის მეფე აიეტთან სტუმრად; როგორც ეხლა, ისევე მაშინ კოლხები გახლდათ გადაჭარბებით სტუმართმოყვარე ერი, რადგან თუ სტუმრის სტატუსით ჩამოვიდა ვინმე გადამთიელი, მას თან გადავყვებით, ის მტერია თუ მოყვარე, რადგან ქართველებმა ვერასოდეს ვერ ვისწავლეთ მტრის, მოყვარისაგან გარჩევა. ...

ჩამოდის იაზონი საქართველოში და სწავლობს: როგორ დაამუშაოს გამწევი ძალით, ხარებით მიწა, როგორ

დათესოს თესლი და როგორ მოიყვანოს მოსავალი, საჭირო საკვებისათვის... ამიტომ ელინელებმა ქართველებს უწოდეს „გეორგიანები“, რაც ნიშნავს პირველ მიწათმოქმედ ხალხს. იაზონი ეცნობა და სწავლობს თუ როგორ ამზადებენ ქართველები სამუშაო და საბრძოლველო იარაღს ლითონებისაგან, ამიტომ უწოდეს ქართველ ხალხს პირველი ლითონის მდნობელი „ხალიბები“. ... ხოლო, როდესაც იაზონმა გაიგო, რომ მეფე აიეტის ასული მედეა ფლობდა უდიდეს ცოდნას ადამიანთა მკურნალობის შესახებ. ის სხვადასხვა მცენარეებისაგან ამზადებდა წამლებს და ადამიანთა ათასამდე სხვადასხვა დაავადებებს მკურნალობდა, მან თავი შეაყვარა მედეას, რომ შეერთო ცოლად, რადგან ამდენი ცოდნის მიღებას და გამოყენებას ის ვერ შეძლებდა. როდესაც მედეა გაიტაცა იაზონმა და მედეამ მიატოვა კოლხეთი, მან მდევრები ამოხოცა თავისი მზაკრული გეგმის მიხედვით, ჩავიდა ელინელთა ქვეყანაში და ჩაიტანა ეს უაღრესად დიდი ცოდნა; ამის შემდეგ იწყება იაზონის ბოროტ განზრახვათა გამოვლინება: მედეას შეეძინა იაზონისაგან ორი ვაჟი და ამ პერიოდში მედეამ ასწავლა ელინელებს თუ როგორ დაემზადებიათ წამლები და როგორ ემკურნალათ ადამიანებისათვის, ამიტომ ელინელებმა მთელ ამ ცოდნას უწოდეს მედეას საპატივცემულოდ მედეას ცოდნა ანუ მედიცინა. ხოლო იმის შემდეგ რაც ყველაფერი მიიღო ელინელებმა უკვე მედეა აღარ ჭირდებოდათ და გადაწყვიტა იაზონმა შეერთო ელინელი მეუღლედ, კორინთელთა ასული ქალი. ყოველივე ამის შემდეგ მოტყვილებული, დამცირებული და გაუბედურებულ მედეამ შური იძია სადედოფლოდ მორთულ კორინთელთა ასულზე, მან გაუგზავნა თავისი შვილების ხელით კაბა საჩუქრად და

დედოფალი კაბის ჩაცმისთანავე მოკვდა. მედეამ შვილები წინასწარ გააფრთხილა, როდესაც კაბას გადაცემთ ჩასაცმელად დედოფალს, თქვენ გაიქეცით და სალოცავს შეაფარეთ თავი, რადგან იცოდა მედეამ, რომ სალოცავში მაშინდელი წეს-ჩვეულების თანახმად უდანაშაულო ბავშვებს არავინ შეეხებოდა. თუმცა კორინთელები შეცვივდნენ სალოცავში და ბავშვები დახოცეს. ამის შემდეგ გავიდა თითქმის ცამეტი საუკუნე და კორინთელებმა ეს ცოდვა, უდანაშაულო ბავშვების მკვლელების სახელი ვერ ჩამოიწმინდეს და ევრიპიდეს გადაუხადეს დიდძალი ფული, რომ დაეწერა წიგნი ამ ამბის შესახებ და ბავშვების მკვლელობა როგორმე მედეასათვის გადაებრალებინა; რაც მექრთამე, ცოდვებით სავსე ევრიპიდემ მოახერხა და შეცდომაში შეიყვანა კაცობრიობა, კოლხეთის სამეფოსა, მედეას, მისი ძმისა და მამის მიმართ. ასეთია რეალობა და არა ევრიპიდეს მიერ შეთითხნილი ნაწარმოები.

როდესაც ელინელებმა მიიღეს ცოდნა, რომ ეცხოვრათ, ოქროს ხანის ცხოვრებით და გაძლიერდნენ, კოლხეთს ანუ საქართველოს ისევე მოიქცნენ, როგორც მედეას. შემოიჭრნენ მოულოდნელად, მოტყვილებით კოლხეთში გადაწვეს მთლიანად ყველა კულტურული ძეგლები, გაანადგურეს განათლების კერები, დაიმორჩილეს საქართველო და აუკრძალეს ყოველგვარი წერა-კითხვა, მშობლიური ენა, ქართულის შემდგომი განვითარება, გამოყენება... ხოლო ელინელებმა მიითვისეს ყოველი ქართული ცოდნა და საკუთარ შექმნილად გამოაცხადეს. ამის შემდეგ ეწოდათ მათ ბერძნები, რადგან ისინი უკვე უფალი ღმერთის დაბერებული ძეები გახდნენ.

***ბიბლია: მეოთხე მაკაბელთა:*** 18-20. ო, სასტიკი იყო ის დღეები, როცა ელინთა სასტიკი მბრძანებელი ცეცხლს

ცეცხლზე უნთებდა შემზარავ ქვაბებს და გამძვინვარებულ ახალ-ახალ საწამებლისაკენ მიათრევდა აბრაამიანი ასულის შვიდ ყმაწვილს.

21. თვალის გუგებს უხვრეტდა მათ, ენას აძრობდა და მრავალგვარი სატანჯველით კლავდა.

22. მაგრამ ეწია მათ ღვთიური სამართალი და მიუზღო საკადრისი, წყეულ მბრძანებელს...

ამ და სხვა ადგილებში არის ბიბლიაში მინიშნებული ელინელთა და შემდგომში ბერძენთა ნაავკაცარი საქართველოს, ქართველი ხალხის, მისი რწმენის მიმართ...

***სახარება იოანესი:*** თ11-11. ეს თქვა და ამის შემდეგ უთხრა მათ: ლაზარემ, ჩემმა მეგობარმა, მიიძინა; მაგრამ მივალ და გავაღვიძებ მას.

12. ხოლო მისმა მოწაფეებმა თქვეს: უფალო, თუ მიიძინა, განიკურნება.

13. მაგრამ იესო მის სიკვდილს გულისხმობდა, მათ კი ეგონათ, რომ ძილით მიძინებისთვის იტყოდა ამას.

14. მაშინ იესომ გაკვირვებით უთხრა მათ: ლაზარე მოკვდა.

15. და მიხარია თქვენს გამო, რომ იქ არ ვიყავი, რათა ირწმუნოთ, მაგრამ მივიდეთ მასთან.

ნათქვამია „და მიხარია თქვენს გამო, რომ იქ არ ვიყავი“. რა თქმა უნდა, ქართველებს რომ არ მიეტოვებინათ უფალი ღმერთი, ღვთიური ცოდნა, იესო ქრისტე; ცხოვრების ოქროს ხანაში მყოფნი: განცხრომას, დროსტარებას, ქეიფსა და უაზროდ დროის კარგვას არ გადაყოლოდნენ; მაშინ ისინი იქნებოდნენ ღვთიურ ცოდნასთან ერთად და გააგრძელებდნენ ბედნიერ ცხოვრებას. მაგრამ უმადურები, უსინდისოები, ულმერთოები გახდნენ. ამიტომ მიატოვა ჩვენი წინაპრები უფალმა ღმერთმა და დასაჯა

მკაცრი რისხვით. მოუვლინა მტერი ელინელების სახით და ერთბაშად დაკარგეს ყოველგვარი ბედნიერება და მას შემდეგ ეწამება ასე სისტიკად, თუმცა უფალ ღმერთს მისი ერი არ მიუტოვებია მთლიანად და გარკვეულ განსაცდელისას, მისი ყოფნა არ ყოფნის მომენტში ყოველთვის გადაარჩენდა, დაეხმარებოდა მათ, და მათ შთამომავალთ. „მიხარია თქვენს გამო“ ამბობს იესო ქრისტე, რომ შეხედავთ რა მოხდება ამის შემდეგ გაგხდით მორწმუნე ხალხს და დაბრუნდებით უფალ ღმერთთან, რომელიც გაღიარებთ საკუთარ ერად და თვითონ, მისივე მძლეველი დაგმწყემსავთ მის სამწყმსოს. ...

16. უთხრა თომამ, ტყუპისცალად წოდებულმა, თანამოწაფეთ ჩვენც მივიდეთ, რათა მასთან ერთად მოვკვდეთ.

17. და როდესაც მივიდა იესო, ნახა, რომ ის უკვე ოთხი დღეა საფლავში იწვა.

18. ხოლო ბეთანია იერუსალიმის ახლოს იყო, თხუთმეტიოდე უტევანის მანძილზე.

ჩვენ ვიცით, რომ დაახლოებით თითქმის ამ მანძილზეა ბეთანია დაშორებული თბილისიდან. ...

19. და მრავალი იუდეველი მისულიყო მართასა და მარიამთან, რათა ენუგეშებინათ ძმაზე მგლოვიარენი.

20. მართამ რომ გაიგო, იესო მოდისო, გამოეგება მას; მარიამი კი სახლში იჯდა.

21. და უთხრა მართამ იესოს: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა.

22. მაგრამ ახლაც ვიცი: რაც უნდა თხოვო ღმერთს, მოგცემს შენი ღმერთი.

23. უთხრა მას იესომ: აღდგება შენი ძმა.

24. უთხრა მას მართამ: ვიცი, რომ აღდგება აღდგომისას უკანასკნელ დღეს.

25. უთხრა მას იესომ: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვისაც სწამს ჩემი, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს.

26. და ყველა ვინც ცოცხლობს ჩემში და ვისაც სწამს ჩემი, არ მოკვდება უკუნისამდე. გწამს ეს?

27. უთხრა მას დიახ, უფალო, მწამს, რომ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა, მომავალი ქვეყნად.

ნათქვამია, რომ „იესომ ნახა, რომ ლაზარე უკვე ოთხი დღეა საფლავში წევს“. რაც იმას გვამცნობს, უკვე ოთხი დღე ანუ ოთხი ათასი წელია; ლაზარე ანუ ქართული ენა მიძინებულია, მკვდარია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, იესო ქრისტეს პირველად გამოცხადებამდე ლაზარე, ანუ ქართული ენა მიძინებული იყო ორი ათასი წელი, ხოლო მის შემდეგ გავიდა კიდე ორი ათასი წელი, ამდენად დღემდე ქართული ენის მიძინებიდან გავიდა ოთხი ათასი წელი, ანუ ღმერთისათვის ოთხი დღე. და ამჟამად ამ დროს გასვლის შემდეგ იესო ქრისტე გამოცხადდა ღვთიური, ზეციური ცოდნით ხელმეორედ და მოახდინა ლაზარეს, ანუ ქართული ენის გაცოცხლება, აღდგინება და სამოქმედო ასპარეზზე გამოყვანა, რაც დღეს ხდება.

11-28. ეს რომ თქვა, წავიდა და მოუხმო მარიამს, თავის დას, და საიდუმლოდ უთხრა მას, მოძღვარი მოვიდა და გიხმობსო.

29. ხოლო ის, ამის გაგონებისთანავე, ადგა და გასწია მისკენ....

32. მარიამი კი მივიდა იმ ადგილას, სადაც იყო იესო, და როგორც კი დაინახა იგი, ფეხქვეშ ჩაუვარდა და უთხრა: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა.

33. როცა იესომ დაინახა, როგორ ტიროდა ის, და

ტიროდნენ მასთან ერთად მოსული იუდეველნიც, შეიძრა სულით და შეკრთა თავადაც.

34. და თქვა: სად დაკრძალეთ იგი? უთხრა მას: უფალო, მოდი და იხილე.

35. **და აცრემლდა იესო**.

36. ხოლო იუდეველები ამბობდნენ: **უყურე, როგორ ჰყვარებია იგი**.

ვიმეორებ: სწორედ ეს ადგილი უნდა დავიმახსოვროთ, რომ ამოვიცნოთ **იესოს საყვარელი მოსწავლე** და გავარკვევთ თუ ვისზე და რომელ მოსწავლეზეა საუბარი, სხვანაირად ვერ შევძლებთ გავარკვიოთ ვინაა ბიბლიის დამწერი ერი, ვისთანაა სამუდამოდ წმიდა მარიამ ღვთისმშობელი და სხვა...

11-38. ხოლო იესო, კვლავ შეძრული, მივიდა საფლავთან; ეს იყო მღვიმე: მოაშორეთ ლოდი; უთხრა მას მართამ, ხოლო მართამ, მიცვალებულის დამ: უფალო, უკვე ყარს, ვინაიდან ოთხი დღის წინ დავასაფლავეთ....

40. უთხრა მას იესომ: ხომ გითხარი, თუ იწამებ, ღმრთის დიდებას იხილავ-მეთქი?

41. მოაშორეს ლოდი მღვიმეს, სადაც ესვენა მკვდარი, ხოლო იესომ ზეცად აღაპყრო თვალნი და თქვა: მამაო, გმადლობ, რომ ისმინე ჩემი.

42. მე ვიცოდი, რომ ყოველთვის ისმენ ჩემსას, მაგრამ ეს ირგვლივ მდგომი ხალხისთვის ვთქვი, რომ იწამონ, რომ შენ მომავლინე.

43. ეს რომ თქვა, ხმამაღლა დაიძახა: ლაზარე, გამოდი გარეთ!

44. და გამოვიდა მკვდარი, სახვევით ხელ-ფეხ შეკრული და სახეშესუდრული. უთხრა მათ იესომ: გახსენით იგი და გაუშვით, წავიდეს.

45. მაშინ მრავალმა იუდეველმა, რომლებიც მოვიდნენ მარიამთან და იხილეს, რაც მოახდინა იესომ, ირწმუნა იგი.

ყოველივე ამის შემდეგ განრისხდნენ იუდეველი მღვდელმთავრები და ეძებდნენ იესო ქრისტეს, შემდგომში ლაზარეს მოსაკლავად...

***სახარება იოანესი.*** 12-13. აიღო პალმის რტოები და მისაგებებლად გამოეფინა; ღაღადებდნენ და ამბობდნენ: ოსანა! კურთხეულია მომავალი უფლის სახელით, მეუფე ისრაელისა!

ამ აბზაცში ნათქვამია ღაღადებდნენ და ამბობდნენ ოსანა; ანუ ო-ს ცოდნასთან არიანო. საუბარია, რომ გამოღვიძებული ლაზარე, ანუ ქართული ენა ღვთიურ ზეციურ ცოდნასთან ერთად არის. დაიწყებენ ერთად მოსახლეობის დამოძღვრებას საქართველოში. შემდგომ ამისა გაგრძელდება ეს პროცესი მთელს მსოფლიოში.

***მეორე პეტრესი*** 1-20. ესეც იცოდეთ თავდაპირველად, რომ წერილის არცერთი წინასწარმეტყველება თავისთავად არ განიმარტება.

21. ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს კაცის ნებით არ წარმოთქმულა, არამედ სულის წმიდის შთაგონებით წარმოსთქვამდნენ მას ღმერთის წმიდა კაცნი. ...

2-1. იყვნენ ცრუ წინასწარმეტყველნიც ხალხში, ისევე, როგორც თქვენ გეყოლებოდათ ცრუმოძღვარნი, რომელნიც შემოიღებენ წარსაწყმენდელ მწვალებლობას, უარყოფენ მათ გამომსყიდველ უფალს და თვითონვე დაიტეხენ მსწრაფლ წარწყმენდას თავზე.

ძვირფასო მკითხველნო, თქვენთვის მომინდვია ამ სიტყვების განმარტება. ...

***სახარება იოანესი:*** 21-20. შემობრუნდა პეტრე და დაინახა, რომ უკან მოსდევდა მოწაფე, რომელიც უყვარდა

იესოს, და რომელმაც სერობისას მის მკერდზე მიყრდნობილმა უთხრა: უფალო, ვინ გაგცემს შენ?

21. ეს რომ დაინახა პეტრემ უთხრა იესოს: უფალო, კი მაგრამ, ეს რა?

22. უთხრა მას იესომ: თუკი მნებავს, რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ შენ რა? შენ მე გამომყევი.

23. და გავრცელდა ეს სიტყვები ძმათა შორის, რომ ეს მოწაფე არ მოკვდებოდა, მაგრამ იესომ ის კი არ თქვა, არ მოკვდება, არამედ: თუკი მნებავს, რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ, მერე შენ რაო?

როგორც ვხედავთ აქ ლაზარე არსად არ არის ნახსენები, მაგრამ ნახსენებია „იესოს საყვარელი მოწაფე", სწორედ ამ მოწაფეს სახით იგულისმება ლაზარე, ანუ ქართული ენა. და იესო პასუხობს პეტრეს, რომ „თუკი მნებავს, რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ შენ რა? შენ მე გამომყევი".

აქ ნათელია, რომ იესო ქრისტემ მის მეორედ მოსვლამდე, ქართული ენა დატოვა ხელუხლებლად, კიდევ ორიათასი წელი, ვიდრე მეორედ მოვიდოდა, ანუ ვიდრე ხელმეორედ გამოცხადდებოდა დედამიწაზე ღვთიური ზეციური ცოდნის სახით. მას დაუტოვა გარკვეული ფუნქცია, რომ ღირსეულად წარემართა მართლმადიდებლური სარწმუნოება შესაძლებლობის მიხედვით...

***სახარება იოანესი:*** 20-24. ეს არის მოწაფე, რომელიც მოწმობს ამას, და რომელმაც დაწერა ეს. და ვიცით, რომ ჭეშმარიტია მოწმობა მისი.

25. ბევრი სხვა რამეც მოიმოქმედა იესომ, მაგრამ ყველაფერი სათითაოდ რომ დაწერილიყო, ვგონებ, ქვეყანაც ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს. ამინ!

საუბარია იესო ქრისტეს იმ მოწაფეზე, რომელიც არის

ლაზარე და ამდენად ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ მის-მიერაა ეს წიგნი ანუ ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმა დაწერილი პირველად ქართულ ენაზე.

***სახარება იოანესი:*** 19-25. ხოლო იესოს ჯვართან იდგნენ დედამისი, და დედის და მისი, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალელი.

26. **ხოლო იესომ, როცა დაინახა დედა და იქვე მდგომი მოწაფე, რომელიც უყვარდა, უთხრა დედას: დედაო, აჰა, შენი ძე!**

27. **მერე კი მოწაფეს უთხრა: აჰა, დედა შენი! და იმ საათიდან მოწაფემ თავისას წაიყვანა იგი.**

ამ სიტყვებიდან ცხადი ხდება, რომ იესოს მითითებით დედამისმა, მარიამ მაგდალელმა, მიიღო საკუთარ ძედ ლაზარე, ანუ ქართული ენა, ქართველი ხალხი; ხოლო ქართველებს, ქართულ ენას დაევალა საკუთარ დედად აღიარონ მარიამ მაგდალელი. ანუ წმიდა მარიამ ღვთისმშობელი. სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ საქართველო არის წმიდა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ერი. იესო ქრისტეს მიერ მიეკუთვნა წმიდა მარიამ ღვთისმშობელს ქართველები ძედ; ხოლო წმინდა მარიამ ღვთისმშობელი აღიარებული იქნა ქართველების დედად. ამის შემდეგ ნათქვამია, რომ „იმ საათიდან მოწაფემ თავისას წაიყვანა იგი“. ამდენად ქართველი ერი, ქართული ენა და წმიდა მარიამ ღვთისმშობელი მას შემდეგ ერთად არიან და ცხოვრობენ ერთმანეთის იმედად მომავალ ცხოვრებაში. ...

ვიცით, რომ საქართველოს საცხოვრებელი ტერიტორია არის კავკასიონის მიმდებარე ტერიტორია. ხოლო სახელწოდება კავკასიონი ქართული ენით განიმარტება ასე კა-ვ-კა-სიონი. სიონი რომ ღვთიური ცოდნის ტაძარია ეს

უკვე ცნობილია, ხოლო თუ სიტყვაში ერთი და იგივე მარცვალი მეორდება, მაშინ სიტყვა მიანიშნებს დიდს. რა თქმა უნდა სიტყვა დიდში, დი მეორდება ამდენად კავკასიონი ქართული ენით გამოითქმის ასე ***დიდი ღვთიური ცოდნის ტაძარი***. როდესაც ქართველი გმირი ამირანი მიაჯაჭვეს კავკასიონზე, ბერძნებმა საკუთარი ეროვნული გმირი პრომეთეც მიაჯაჭვეს კავკასიონზე, რადგან დიდი ღვთიური ცოდნა მთელს დედამიწაზე ცხადდებოდა მხოლოდ ამ დიდი სიონის ტაძრიდან და იქნებ ბერძნებსაც მიეღოთ რაიმე წილი ამ ცოდნიდან. ...

ძალიან საჭირო, იდუმალებით მოცული სიტყვები განვმარტეთ ქართული ენის დახმარებით; თუმცა მრავალი კიდევ ასახსნელი გვაქვს. ვფიქრობ დრო დადგა და განვმარტოთ ბიბლიის მთავარი გმირი ისრაელი, რადგან მთელი ჭეშმარიტება, ღვთიური ცოდნის შემეცნება და მისი განზოგადოება მას მიანდო უფალმა ღმერთმა. დავმარცვლოთ სიტყვა ისრაელი, მივიღებთ: **ის-რა-ელი სამივე ეს სიტყვა,** გაერთიანებული ერთად აღწერს რეალობას ისრაელის მიმართ. დავსვათ შეკითხვა: ის რა ელი-ს? ვის? რა თქმა უნდა კაცობრიობას; თუმცა როდის? მომავალ ცხოვრებაში. ამდენად ისრაელი იშიფრება ქართული ენით და ნიშნავს: ის თუ რა ელის კაცობრიობას მომავალ ცხოვრებაში განიხილება საქართველოს მდგომარეობით; ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე. ამდენად ისრაელი არის სახელმწიფო. აქ ცხოვრობს ქართველი ხალხი, უფალი ღმერთის ერი და ამ ხალხის ღმერთია, მარადცოცხალი, შემოქმედი, ყოვლისმპყრობელი ღმერთების ღმერთი, მეუფეთა მეუფე, მეფეთა მეფე...

ზემოთ ნათქვამის დასტურად მოუსმინოთ თვით ბიბლიას.

***დაბადება:*** 17-1. ოთხმოცდაცხრა წლის იყო აბრამი, როცა გამოეცხადა უფალი აბრამს და უთხრა: მე ვარ ღმერთი ძლიერი... იარე ჩემს წინაშე და სრული იყავი...

2. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და დიდად, დიდად გაგამრავლებ. ...

4. ეს მე ვარ და, აჰა, ჩემი აღთქმაც უამრავ ხალხთა მამა შეიქნები!

5. აღარ გერქვას ამიერიდან სახელად აბრამი, არამედ აბრაამი იყოს შენი სახელი, რადგან უამრავ ხალხთა მამად გაქცევ.

6. დიდად, დიდად გაგამრავლებ, ხალხებად გაქცევ და მეფენი გამოვლენ შენგან.

7. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და შენს შთამომავალთა შორის თაობიდან თაობამდე, სამარადისო აღთქმას, რომ შენი და შენი შთამომავლობის ღმერთი ვიქნები.

8. მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას შენი მდგმურობის ქვეყანას, ქანაანის მთელს ქვეყანას, სამარადისო საკუთრებად და თქვენი ღმერთი ვიქნები.

9. უთხრა ღმერთმა აბრაამს: ოღონდ დაიცავით ჩემი აღთქმა შენ და შენმა შთამომავლობამ თაობიდან თაობამდე.

ბიბლიის კითხვისას თანდათან დავრწმუნდებით, რომ აბრაამი ებრაელი არ არის და ებრაელებისთვის არ მიუცია საცხოვრებლად ქანაანის ქვეყანა უფალ ღმერთს. ...

აბრაამის ერთ-ერთი შთამომავალია იაკობი, სხვა მრავალ შვილთან ერთად.

***დაბადება*** 32-24. მარტო დარჩა იაკობი და ერკინებოდა მას ვიღაც კაცი გათენებამდე.

25. როცა შეატყო, რომ ვერ ერეოდა, შეეხო მის თეძოს

სახსარს და ელრძო იაკობს თეძოს სახსარი მასთან შერკინებისას.

26. უთხრა: გამიშვი, უკვე თენდება. უთხრა: არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ.

27. უთხრა: რა გქვია? მიუგო: იაკობი.

28. უთხრა ამიერიდან აღარ გერქვას შენს სახელად იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ღმერთს და ადამიანებს შეებრძოლე და სძლიე.

29. ჰკითხა იაკობმა: მითხარი შენი სახელი. უთხრა: რისთვის მეკითხები სახელს? და იქვე აკურთხა.

30. უწოდა იაკობმა იმ ადგილს სახელად ფენუელი, რადგან თქვა: პირისპირ ვიხილე ღმერთი და გადავრჩი. ...

როგორც ვკითხულობთ, **უფალ ღმერთმა ისრაელი უწოდა პიროვნებას და არა რომელიმე ერს**, ხოლო რაც შეეხება ებრაელებს, ისინი არცერთ ისრაელის დასახელებასთან კავშირშო არსად არ მოიხსენებიან. ყოველივე ეს იმდენად გასაიდუმლოებული გახლდათ ბიბლიაში, რომ დღემდე ამოუხსნელი რჩებოდა რეალობა. მაშინ როდესაც ძველი აღთქმა დაიწერა, ებრაელებს დამწერლობა არ გააჩნდათ. ...

***დაბადება:*** 35-9. კვლავ გამოეცხადა იაკობს ღმერთი ფადან-არამიდან დაბრუნებისას და აკურთხა ღმერთმა იგი.

10. უთხრა ღმერთმა: იაკობია შენი სახელი; აღარ გერქმევა ამიერიდან სახელად იაკობი; არამედ ისრაელი იქნება შენი სახელი. და უწოდა სახელად ისრაელი.

11. უთხრა ღმერთმა: მე ვარ ღმერთი ყოვლადძლიერი. ინაყოფიერე და გამრავლდი, ხალხი და ხალხთა კრებული წარმოიშობა შენგან და მეფენი გამოვლენ შენი საზარდულიდან.

12. ქვეყანა, რომელიც მივეცი აბრაამს და ისაკს, შენ-თვის მომიცია, შენი შთამომავლობისთვის მომიცია ეს ქვეყანა. ...

15. უწოდა იაკობმა სახელად ბეთილი იმ ადგილს, სადაც ღმერთი ელაპარაკა. ...

ასე, რომ სახელებში აბრაამი, ისაკი, იაკობი, იოსები, იესო... მოცემულია ღვთიური ცოდნა და გარდა სახელი აბრაამისა ყველა სახელი იწყება ი-ასო ნიშნით, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელში ჩადებულია იდუმალება და უნდა ამოვხსნათ და გავხადოთ ხილული.

***გამოსვლა:*** 20-3. არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთი.

4. არ გაიკეთო კერპები, არც რაიმე ხატი იმისა, რაც არის მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში მიწის ქვემოთ.

5. არ სცე თაყვანი მათ, არც ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი შურისმგებელი, ღმერთი, რომელიც მამათა ცოდვას შვილებს მოვკითხავ, ჩემს მოძულეებს, მესამე და მეოთხე თაობაში.

***ლევიანნი*** 26-18. და თუ მაინც არ დამიჯერებთ, შვიდგზის მოგიმატებთ სასჯელს თქვენი ცოდვებისთვის.

19. გავტეხავ თქვენი სიჯიუტის ძალას, რკინად ვაქცევ თქვენს ცას, სპილენძად – თქვენს მიწას.

20. ფუჭად დაილევა თქვენი ძალ-ღონე: არ მოგცემთ მიწა თავის მოსავალს და ქვეყნის ხეები – თავის ნაყ-ოფებს...

***გამოსვლა*** 1-1. ეს არის სახელები ისრაელიანთა, რომ-ლებიც იაკობთან ერთად ჩავიდნენ ეგვიპტეში. თითოეუ-ლი თავისი სახლითურთ ჩავიდა.

2. რეუბენი, სიმონი, ლევი და იუდა. ...

თ2-1. წავიდა ლევის ტომის კაცი და ითხოვა ცოლად ასული ლევის ტომიდან.

2. დაორსულდა ქალი და შვა ვაჟი; დაინახა, რომ კარგი იყო, და სამ თვეს მალავდა.

3. როცა დამალვა ველარ შეძლო, აიღო ლერწმის კიდობანი, შეგოზა ფისით და კუპრით, ჩასვა შიგ ბიჭი და დადო ლელიანში ნილოსის პირას.

4. ხოლო ბავშვის და, მოშორებით დადგა, რომ გაეგო, რა მოუვიდოდა.

5. ჩავიდა ფარაონის ასული ნილოსზე საბანაოდ, მისი მხლებლები კი ნილოსის პირას მიმოდიოდნენ. დაინახა ლელიანში კიდობანი. გაგზავნა მხევალი და მოატანინა.

6. გახსნა და ნახა შიგ ბავშვი; აჰა, ტირის ბიჭი, შეეცოდა **და თქვა ებრაელის ბავშვი იქნება? ...**

7. უთხრა ბავშვის დამ ფარაონის ასულს, ხომ არ წავიდე და ებრაელი ქალი მოვიყვანო ძიძად? ძუძუს მოგიწოვებს მაგ ბავშვს.

8. უთხრა ფარაონის ასულმა: წადი. წავიდა ყმაწვილი ქალი და დაუძახა ბავშვის დედას.

9. უთხრა მას ფარაონის ასულმა: წაიყვანე ეს ბავშვი და ძუძუ მოაწოვე; გასამრჯელოს მოგცემ. წაიყვანა ქალმა ბავშვი და აწოვებდა ძუძუს.

10. წამოიზარდა ბავშვი და მიუყვანა ფარაონის ასულს, რომელმაც იშვილა და დაარქვა სახელად მოსე. თქვა: რადგან წყლიდან მყავს ამოყვანილი.

რადგან იმ დროისათვის ებრაელებს, მათი უკულმართობის გამო მკაცრად სჯიდა ეგვიპტეში ფარაონი, ყოველ ახლად შობილ ბიჭს კლავდნენ, რომ მათი ერი ებრაელები არ გამრავლებულიყვნენ. ამიტომ გამოთქვა ფარაონის ასულმა თავისი ეჭვი, „რომ ებრაელის ბავშვი

იქნებაო“. სინამდვილე კი სულ სხვა იყო. ბავშვი იაკობის ანუ ისრაელის ერთ-ერთი შტოდან ლევის ტომის წარმომადგენელ ცოლქმრისაგან იყო წარმოშობილი. უფალმა ღმერთმა ასე ინდომა, რომ ამ ბავშვს ასეთი ბედი დაყოლოდა. რადგან აუცილებელი იყო მოსეს წარმოშობის რეალობა გაესაიდუმლოებია და გადაეყვანა იდუმალებაში. თუმცა ბიბლია ყველაფერს კარგად გადმოგვცემს, მაგრამ ქართული ენა იმდენად გაბრუებული და მიძინებულია, რომ ვიდრე მან არ გამოიღვიძა და აღდგა მთელი ჭეშმარიტებით, მანამდე მისთვის რეალობა მიუწვდომელი იყო. ამიტომ ცდილობდნენ საზღვარგარეთელი მოძულეები მოესპოთ ქართული ენა, ქართველები რომ სინამდვილე არასოდეს გამჟღავნებულიყო. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ძველი აღთქმის მთელ დედამიწაზე გავრცელებას და ის გადაიქცა ყოველი სარწმუნოების საწყის ძალად, რადგან ყოველმა ერმა ვინც ძველი აღთქმა საკუთარ ენაზე გადათარგმნეს საკუთარი ერის საკუთრებად მიიღეს. ...

ვიცით შოთა რუსთაველის ვეფხვისტყაოსანში, არსად არ არის მოხსენიებული საქართველო, ქართული ენა, რომელ ენითაც დაიწერა უკვდავი „ვეფხვისტყაოსანი“. თუმცა ერთ ადგილზე ახსენებს: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავქმენ, საქმე ვქენ საჭოჭმანები“. ახსენა ქართული ენა, მაგრამ ეჭვის ქვეშ დააყენა ის. თუმცა ავტორმა ამ ნაწარმოებში მთლიანად ჩადო ქართული სული, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები ისე, რომ ყოველ ენაზე ამ ნაწარმოების მკითხველს ჰგონებოდა, რომ ეს მისი ეროვნული ნაწარმოებია და როგორც საკუთარ თავს, ისე გაფრთხილებოდა მას. ამ მეთოდით „ვეფხისთყაოსანმა“ ჩვენამდე მოაღწია მთელი ბრწყინვალებით. ასევე გახლავთ ბიბლიის ბედი და იღბალი. ...

ზოგიერთი მორწმუნე კაცები თავს ქრისტიან მართლმადიდებლებად აცხადებენ, მაგრამ ამბობენ: ძველი აღთქმა კარგა ხანია ჩაბარდა ისტორიას და მასში მოყვანილი წინასწარმეტყველებანი უკვე აღსრულდა და ისტორიის კუთვნილებაა სადღეისოდ. ჩვენ გვაქვს „ახალი აღთქმა" და უნდა მივყვეთ მას, მის მცნებებს, კანონებს და უფალი ღმერთის შეგონებებს, სწავლებებს. მართლმადიდებელი ნიშნავს, რომ ის აღიარებს სიმართლეს, ადიდებს მას და ეთაყვანება ყოველ ხილულ ჭეშმარიტებას. რა თქმა უნდა არ უარყოფს იდუმალ ღვთიურ ძალას და ცდილობს რეალურად შეიცნოს ყოველი იდუმალი. მიმაჩნია, რომ ეს აზრი არაა მდლიანად მისაღები და რაღაც ამ აზრში არასწორია, რომ ძველი აღთქმა უკვე დრომოჭმული და უვარგისია, სადღეისოდ ყოველი იდუმალის რეალურად შეცნობის თვალსაზრისით. მიუხედავად გავრცელებული ზემოთქმული აზრისა რომ ძველი აღთქმა არაა საჭირო სადღეისოდ ეჭვი შემეპარა და დავიწყე ძველი აღთქმის ძირფესვიანად შესწავლა, რამაც დამარწმუნა, რომ მართალი ვარ, რადგან ძველი აღთქმა ბაზისია, ხოლო ახალი აღთქმა ზედნაშენი. თუ არ იცი შენობის ფუნდამენტის მდგომარეობა ისე ზედნაშენ შენობის აგების აზრი არ აქვს. ამავე დროს თვით ბიბლია გვასწავლის „ყოველი ათასწლეულის ბოლოს და მომდევნო ათასწლეულის დასაწყისში ერთი და იგივე მეორდება".

„ძველი აღთქმის" შესწავლით დავინახე, რომ აქ წარმოდგენილი წინასწარმეტყველთა ნაამბობი, თვით ამ ნაწილში წარმოდგენილი ფაქტები, მეტად მნიშვნელოვანია და აუცილებელი თანამედროვე პირობებში. ამიტომ გადავწყვიტე ძირითადად სამი წინასწარმეტყველი „ძველი აღთქმიდან" გაგაცნოთ და „ახალი აღთქმიდან" ორი

წინასწარმეტყველი. მანამდე კი მივყვეთ ბიბლიურ ცოდნას: **ოსია წინასწარმეტყველი.** თ 4-6. მოისპობა ჩემი ერი უმეცრების გამო, რადგან შენ უარყავი ღვთის შემეცნება, და მეც გადაგაყენებ ჩემი მღვდლობიდან; დავიწყებული გაქვს ჩემი რჯული და მეც დავივიწყებ შენს შვილებს.

7. რაც უფრო მრავლდებიან, მით უფრო სცოდავენ ჩემს წინაშე; მათ პატივს სირცხვილად შევცვლი.

8. ცოდვებით იკვებება ჩემი ერი და უკეთურებისკენ მიუწევთ გული.

9. მღვდელი და ერი ერთი შეიქნა; მსჯავრს დავდებ მათ, მათი გზების გამო და მივაგებ მათ, მათი საქმეების გამო.

10. შეჭამენ და ვერ გაიგებენ გაძღომას, იბოზებენ და ვერ გამრავლდებიან, რადგან დაივიწყეს უფლის სამსახური...

8-4. მეფე დაისვეს ჩემს უნებართოდ, მთავრები დაისვეს ჩემს დაუკითხავად; თავიანთი ოქრო-ვერცხლით გაიკეთეს კერპები თავის დასაღუპავად....

8. ჩაიყლაპება ისრაელი; ახლა უსარგებლო ჭურჭელივით არის ხალხთა შორის. ...

10. თუმცა გასცემდნენ ხალხებში, ახლა შევკრებ მათ; ცოტაც და, დაიტანჯებიან მთავართა მეფის ტვირთის ქვეშ. ...

12. **დაუწერე მას მთავარი რჯული, მაგრამ უცხოდ შერაცხა იგი. ...**

როგორც შევიცანით, ოსია ღაღადებს, რომ უმეცრების, უცოდინარობის, ცოდნის დავიწყების გამო იტანჯება და ისპობა ჩემი ერი ისრაელი. სწორედ უცოდინარობით ხდება, რომ ირჩევენ უღმერთო პრეზიდენტს, მთავრობებს, პარლამენტის წარმომადგენლებს და მათ რა თქმა უნდა უფალი ღმერთი არ აკურთხებს, ხოლო თუ პატრიარქს

ძალით მიიყვანენ და თავს დაალოცვინებენ ეს არაფერს ნიშნავს უფალი ღმერთის მიმართ, რადგან ამბობს: „უჩემოდ არჩიეს მეფე და მთავრები“; რა თქმა უნდა როცა მოსახლეობა უფალი ღმერთის რჩეულთ უარს ეუბნება და კაცის მკვლელ სატანებს ირჩევენ ხელმძღვანელებად, მაშინ უფალი ღმერთი არ აკურთხებს ხალხის არჩეულ მეფეს, მთავრებს და მოსახლეობას უმკაცრესად დასჯის, რაც სადღეისოდ ხდება. ვინც ასეთ არჩევნებს მხარს დაუჭერს, ხმას მიცემს სატანებს, ისინიც სატანათა რიგში გადიან და ძალზე მკაცრად ისჯებიან უფალი ღმერთის რისხვით, რადგან კაცისმკვლელი ბარაბა აირჩიეს და უფალი ღმერთის რჩეულ იესო ქრისტეს უარი უთხრეს. ამიტომაა ამდენი უბედურება დღეს, რომ ხდება და უარესი მოხდება მომავალში თუ ქართველმა ერმა დროულად არ გამოიღვიძა და სათანადო დასკვნები არ გააკეთეს. ...

უფალი ამბობს: „რადგან რჯული დაუწერე მათ, მაგრამ უცხოდ შერაცხა იგი“. მთავარი რჯული უფალმა ღმერთმა დაუწერა ისრაელიტებს, ქართველებს და მან ის ებრაელებს მიაკუთვნეს. მაშინ როდესაც ებრაელები მთავარი რჯულის მიმართ გაგებაში არ არიან. საამისოდ იხილეთ ან შემდგომში გავეცნობით პავლე მოციქულის წერილს ებრაელთა მიმართ. ამიტომაა უფალი ღმერთი განრისხებული. ეს ტანჯვა ქართველი ერისა გაგრძელდება მანამდე, ვიდრე ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა არ გააკეთებს სწორ არჩევანს, არ მოიკრებს გონიერებას, რომ დაუბრუნდნენ უფალ ღმერთს რწმენით და აღიარონ სამართალი და სიმართლე. იყვნენ უფალი ღმერთისა და საკუთარი მოყვასის თავდადებული მოყვარულნი, რომ გადარჩნენ და გადაარჩინონ საკუთარი თავი, ოჯახი, შთამომავლობა და სამშობლო. ...

***პავლე მოციქული გალატელებს წერს:*** 3-9. ასე რომ, ისინი ვინც რწმენისაგან არიან, მორწმუნე აბრაამთან ერთად იკურთხებიან.

10. ხოლო ის ვინც რჯულის საქმეთაგან არიან, წყევლის ქვეშ არიან; ვინაიდან დაწერილია, წყეულიმც იყოს ყველა, ვინც გამუდმებით არ ასრულებს ყოველივე იმას, რაც დაწერილია რჯულის წიგნში.

11. ხოლო ცხადია, რომ რჯულით არავინ გამართლდება ღმერთის წინაშე, ვინაიდან მართალი იცოცხლებს რწმენით.

12. ხოლო რჯული რწმენისაგან როდია, არამედ კაცი, რომელიც აღასრულებს მას, იცოცხლებს მისით.

13. ქრისტემ გამოგვისყიდა ჩვენ რჯულის წყევლისაგან, და თვითონ დაიწყევლა ჩვენთვის, ვინაიდან დაწერილია, წყეულიმც იყო ყველა, ვინც ჰკიდია ძელზე.

14. რათა აბრაამის კურთხევა გავრცელდეს წარმართებზე იესო ქრისტეს მიერ, და ამრიგად, მივიღოთ აღთქმა სულისა რწმენით. ...

18. რადგან თუ მემკვიდრეობა რჯულითაა, არამც და არამც აღარ არის აღთქმით, მაგრამ ღმერთმა აღთქმით უბოძა იგი აბრაამს.

19. მაშ რისთვისაა რჯული? ის მოცემული იქნა შეცოდებათა გამო, ვიდრე მოვიდოდა თესლი, ვისთვისაც დაიდო აღთქმა და გადმოცემული იქნა ანგელოზთა მიერ, შუამდგომლის ხელით.

20. შუამდგომელი არ არის ერთის მიმართ, ღმერთი კი ერთია.

21. მაშასადამე, რჯული ეწინააღმდეგება ღმერთის აღთქმათ? არამც და არამც, რადგან მოცემულია რომ იყოს რჯული, რომელსაც შეეძლებოდა სიცოცხლის მონიჭება, ჭეშმარიტად რჯულისაგან იქნებოდა სიმართლე.

22. მაგრამ წერილმა ცოდვის ქვეშ მოაქცია ყველანი, რათა აღთქმა იესო ქრისტეს რწმენით მისცემოდათ მორწმუნეთ.

23. ხოლო რწმენის მოვლინებამდე რჯულის მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავით მოქცეულნი იმ დღემდე, როცა უნდა გამოცხადებულიყო რწმენა.

24. ასე რომ, რჯული ჩვენი აღმზრდელი იქნა ქრისტეს მიმართ, რათა რწმენით გავმართლებულიყავით. ...

26. რადგან ყველანი, ქრისტე იესოს რწმენით, ძენი ხართ ღმერთისა.

27. ყველამ, ვინც ქრისტეს მიმართ ნათელი იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ. ...

29. ხოლო თუ ქრისტენი ხართ, მაშასადამე, აბრაამის თესლი ხართ და აღთქმისამებრ, – მემკვიდრენი.

4-5. რათა გამოესყიდა რჯულის ქვეშ მყოფნი და ამრიგად მიგვეღო ძეობა.

6. ხოლო რაკი ძენი ხართ, ღმერთმა მოავლინა თქვენს გულებში თავისი ძის სული, რომელიც ღაღადებს: „აბბა, მამაო“!

7. ასე რომ, მონა კი აღარ ხართ, არამედ ძე; ხოლო თუ ძე ხარ, მემკვიდრეცა ხარ ღმერთის მიერ. ...

29. მაგრამ როგორც მაშინ ხორციელად შობილი სდევნიდა სულიერს, ასევეა ახლაც. ...

როგორც ვხედავთ, რჯულის წიგნი კი არ ეწინააღმდეგება იესო ქრისტეს ახალ აღთქმას, არამედ ის ქართველ ხალხს ამზადებდა რწმენისათვის, რომლის მიხედვითაც უნდა მიეღოთ ქრისტიანულ მართლმადიდებლური სარწმუნოება. ამდენად ძველი აღთქმა ბაზისია და ახალი აღთქმა ზედნაშენი. ამდენად ძველი აღთქმა უნდა განვიხილოთ ახალ აღთქმასთან ერთად, რომ მივიღოთ ღვთიური ცოდნა მთელი გაგებით და შეგნებით.

# თავი მეორე

დაპირებისამებრ „ძველი აღთქმიდან“ განვიხილოთ ჯერ **ესაია წინასწარმეტყველი**, რომელმაც მიიღო ხილვა უფალი ღმერთის მიერ იუდაზე და იერუსალიმზე.

1-2. ისმინე ცაო, ყური მიგდე, მიწავ! რადგან უფალი ლაპარაკობს. შვილები აღვზარდე და აღვაზევე, ისინი კი გამიდგნენ.

3. ხარმა იცის თავის მფლობელი და ვირმა თავის პატრონის ბაგა, ისრაელმა კი არ იცის; ჩემს ერს არაფრის გაგება არა აქვს. ...

7. მოოხრებულია თქვენი ქვეყანა, გადამწვარია თქვენი ქალაქები, თქვენს მინდვრებს გადამთიელნი ჭამენ თქვენს თვალწინ და მოოხრებულია, თითქოს ურდოებს დაერბიოს. ...

13. ნუღარ მომიტანთ მაგ ფუჭ შესაწირავს, საძაგელია ჩემთვის საკმეველი, ახალმთვარეობები და შაბათები, ჯარობები ვეღარ ამიტანია! უკეთურება და დღესასწაული? ...

15. ხელებს რომ აღაპყრობთ, თვალს გარიდებთ, ლოცვებსაც რომ მიმრავლებთ, არ ვისმენ; ხელები სისხლით გაქვთ სავსე.

16. განიბანეთ, განიწმიდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტების ქმნა. ...

23. შენი მთავრები განდგომილნი არიან და ქურდთა თანამზრახველები; ყველას ქრთამი უყვარს და მოსაკითხავზე ნადირობენ; ობოლს არ განიკითხავენ და ქვრივის საჩივარი არ სწვდებათ. ...

27. სიონი სამართლით გამოისყიდება და მისკენ მოქცეულნი სიმართლით.

28. დამნაშავენი და ცოდვილნი ერთად გაწყდებიან და უფლის მიმტოვებელნი დაიღუპებიან. ...

6-9. თქვა, წადი და უთხარი მაგ ხალხს: სმენით მოისმენთ, მაგრამ ვერ გაიგებთ; ხილვით თხილავთ, მაგრამ ვერ მიხვდებით.

9-12. ხალხი არ მოქცეულა თავისი მგვემელისაკენ და ცაბაოთ უფალს არ ეძებს.

13. მოსწყვიტა ისრაელს უფალმა თავი და კუდი, რტოები და ღერო ერთ დღეს.

14. მოხუცი და პატივდებული თავია, სიცრუის ქადაგმოძღვარი კი - კუდი.

15. ამ ხალხს მისი წინამძღოლნი გზა-კვალს ურევენ და მათგან გაძღოლილნი იკარგებიან.

არის კი ისეთი განათლებული ადამიანი საქართველოში, რომელიც იტყოდა, რომ ყოველივე ზემოთთქმული დღევანდელ საქართველოში რეალობას არ შეესაბამება, და ეს სტრიქონები საქართველოს მიმართ არაა წინასწარმეტყველება; ისრაელის თავი, მოხუცი და პატივდებული აფხაზეთია რუსეთის მიერ მიტაცებული, კუდი საინგილო, აზერბაიჯანლების მიერ მითვისებული, რტოები კი ჩრდილოეთით სამაჩაბლოა რუსების მიტაცებული, სამხრეთით: ბორჩალო სასომხეთის მიერ მითვისებული და მთელი ტაოკლარჯეთი თურქების მიერ მიტაცებული, ხოლო ღერო, ანუ ხერხემალი საქართველოს სახელმწიფოებრიობა ჯერ კიდევ უსუსური, უვარგისი და მიუღებელი. ხოლო საქართველოს სახელმწიფოებრიობა უკვე რამოდენიმე საუკუნეა აღარ არსებობს. ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველი აღთქმა უკვე მოძველებული და დრომოჭმულიაო? ...

9-16. ამიტომაც თავის ჭაბუკებზე არ ხარობს უფალი

და ქვრივ-ობლებს არ იბრალებს, რადგან ყველანი უკეთურნი და ბოროტეულნი არიან, და ყოველი პირი სიბილწეს ლაპარაკობს. მაინც არ დამცხრალა მისი რისხვა და კვლავ მოღერებულია მისი ხელი.

10-1. ვაი უსამართლო განაჩენის გამომტანთ და უკანონო მსჯავრისმდებელთ.

12. როცა მოათავებს უფალი ყველა თავის საქმეს სიონის მთაზე და იერუსალიმში, მაშინ მოვკითხავ აშურის მეფეს მის დიდგულობის ნაყოფს, მის ქედმაღლურ მზერას. ...

18-2. ზღვით რომ აგზავნით მალემსრბოლებს წყალზე მოცურავე ლერწმის ნავებით! გასწიეთ, მკვირცხლო მოციქულნო, მოჭიმულ და ალესილ ხალხთან, საშიშარ ერთან დასაბამიდან დღესამომდე, ხალხთა დამთრგუნველთან და გამთელავთან, რომლის ქვეყანას ხევები სერავენ! ...

23-13. აჰა, ქალდაველთა ქვეყანა! ადრე არ იყო ეს ხალხი, აშურმა დააფუძნა ის ველურთაგან; მიადგეს კოშკები და დაამხეს მისი სასახლეები, ნანგრევებად აქციეს. ...

24-21. მოვა ის დღე და დასჯის უფალი ცათა მხედრობას მაღლა ცაში და მიწის მეფეებს დაბლა მიწაზე. ...

27-6. დადგება ჟამი და ფესვს გაიდგამს იაკობი, გაიხარებს და ყლორტებს გამოიყრის ისრაელი და მთელს ქვეყნიერებას აავსებს ნაყოფით. ...

9. ამიტომ წარიხოცება ამით: იაკობის დანაშაული და, აჰა, ეს იქნება მისი ცოდვის მიტევების ნაყოფი. ...

28-9. ვინ უნდა დამოძღვროს ცოდნით და ვის უნდა ჩააგონოს ამბავი? – რძეს მოწყვეტილთ, ძუძუს ანასხლეტთ? ...

17. დავდებ სამართალს ლარად და სიმართლეს

შვეულად, სეტყვა წარხოცავს სიცრუის თავშესაფარს და წყალი წაიღებს ტყუილის საფარველს.

29-10. რადგან გადმოღვარა უფალმა თქვენზე ძილქუშის სული და დაგიხუჭათ თვალები, წინასწარმეტყველნო, და დაგიფარათ თავები, მისნებო.

11. იქნება თქვენთვის მთელი ეს ხილვა როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები, რომელსაც აძლევენ წიგნის მცოდნეს და ეუბნებიან: წაიკითხე, ის კი ამბობს: არ შემიძლია, რადგან დაბეჭდილია წიგნი.

12. ეძლევა წიგნი წიგნის უცოდინარს და ეუბნებიან: წაიკითხე, ის კი ამბობს: არ ვიცი წიგნი. ...

20. რადგან აღარ იქნება მტარვალი და ბოლო მოეღება მაგინებელს, ამოწყდებიან ერთიანად ბოროტ საქმეზე მღვიძარენი. ...

32-1. სიმართლით იმეფებს მეფე და მთავრები სამართლიანად იმთავრებენ.

18. დამკვიდრდება ჩემი ერი მშვიდობის სამყოფელში, მყუდრო სავანეში და უზრუნველ სადგომებში. ...

43-4. რადგან შენ ძვირფასი ხარ ჩემს თვალში, რადგან პატივდებული ხარ და მიყვარხარ; სხვა ხალხს გავიღებ შენს სანაცვლოდ და ტომებს შენი სულისათვის. ...

6. ვეტყვი ჩრდილოეთს: გაუშვი! და სამხრეთს: არ დააკავო! მოიყვანე ჩემი ვაჟები შორეთიდან და ჩემი ასულები – ქვეყნის კიდიდან. ...

11. მე ვარ, მე ვარ უფალი და არავინაა ჩემს გარდა მაცხოვარი!

21. ჩემთვის გამოვსახე ეს ერი, ჩემს სადიდებელს იტყვის.

22. შენ არ მოგიხმივარ, იაკობ, რომ ჩემთვის დამშვრალიყავ, ისრაელ! ...

48-9. ჩემი სახელის გულისათვის ვაყოვნებ რისხვას და ჩემი დიდებისათვის გარიდებ მას, რომ არ მოგსპო. ...

11. ჩემი თავისთვის, ჩემი თავისთვის ვაკეთებ ამას, როგორ შევალახვინო ჩემი სახელი? ჩემს დიდებას სხვას არ მივცემ. ...

22. არ არის მშვიდობა, ამბობს უფალი, ბოროტეულთათვის. ...

საქართველოს მოსახლეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ მთელი ორმოცი საუკუნეა ღვთიური ცოდნის გარეშე, მიძინებული, თითქმის მკვდარი და უმოქმედო, თუ უფალი ღმერთის უშუალო დახმარებით დრო და დრო ოდნავ მაინც გამოიფხიზლებს, გამოიღვიძებს და თავის ღვთიურ ფუნქციას მოიმახრობს, მაშინ უფალი ღმერთის უშუალო დახმარებით, მოუვლენს გონიერ მეფეს და ის დანგრეულ, გაჩანაგებულ საქართველოს კვლავ ფეხზე დააყენებს, მის დიდებას დაუბრუნებს და ქართველი ხალხი შვებით ამოისუნთქავს. მაგრამ როგორც კი მიზანს მიაღწევენ, მაშინვე დაიწყებენ დროს უქმად ტარებას, გადაყვებიან ქეიფს, დაივიწყებენ უფალ ღმერთს, მის ამაგსა საქართველოს მიმართ და დაიწყება კვლავ უბედური და სასტიკი ცხოვრება; ამას ისიც ემატება, რომ გარკვეული მიზეზის გამო, ყოველ ქართველს ჰგონია მხოლოდ წერა-კითხვა თუ იცის, ძალზე დიდი თავი აქვს და ყველას უფროსობა, დირექტორობა, მინისტრობა, პრეზიდენტობა, მეფედ დასმა სურთ და არ კითხულობენ ხელმძღვანელად მისვლის შემდგომ თუ რაა საჭირო ცოდნის სახით, რომ ესა თუ ის დარგი, სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო როგორ ააშენონ, როგორ გააძლიერონ და როგორ აცხოვრონ ქართველი ხალხი მშვიდობიანად და კარგად. საამისოდ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება;

მხოლოდ ერთს დავასახელებ, რომ ალბათ დედამიწაზე ამდენი პოლიტიკური პარტია არცერთ ხალხმრავალ სახელმწიფოში არ იქნება, როგორც ეს საქართველოშია. თუ არ ვცდები, ორასზე მეტი პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული და მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია; მათი ხელმძღვანელები და დამფუძნებლები ყველანი აცხადებენ პრეტენზიას, რომ გახდნენ საქართველოს პრეზიდენტი, მეფე, დაიკაონ სხვა მაღალი თანამდებობები სახელმწიფოს მმართვის სისტემაში; როგორც კი დარწმუნდებიან, რომ საქართველოს ერთმმართველი ვერ გახდება, მაშინვე იწყებენ ფიქრს, როგორ გახლიჩონ საქართველო ნაწილებად და რომელიმე ნაწილის ერთმართველნი გახდნენ. აი, ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს ტერიტორიული დაყოფის და შემდგომ უსასტიკეს ცხოვრებაში მოხვედრის.

რადგან ქართველმა ხალხმა მიატოვა უფალი ღმერთი, ღვთიური საარსებო ცოდნა, დაისაჯა უმკაცრესად და მთელი ორმოცი საუკუნეა ასე გაწამებული მოდის. თუმცა არ დავივიწყოთ, რომ თვით უფალი ღმერთიც ამ მდგომარეობას ხელს უწყობს, რომ გარკვეული დრო ქართული ენა მიძინებული უნდა იყოს, რადგან, როდესაც დადგება დრო, რომ აღდგეს უფალი ღმერთის დიდება დედამიწაზე, მაშინ მოახდენს უფალი ქართული ენის გამოღვიძებას მის ფუნქციის დაბრუნებას და ის მთელი თავისი დიდებით ამოქმედდება უფალი ღმერთის სადიდებლად. დაინახავენ სხვა ქვეყნების ერები, რომ უფალი ღმერთის უშუალო დახმარებით როგორ გადარჩა ეს პატარა ერი, იწამებენ მარადცოცხალ უფალ ღმერთს, მარადშემოქმედს და დარწმუნდებიან მის დიდებაში. ამის შემდეგ მიიღებენ ცოცხალი უფალი ღმერთის რწმენას საქართველოდან,

დედამიწაზე იარსებებს ერთი სარწმუნოება, ერთი ურთიერთ სასაუბრო ენა, დამკვიდრდება მშვიდობა და დაიწყება ცხოვრების ოქროს ხანა. ...

ნათქვამია, რომ „დადგება ჟამი და ფესვს გაიდგამს იაკობი, გაიხარებს და ყლორტებს გამოიყრის ისრაელი და მთელს ქვეყნიერებას აავსებს ნაყოფით“. აქ მითითებულია, რომ დადგება ჟამი, როდესაც გაიღვიძებს ლაზარე, ანუ ქართული ენა, ამით აიხსნება ყოველი იდუმალი ღვთიური ცოდნა იაკობისა და ისრაელის საშუალებით ეს ცოდნა მოეფინება მთელ სამყაროს. სადღეისოდ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს დრო დადგა და ქართული ენა მთელი თავისი მშვენიერებით ამეტყველდა და ამ ახალი ენით გესაუბრებით ძვირფასო მკითხველნო.

***ესაია:*** 49-3. მითხრა: ჩემი მორჩილი ხარ, ისრაელ, შენით გამოვაჩენ ჩემს დიდებას. ...

26. საკუთარ ხორცს შევაჭმევ მჩაგვრელებს და, როგორც მაჭრით, ისე დათვრებიან საკუთარი სისხლით, მაშინ გაიგებს ყოველი ხორციელი, რომ მე ვარ უფალი, შენი მხსნელი და გამომსყიდველი, იაკობის ძლიერი. ...

51-17. გაიღვიძე, გაიღვიძე, ადექი, იერუსალიმო, რომელმაც შესვი უფლის ხელიდან მისი რისხვის თასი, ძირისძირამდე შესვი ფიალა, სიბრუის თასი. ...

22. ასე ამბობს შენი მეუფე, უფალი შენი ღმერთი, მოსარჩლე თავისი ხალხისა: აჰა, გართმევ შენი ხელიდან სიბრუის თასს, ფიალას, თასს ჩემი რისხვისა, რომ მეტჯერ აღარ შესვა იგი.

52-1. გაიღვიძე, გაიღვიძე, შეიმოსე ძალი შენი, სიონო! შეიმოსე შენი დიდების სამოსელი, იერუსალიმო, წმიდა ქალაქო, რადგან აღარ შემოგივა წინდაუცვეთელი და უწმიდური! ...

13. აჰა, მოჭკუიანდა ჩემი მორჩილი, გაიმართება, აღზევება და დიდი ამაღლება. ...

54-15. კი მოგიხდებიან, მაგრამ არა ჩემგნით; შენი მომხდურნი შენს წინაშე დაეცემიან. ...

17. ყოველი იარაღი, შენს წინააღმდეგ გამოჭედილი, გაცუდდება და ყოველი ენას, შენს წინააღმდეგ აღმდგარს სამსჯავროზე, გაამტყუნებ. ესაა წილხვედრი უფლის მორჩილთა და მათი გამართლება ჩემგნით, ამბობს უფალი.

55-7. მიატოვოს ბოროტეულმა თავისი გზა და ცოდვილმა კაცმა – თავისი ზრახვები, მიაქციოს უფლისაკენ და ის შეიწყალებს მას, და ჩვენი ღმერთისაკენ, რადგან მრავალგზის მიმტევებელია. ...

56-6,7. უცხოთა შვილებს, რომელნიც მიეკრნენ უფალს, რომ ემსახურონ უფალს – მივიყვან ჩემს წმიდა მთაზე და ჩემს სამლოცველო სახლში გავახარებ, მათი აღსავლენი და მათი მსხვერპლნი იქნება ჩემს სამსხვერპლოზე, რადგან ჩემს ყველა ხალხის სამლოცველო სახლი დაერქმევა. ...

აქ ნათქვამია, რომ უცხო ტომთაგან მორწმუნენი მოვლენ და მათ მივიღებ და ვაღიარებ ჩემს ხალხს შორის, „რადგან ჩემს სამლოცველო სახლს ყველა ხალხის სამლოცველო სახლი დაერქმევა“, რა თქმა უნდა ახალ იერუსალიმს.

59-18. საქმეთაებრ მიუზღავს ყველას: მტრებს – რისხვას, მოძულეთ – საქმეთაებრ, ზღვისპირელებს, საქმეთაებრ მიუზღავს. ...

60-14. ქედმოხრილნი მოვლენ შენს წინაშე შენი მჩაგვრელების შვილები და შენს ფეხთა ტერფებთან დაემხობა ყველა შენი მოძულე, გიწოდებენ საუფლო ქალაქს, სიონს ისრაელის წმიდას. ...

61-6. თქვენ კი უფლის მღვდლებად იქნებით წოდებულნი და ჩვენი ღმერთის მსახურნი დაგერქმევათ; ხალხთა დოვლათს შეჭამთ და მათი დიდება გადმოვა თქვენზე. ...

62-1. სიონის გამო არ დავდუმდები და იერუსალიმის გამო არ დავმშვიდდები, ვიდრე ნათელივით არ გამოჩნდება მისი სიმართლე და ანთებული ლამპარივით მისი ხსნა. ...

2. დაინახავენ ხალხები შენს სიმართლეს – და ყოველი მეფე შენს დიდებას; გიწოდებენ ახალ სახელს, რომელსაც უფლის ბაგეები გამოკვეთენ.

3. იქნები მშვენების შარავანდად უფლის ხელში და სამეფო გვირგვინად შენი ღვთის მარჯვენაში. ...

65-17. რადგან, აჰა, შევქმნი ახალ ცას და ახალ მიწას, აღარ გაიხსენება წინანდელნი და ფიქრადაც არავის მოვა. ...

66-1. ასე ამბობს უფალი: ცა ტახტია ჩემი და ქვეყანა კვარცხლბეკი ჩემი. სად არის სახლი, რომელსაც მიშენებთ მე და სად არის ადგილი, ჩემი დასასვენებელი? ...

22. რადგან როგორც ახალი ცა და ახალი მიწა, რომელთაც შევქმნი, წარსდგება ჩემს წინაშე, ამბობს უფალი, ასევე წარდგება თქვენი თესლი და თქვენი სახლი.

23. მაშინ იქნება, რომ ახალ მთვარეობიდან ახალ მთვარემდე, შაბათიდან შაბათამდე, მოვა ყოველი ხორციელი ჩემს წინაშე სათაყვანოდ, ამბობს უფალი.

ჩვენ გავეცანით ესაია წინასწარმეტყველის მიერ უფალი ღმერთის ხილვის შედეგად მიღებულ ცოდნას დაწერილს ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამოდენიმე ათასწლეულის წინათ. მოუსმინეთ მას და ვფიქრობ, რომ გამოვიტანეთ სათანადო დასკვნები: თუ როგორ უნდა ვიშრომოთ, ვიმოქმედოთ ღვთიური ცოდნის მიხედვით ცხოვრებაში და რა გველოდება უახლეს მომავალში.

სადღეისოდ საქართველოში არის ყველაზე მთავარი პრობლემა,გაბრუებული ქართველი ხალხის გონზე მოყვა-ნა; თუ როგორ იმოქმედონ და იცხოვრონ მომავალში: ნათქვამია: „ვინ უნდა დამოძღვროს ცოდნით და ვის უნდა ჩააგონონ ამბავი? – რძეს მოწყვეტილთ, ძუძუანასხ-ლეტთ? ... სადღეისოდ ეს აბზაცი ძალზე აქტუალურია საქართველოში, რადგან სატანიზმმა გაანადგურა გა-ნათლების სისტემა, იქამდეც კი მივიდნენ, რომ ამ უდღეურებმა საშუალო სკოლების სწავლების პროგრამი-დან, ქართული ენის, დედა ენის, ქართველი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებების სწავლება ამოიღეს და მათი შეუსრულებელი სურვილის მიხედვით სურთ ქართველი ახალგაზრდობა დატოვონ ქართული ენისა და ლიტერა-ტურის ცოდნის გარეშე. მაშინ როდესაც უფალი ღმერთი სულ სხვანაირად ფიქრობს, რომ დედამიწაზე ყოველმა ერმა თუ არა, მისმა ნაწილმა მაინც უნდა ისწავლონ ქართული ენა. ამავე დროს სკოლებიდან, ინსტიტუტე-ბიდან, განათლების სისტემიდან გაყარეს ყველა გამოცდილი, მცოდნე, ღირსეული პედაგოგები და მათ ნაცვლად მოიყვანეს ზოგიერთი უვიცი, გამოუცდელი, შელახული რეპუტაციის ახალგაზრდა პედაგოგები; ამას თავი დავანებოთ და შემოიყვანეს ათასამდე უცხოელი ვითომ პედაგოგები და მათ უხდიან გაზრდილ ხელ-ფასებს. სამსახურებში ორმოცი წლის ზემოთ არცერთ გამოცდილ, მცოდნე შემოქმედ სპეციალისტებს არ ტოვებდნენ ან სამუშაოდ არ იღებდნენ. ამჟამად სატანები თვითონ გახდნენ ორმოცი და მეტი წლის, რატომ არ მიბრძანდებიან სამუშაო ადგილებიდან სახლში? რატომ არ უთმობენ მის ადგილს სხვა ღირსეულ ადამიანებს. თუმცა ჩვენ მათი განკითხვას კი არ ვითხოვთ,მათ უფალი

ღმერთი განიკითხავთ, არამედ, ვინ უნდა დამოძღვროს ქართველი ერი? ამაზე ფიქრმა ნაადრევად გამაჭაღარავა და ბოლოს მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ ორმოცდაათიან, სამოციან წლებში დაბადებულმა, გამოცდილმა, მცოდნე, ავტორიტეტულმა პიროვნებებმა უნდა ვიმოქმედოთ ერის ცოდნით დამოძღვრისათვის; ხოლო თუ როგორ და რა ვასწავლოთ მათ: საამისოდ დაწერილია მრავალი წიგნი, ლიტერატურა და ჩვენი მითითებით გამოვიყენებთ და გარკვეულ შედეგებს მივაღწევთ უფალი ღმერთის დახმარებითა და ხელშეწყობით.

***პავლე რომაელთა მიმართ:*** 1-16. ვინაიდან არ მრცხვენია ქრისტეს სახარების გამო, რადგან იგია ძალა ღმრთისა, ყველა მორწმუნის მხსნელი, პირველად იუდეველისა, შემდეგ კი ბერძნის.

17. ვინაიდან მასში ცხადდება სიმართლე ღმრთისა, სარწმუნოებიდან სარწმუნოებაში, როგორც დაწერილია: მართალი სარწმუნოებით იცოცხლებს.

18. რადგანაც რისხვა ღმრთისა ცხადდება ზეცით ყოველგვარი უღმერთოებისა თუ უსამართლობის მოქმედ კაცთა მიმართ, რომელნიც უსამართლობით ახშობენ ჭეშმარიტებას.

19. ვინაიდან რაც შეიძლება იცოდე ღმერთზე, ცხადია მათთვის, იმიტომ, რომ ღმერთმა გამოუცხადა მათ.

20. რადგან ის, რაც უხილავია მასში, მარადიული ძალა და ღვთაებრიობა მისი, სამყაროს შექმნიდან მისსავ ქმნილებებში ცნაურდება და ხილული ხდება; ასე რომ არ შეუძლიათ თავის მართლება.

21. და რაკი შეიცნეს ღმერთი, მაგრამ არ ადიდეს, როგორც ღმერთი, და არც მადლი შესწირეს, არამედ ამაონი იქმნენ თავიანთი ზრახვით, და დაბნელდა მათი უგონო თავი;

22. ბრძენკაცებად მოჰქონდათ თავი,და შლეგებად იქცნენ.

გარკვევითაა ნათქვამი,რომ უნდა შევიმეცნოთ ღმერთი, ღვთიური ცოდნა რწმენით და არა ზერელედ; ვადიდოთ და თაყვანი ვცეთ მის დიდებას, რომ უღმერთოებისთვის არ მივიღოთ ზეცით მოვლენილი რისხვა ჩვენი უკუღმართობისთვის.

სატანა იმიტომ აუშვა უფალმა ღმერთმა,რომ შეიქმნას სატანიზმი,რომელიც სასტიკ წამებისა და ზეწოლის ქვეშ მოგვაქცევს და თავისი ძალადობით, ბოროტმოქმედებით გვაიძულებს დაუბრუნდეთ მშველელ უფალ ღმერთს, შევიმეცნოთ მისი შემოქმედება და თაყვანი ვცეთ მარადცოცხალ, მარადშემოქმედს, რომ ჩამოგვაშოროს სატანები და გვიხსნას სატანიზმისაგან.

უფალი ღმერთი გველოდება ქართველ ხალხს, რომ დავიბრუნოთ რწმენა,ჩვენი ღვთიური ფუნქცია და სისტემატიურად შევასრულოთ ის. ვიყოთ კეთილსინდისიერი, შრომისა და მოყვასის მოყვარული ერი. ამ შემეცნებისა და მოქმედების შემდეგ მოგვიხსნის უფალი ღმერთი ჩვენზე მოწეულ რისხვას სატანიზმის განადგურებით; მოგვცემს შესაძლებლობას ვიცხოვროთ ბედნიერად საამქვეყნოში და საიმქვეყნად ...

***მესამე ეზრა:*** 4-26. მომიგო და თქვა: რაც მეტს გამოიძიებ, ხშირად გაოცდები; რადგან სწრაფად გადის ეს წუთისოფელი.

27. ძნელია თუ აღსრულდება, რაც მომავალში მართალთათვის არის თქმული. რადგან წუთისოფელი უსამართლობით და უმტკიცობით არის სავსე.

28. ამაზე მეკითხები და გეტყვი: დათესილია ბოროტება და ჯერ არ დამდგარა მისი ამოძირკვის ჟამი.

29. ამიტომაც, თუ განადგურდა, რაც დათესილია, და არ

აღიგავა ადგილი, სადაც ბოროტებაა დათესილი, არ მოგვევლინება ადგილი, სადაც სიკეთეა დათესილი.

30. რადგან ბოროტების თესლის მარცვალი ადამის გულშია დასაბამიდან ჩათესილი და რაოდენი უკეთურება წარმოშუა დღემდე და კიდევ წარმოშობს, ვიდრე მკის ჟამი მოაწევდეს.

31. განსაჯე შენთვის: უკეთურების რამდენ ნაყოფს გამოიღებს ბოროტების თესლის მარცვალი.

32. რა ფართო იქნება კალო, როცა უთვალავი თავთავი მოიმკება.

33. ვკითხე და ვთქვი: როდის და როგორ-მეთქი? რატომ არის ხანმოკლე და მძიმე ჩვენი წლები-მეთქი? ...

35. განა ამას არ კითხულობდნენ მართალთა სულები თავიანთ სამყოფელში, ამბობდნენ: როდემდის გვქონდეს იმედი? და როდისღა მოვა ჩვენი საზღაურის ნაყოფი?

36. ამაზე მიპასუხა იერემიელმა, მთავარანგელოზმა და თქვა: როცა აღივსება თესლთა რიცხვი, რადგან მან სასწორზე დადო წუთისოფელი;

37. საზომით გაზომა და რიცხვით აღრიცხა დრო-ჟამი და არ აღძრავს, არც დააჩქარებს მათ უზენაესი, ვიდრე არ აღივსება დათქმული საწყაული. ...

სატანიზმა უკვე დათქმულ რიცხვს კარგა ხანია გადააჭარბა და მან უკვე დადო სასწორზე წუთისოფელი. და თუ ასე გაგრძელდა, ალბათ დედამიწაზე მოისპობა სიცოცხლე; რადგან იმდენი მასიური განადგურების იარაღია დამზადებული, რომ დედამიწაზე სიცოცხლეს ერთხელ კი არა, რამოდენიმეჯერ მეტიც რომ იყოს მოსპობდა. თუმცა უფალი ღმერთი სატანა არაადამიანებს, მის მიერ შექმნილ სამყაროს არ გაანადგურებიებს და ამიტომ მოსპობს სატანიზმს, ბოროტების თესლს ამოძირკვავს და

კაცობრიობას გაათავისუფლებს ბოროტეულთა ბატონობისაგან, სატანიზმისაგან. სწორედ ამ აზრის კიდევ უფრო განსამტკიცებლად ჩავრთე მესამე ეზრას ეს უტყუარი, დამადასტურებელი მასალები.

***ესაია:*** 6-25. ყველა, ვინც გადაურჩება ამ ამბებს, რაც გიწინასწარმეტყველე, თავად იხსნის თავს და იხილავს ხსნას ჩემგნით და თქვენი წუთისოფლის აღსასრულს.

26. იხილავენ გადარჩენილნი, რომელთაც შობითგან არ უგემიათ სიკვდილი, შეიცვლება მიწის მკვიდრთა გული და გუნება მათი გარდაიქმნება.

27. წარიხოცება ბოროტება და აღიგვება სიცრუე.

28. რწმენა კი აყვავდება და დაიძლევა ხრწნილება, გამოცხადდება ჭეშმარიტება, რომელიც უნაყოფოდ იყო ამდენი ხანი. ...

ყოველი ბიბლიური ჭეშმარიტი წინასწარმეტყველება, ის რაც შეეხება წარსულს უკვე ახდა; რაც შეეხება დღევანდელ დღეს ჩვენს თვალწინ ხდება, რაც შეეხება მომავალს უეჭველად ახდება. ამდენად დაბეჯითებით ვთხოვ ყოველ მკითხველს შეასრულეთ უფალი ღმერთის ყოველი კანონი, აღთქმა და მოწოდება, რომ გადარჩეთ, გადაარჩინოთ თქვენი შთამომავლობა, სამშობლო და მოყვასი. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს არსებობას მალე დაესმება წერტილი და თქვენს ნამოქმედარს არავითარი აზრი არ აქვს. ...

ზემოთ მოყვანილი ფაქტების ახსნის თვალსაზრისით გავარკვიოთ სატანა ვინ ოხერია, საიდან მოვიდა და რას წარმოადგენს.

***იობი*** 1-7. უთხრა უფალმა სატანას: საიდან მოდიხარ? მიუგო სატანამ უფალს და უთხრა: ქვეყნად წანწალიდან და ხეტიალიდან.

თვით სატანა ქართული ენით ასე განიმარტება: სატანა

ანუ სა-ტანი-სა, მიანიშნებს წინ, ხოლო ტანი წინ ნიშნავს ადამიანი, რომელიც ტანის სურვილებს წინა პლანზე წამოწევს: კარგი ყველაფერი სურს, კვება, სიამოვნება, სიმდიდრე ბლომად, კარგი სექსი, ბინა, ავტომანქანა, ხოლო ტანს მუშაობა, ოფლის დაღვრა, სწავლა და სხვა ამნაირი რაც ყოველივე ამას მოუტანს, არ უნდათ. მაშ რა დარჩა სატანას, როგორ მიაღწიოს მიზანს? რა თქმა უნდა ბოროტმოქმედებით, ქურდობით, საკუთარი მოყვასის, სამშობლოს გაძარცვით, მექრთამეობით, გამოძალვით, ნარკოტიკების გასაღებით, თითქოს ბიზნესია და მონოპოლიის მოპოვებით რომელიმე პროდუქციაზე, რომ თვითონ აკონტროლოს ფასები; ამ გზით გაძარცვოს მოყვასი; მოსახლეობის მოტყვილებით, არჩევნების გაყალბებით, უსამართლობით და სხვა მრავალი ბოროტი ქმედებით. მას თუ ვინმე წინ აღუდგა ამ ბოროტების გზაზე შესაჩერებლად, მას მოკლავს. ამდენად: სატანა გახლავთ ის ადამიანი, რომელიც თავისი ტანის სიამოვნებისთვის ჩადის ყოველგვარ ბოროტებას დაწყებულს ქურდობით, ბოზობით, გარყვნილებით, ადამიანთა მკვლელობით დამთავრებული. სატანას არ აქვს განათლება, ადამიანური აღზრდა, ის სასტიკი ზარმაცი და ჯიუტია ბავშვობაში, ხოლო როდესაც გაიზრდება ყველაფერი კარგი მოუნდება უშრომელად და ამისთვის ჩადის ყოველგვარ ბოროტებას. ტანის სურვილთა მუდამ მზარდი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც ყოველ ადამიანს სურს, მაგრამ მის ტანში ჩასახლებული სული მას ხშირად შეახსენებს: ამას ნუ ჩაიდენ, ცოდვას, ნუ გააკეთებ ბოროტებას; ნუ მოკლავ... ასე არიდებს სატანა – ტანს, სული ცოდვების ჩადენას, მაგრამ ტანი ფიზიკური ძალით ჯაბნის უღონო სულს; ამით სულის მოთხოვნილებებს უკანა პლანზე გადაწევს

და ტანის სურვილების შესრულებას წინა პლანზე წამოწ-
ევს. სული ებრძვის ტანს, რადგან იცის ტანის ამ გზით
სიარული მალე მოიტანს სიკვდილს, ხოლო სულს არ
სურს ტანის ნაადრევი სიკვდილი და ამიტომ ებრძვის მას.
ამდენად სატანა ყოველი ადამიანის ტანშია და თუ სუ-
ლიერებამ, რწმენის დახმარებით მოახერხა სატანის განზ-
რახვათა შეჩერება, მაშინ ასეთი ადამიანი გახდება კაცი,
ზეკაცი, ღმერთკაცი და ანგელოზი. ...

***გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა*** 13-9. ვისაც
ყური აქვს, ისმინოს.

10. ვისაც ტყვედ მიჰყავს სხვა, თვითონ ტყვედ წაიყვანე-
ბა, ვინც მახვილითა ჰკლავს სხვას, თვითონაც მახვილით
მოკვდება; აქაა წმიდათა მოთმინება და რწმენა.

11. და ვიხილე სხვა მხეცი, მიწიდან ამომავალი; და
ჰქონდა ორი რქა, მსგავსი კრავისა, და იზრახდა, როგორც
ურჩხული.

12. და მოქმედებს მის წინაშე პირველი მხეცის მთელი
ხელმწიფებით და აიძულებს მთელს დედამიწას და მიწის
მკვიდრთ, თაყვანი სცენ პირველ მხეცს, ვისი სასიკვდილო
წყლულებაც განიკურნა.

13. და იქმს დიად სასწაულთ, ისე, რომ ზეცით ჩამოაქვს
ცეცხლი ქვეყნად კაცთა წინაშე.

14. და აცდუნებს მიწის მკვიდრთ სასწაულებით,
რომელთა ქმნაც მიეცა მას მხეცის წინაშე, და ეტყვის
მიწის მკვიდრთ, შექმნან ხატი მხეცისა, რომელსაც აქვს
წყლული მახვილისაგან და არის ცოცხალი.

15. და მიეცა იმის ძალა, რომ სული ჩაუდგას მხეცის
ხატს, რათა ხატი მოქმედებდეს და მეტყველებდეს, და
იქმოდეს იმას, რომ ვინც თაყვანს არა სცემს მხეცის ხატს,
მოკლული იქნეს.

16. და იქმს იმას, რომ ყველა, მცირე თუ დიდი, მდიდარი თუ ღატაკი, თავისუფალი თუ მონა, ყველა აღიბეჭდოს ნიშნით მათს მარჯვენა ხელსა თუ შუბლზე.

17. და ვერავინ იყიდის ან გაყიდის რამეს, გარდა იმისა, ვისაც აქვს ნიშანი, ან სახელი მხეცისა, ან მისი სახელის რიცხვი.

18. აქაა სიბრძნე, ვისაც აქვს გონება, გამოითვალოს მხეცის რიცხვი, ვინაიდან ესაა რიცხვი კაცისა, და რიცხვი მისი – ექვსას სამოცდაექვსი.

ყოველი იდუმალება იხსნება სხვადასხვა დროს შესაბამისად, სხვადასხვა ნაირად. თუმცა იოანეს გამოცხადება დაწერილია ამ ორი ათასი წლის დასაწყისში. მისი დღევანდელი დღესთან შესაბამისად შეგვიძლია ექვსას სამოცდაექვსი ავხსნათ შემდეგნაირად, რადგან ესაა მხეცის ანუ სატანა კაცის რიცხვი. ვიცით ბუნების კანონი, მოსახლეობის რაოდენობა რომ გაიზარდოს სისტემატიურად საჭიროა ვიცოდეთ, 1+1=3; რა თქმა უნდა მდედრს მიუმატოთ მამრი, ტოლია შვილთან ერთად სამის. ეს გახლავთ ჩვენს შემთხვევაში ერთი ოჯახი. ხოლო შვილმა აუცილებლად უნდა შეირთოს, ან ცოლად გაჰყვეს მეორე ოჯახის შვილს, სადაც იგივე კანონით 1+1=3 მოხდება მეორე თაობის წარმოშობა, ამდენად პირველ სამიანს დამატებული მეორე სამიანი არის ექვსი ანუ პირველი თაობის შედეგი. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაქორწინება ხდება სოციალურად გათანასწორებული ოჯახების დაახლოებით, რა თქმა უნდა არის გამონაკლისები. ამდენად სამი ექვსიანის შემთხვევაში საქმე გვაქვს სამ თაობასთან. პირველი თაობა ბაბუები, მეორე თაობა შვილები და მესამე თაობა შვილიშვილები.

***პავლე რომაელთა მიმართ:*** 13-1. დაე, ყოველი სული

უზენაეს ხელმწიფებას დაემორჩილოს, ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება თუ არა ღვთისაგან; დიახ, ყოველი ხელმწიფება ღმრთის მიერ დადგენილია.

2. ამიტომ, ვინც ეწინააღმდეგება ხელმწიფებას, ღმერთის განჩინებას ეწინააღმდეგება; ხოლო წინააღმდგომნი თვითონვე მოიწევენ თავიანთ თავზე სასჯელს.

3. ვინაიდან მთავარნი კეთილის მოქმედებისთვის კი არა, ბოროტმოქმედებისთვის არიან საშიშნი. შენ გინდა, არ გეშინოდეს ხელმწიფებისა? კეთილი ჰქმენ, და იქნები მისგან.

4. რადგანაც იგი ღმერთის მსახურია, შენდა სასიკეთოდ; მაგრამ თუ ბოროტს სჩადიხარ, გეშინოდეს, ვინაიდან ტყუილად როდი არტყია ხმალი: იმისთვის, რომ ღმრთის მსახურია, რისხვით შურისმგებელი ბოროტმოქმედთა მიმართ.

5. ამიტომაც გვმართებს მორჩილება, არა მარტო სასჯელის შიშით, არამედ სინდისითაც.

რა თქმა უნდა ბიბლია მაშინდელმა თავადაზნაურობამ არ იცოდნენ; ან საიდან ეცოდინებოდათ, მთელი დღე ორთაჭალის ბაღში ქეიფობდნენ და დროს ატარებდნენ. ამ დროს კი მუშათა კლასი კომუნისტების ხელმძღვანელობით სახელმწიფოს ხელისუფლებაში მოვიდნენ. მათ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა თავადაზნაურობა. მათ არ მოწონდათ კომუნისტების იდეები: საქართველოში იმ დროისათვის გაყიდული იყო უცხოელებზე ერთ მილიონამდე ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ყველა ეს მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ დაუბრუნდა გლეხობას, სახელმწიფოს, მიწის კანონიერ მფლობელებს: მემამულეებს, თავადებს, აზნაურებს, დაუტოვეს მხოლოდ მისი ოჯახისთვის აუცილებლად საჭირო მიწის ნაკვეთები და ზედმეტად მიმჩ-

ნეული მიწის ნაკვეთები ჩამოათვეს და სახელმწიფოს საკუთრებაში გამოაცხადეს. კაპიტალისტებს ჩამოართვეს ფაბრიკა-ქარხნები და საერთო სახალხო ანუ სახელმწიფო საკუთრებაში დააკანონეს. ამით საბჭოთა ხელისუფლებამ გაიჩინა მრავალი მტერი, თუმცა ამავე დროს შეიძინა მრავალი მოყვარე გლეხობისა და მუშათა კლასის სახით. ილია ჭავჭავაძე გვასწავლის, „ღარიბსა და მდიდარს შორის სიყვარული სიზმარია, მათ შორის ბეწვის ხიდია გადებული, ან ჩამტვრეული". სწორედ როგორც დღეს, ასევე მაშინ იყო ხალხის უმრავლესობა გაღატაკებული, ხოლო გარკვეული მცირე ნაწილი გამდიდრებული და ქეიფის ხასიათზე მოსული. სწორედ ეს გახლავთ საქართველოს მოსახლეობის ორად გახლეჩის ძირითადი მიზეზი. ამიტომ იყო მაშინდელ მენშევიკურ მთავრობას მხარში არ ამოუდგა მუშათა კლასი, გლეხობა, რუსეთთან ომში დამარცხდნენ და ორივე მხარე სასტიკად დაზარალდა, რადგან თავად-აზნაურობას მათი პრივილეგიების დათმობა არ სურდა და მუშათა კლასს, გლეხობას მათი მუქთად სამსახური არ უნდოდა. ამ შეუთანხმებლობამ გამოიწვია ის, რაც მოხდა საქართველოში ისტორიის ამ პერიოდში.

ეს მტრობა დიდხანს გაგრძელდა, 1936-37 წლამდე. ამ დროს დაიწყო ევროპაში ომის საშიშროება გერმანიის მხრიდან. ამიტომ სტალინი იძულებული გახდა ჩაეტარებია პარტიის რიგების წმენდა მერყევი წევრებისაგან; ყველა შინაური მტრებისაგან განეწმინდა საბჭოთა სახელმწიფო, რადგან ომის დაწყების შემთხვევაში მას წინააღმდეგობის გაწევა მოუწევდა, როგორც გარეშე ისევე შინაურ მტრებთან. ამ დროს თვით მოსახლეობას შორის არსებულმა შურმა და მტრობამ დიდი გავლენა მოახდინა

იმაზე, რომ ზოგიერთი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა ამ რეპრესიებს. სწორედ ეს რეპრესირებული ადამიანები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ოცდათექვსმეტ-ოცდაჩვიდმეტ წლებში გახლდათ ბაბუები დღევანდელი შვილიშვილებისა, რომლებიც დღეს მართავენ საქართველოს. და როგორ უყვართ საქართველო, საკუთარი მოყვასი და როგორ პატივს სცემენ საკუთარ ბაბუებს, მამებს და საერთოდ წინაპრებს; ამაზე პასუხი თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო. რა თქმა უნდა ამ სამ თაობას საკუთარი გვარიშვილობისა და გენური კოდი თან მოყვებოდა, მაგრამ თუ ასე გაიმეტებდნენ და გაწირავდნენ საკუთარ სამშობლოსს, მოყვასს, ვინ წარმოიდგენდა. მათ უბრალოდ პატივი არ სცეს საკუთარ წინაპრებს; შეარცხვინეს მათი საფლავები და იოსებ სტალინის წინასწარმეტყველება, რომ მოვლენ რეპრესირებულთა შვილიშვილები და დაამტკიცებენ, თუ როგორ უყვართ მათ საქართველო? მე რომ ის რეპრესიები არ ჩამეტარებია, მათი ბაბუები, მამები, იმავეს გააკეთებდნენ, რასაც დღეს მათი შვილიშვილები აკეთებენ“.

იოსებ სტალინი ქართველი, საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური მართველი, თხუთმეტი სახელმწიფოს მეფეთა მეფე უფალი ღმერთის ნებით იყო დასმული ამ ქვეყნის მმართველად; და მის წინააღმდეგ მოქმედება გახლდათ უფალი ღმერთის ნების წინააღმდეგ მოქმედება და ყველა ამ უფლის ნების მოწინააღმდეგე შეეწირა ამ რეპრესიებს. ბევრი ეძებს და ერთი ფაქტიც კი ვერ იპოვეს, ვერ დაადასტურეს, რომ იოსებ სტალინს ვინმეს დახვრეტაზე ბრძანება ან მითითება გაეცეს.

***სიბრძნე ზირაქისა:*** 10-4. უფლის ხელშია ქვეყნის მეუფება და საჭირო კაცს დროულად აღაზევებს მასზე.

შოთა რუსთაველი შეგვახსენებს: „მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ყოველი ხელმწიფე არის უფალი ღმერთის დაბრძანებული და იმას აკეთებს, რასაც ის თხოვს მას. ამდენად ჩვენი განსჯა ამა თუ იმ მეფის საქმიანობის მიმართ არასწორია, რადგან თვით უფალი ღმერთი შეგვახსენებს „ნუ განიკითხავო“. ისტორია კი ნიშნავს, ის რაც ხდება ღმერთის ნებით, ისაა სწორი. ...

# თავი მესამე

წარმოგიდგენთ ძველი აღთქმიდან ***იერემია წინასწარმეტყველს:*** 1-2. რომლის მიმართ იყო უფლის სიტყვა იუდას მეფის იოაშ ამონის ძის დროს. მისი მეფობის მეცამეტე წელს. ...

1-14. მითხრა უფალმა: ჩრდილოეთიდან დაატყდება თავს უბედურება ქვეყნის ყველა მკვიდრს.

15. აჰა, მოვუხმობ ჩრდილოეთის სამეფოთა ყველა ტომს, ამბობს უფალი, მოვლენ და თითოეული ტახტს დაიდგამს იერუსალიმის კარიბჭესთან, მის ყველა კედელთან ირგვლივ და იუდას ყველა ქალაქში. ...

2-3. უფლის სიწმიდეა ისრაელი, მისი მოსავლის ნათავარი; ყოველი მისი მჭამელი დადანაშაულდება, უბედურება დაატყდება თავს, ამბობს უფალი. ...

26. როგორც ქურდს შერცხვება ხოლმე, როცა წაასწრებენ, ასე შეირცხვინა თავი ისრაელის ხალხმა, მისმა მეფეებმა, მთავრებმა, მღვდლებმა, წინასწარმეტყველებმა.

3-11. მითხრა უფალმა: განდგომილი ისრაელი უფრო წრფელი გამოდგა, ვიდრე მოღალატე იუდა.

14. მოიქეცით, გაქცეულო შვილებო, ამბობს უფალი, რადგან მე ვარ თქვენი პატრონი. სათითაოდ გამოგიყვანთ ქალაქიდან, ოთხ-ოთხს საგვარეულოდან, და მიგიყვანთ სიონში.

15. დაგიყენებთ ჩემი გულით ამორჩეულ მწყემსს და ის დაგმწყემსავთ თქვენ გონივრულად და ბრძნულად. ...

17. იმ ხანად უფლის ტახტად იქნება წოდებული იერუსალიმი; მასთან მოიყრის თავს ყველა ხალხი იერუსალიმში უფლის სახელით და აღარ აჰყვებიან ბოროტ გულისთქმას. ...

4-14. გულიდან ამოირეცხე ბოროტება, იერუსალიმო, რომ გადარჩე! როდემდის უნდა იბუდოს შენს წიაღში უკეთურმა ზრახვებმა? ...

18. შენმა საქციელმა და ნამოქმედარმა დაგმართა ეს ყველაფერი, ისე მწარეა ეს შენი ცოდვა, რომ გულამდე გიწია. ...

22. ეჰე, უგუნურია ჩემი ერი, არ მცნობს მე, ბრიყვი ბავშვები არიან ისინი, გაგება არა აქვთ, ბოროტის საქმნელად ჭკუა ყოფნით, სიკეთის კეთება კი არ იციან. ...

27. რადგან ასე ამბობს უფალი: გაუდაბურდება მთელი ქვეყანა, თუმცა საბოლოოდ არ გავანადგურებ. ...

6-13. რადგან პატარიდან დიდამდე ყველა მომხვეჭელია, წინასწარმეტყველიდან მღვდლამდე ყველა ყალბის მქმნელია. ...

22. ასე ამბობს უფალი: აჰა, მოვა ერი ჩრდილოეთის ქვეყნიდან, დიდძალი ხალხი აღდგება ქვეყნის კიდეებიდან.

7-9. ქურდობთ, კაცისმკვლელობთ, ბოზობთ, ცრუდ იფიცავთ, ბალს უკმევთ, მისდევთ უცხო ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდით. ...

10-22. აჰა, ხმა მოდის და მიწა იძვრის ჩრდილოეთიდან, უდაბნოდ და ტურების ბუნაგად აქციოს იუდას ქალაქები. ...

11-3. უთხარი მათ, ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: წყეულიმც იყოს კაცი, ვინც არ გაიგონებს ამ აღთქმის სიტყვებს. ...

8. მაგრამ არ გაიგონეს, ყური არ მიაბრყეს, ყველა თავის ბოროტ გულისთქმას აჰყვა, და მეც მოვაწიე მათზე სიტყვები ამ აღთქმის, რომლის შესრულება უბრძანე მათ და არ შეასრულეს. ...

12-14. ასე ამბობს უფალი: ყველა ჩემს ბოროტ მეზობელს, რომელთაც ხელჰყვეს სამკვიდრო, ჩემს ერს რომ დავუმკვიდრე, წარვხოცავ მათ ქვეყნიდან, და იუდას სახელსაც წარვხოცავ მათთან ერთად.

15. წარვხოცავ და მერე კვლავ შევიწყალებ, თავ-თავის სამკვიდროში და თავ-თავის ქვეყანაში დავაბრუნებ ყველას.

16. თუ ისწავლიან ჩემი ერის გზას, რომ დაიფიცონ ჩემი სახელი, ცოცხალ არს უფალი, როგორც მათ ასწავლეს ჩემს ერს ბაალის ფიცი, ისინიც აშენდებიან ჩემს ერთად ერთად.

17. მაგრამ თუ არაფერს გაიგონებენ, სრულიად ამოვხოცავ ამ ხალხს და გავანადგურებ, ამბობს უფალი. ...

13-16. მიაგეთ პატივი უფალს, თქვენს ღმერთს, ვიდრე არ ჩამოუბნელებია, ვიდრე არ წაფორხილებულხართ მწუხრის მთებზე. სინათლის იმედი გქონდეთ, მაგრამ წყვდიადად გადააქცევს, სიბნელედ შეცვლის.

17. თუ ამას არ გაიგონებთ, იდუმალ იტირებს ჩემი სული თქვენი სიჯიუტის გამო, მწარედ აქვითინდება, ცრემლები წასკდება ჩემს თვალებს, რადგან ტყვედ წაასხამენ უფლის სამწყსოს.

18. უთხარი მეფეს და დედოფალს: ჩამოდით ტახტიდან და ძირს დასხედით, რადგან მოგეხადათ თქვენი მშვენიერი გვირგვინი.
19. სამხრეთის ქალაქები ჩაკეტილია და არავინაა გამღები. განდევნილია მთელი იუდა, პირისპირ განდევნილი.
20. აახილეთ თვალი და შეხედეთ ჩრდილოეთიდან მომავალთ, სად არის სამწყსო, შენ რომ ჩაგაბარეს, შენი მშვენიერი ფარა?
21. რას იტყვი, როცა მოგთხოვენ პასუხს? შენ თავად არ ასწავლე მათ, როგორ ებატონათ შენზე. განა კრუნჩხვები არ გტანჯავს მშობიარე ქალივით?
როდესაც ამ სტრიქონებს ვკითხულობდი, ტანში უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა და ყველაფერს მივხვდი; თუ უფალ ღმერთს როგორ ჰქონდა წინასწარ, რამდენიმე ათასი წლის წინათ დაგეგმილი, ისტორიის ამა თუ იმ დროს რა უნდა მომხდარიყო. და ამის შესახებ წინასწარმეტყველის ბაგეებით ესაუბრებოდა საკუთარ ერს. საბოლოოდ დამტკიცდა ჩემი ეჭვი, რომ ისრაელი საქართველოა და ყოველი გამონათქვამი საქართველოს მიმართაა წარმოთქმული. უფალი გვამცნობს, რომ დღეის მდგომარეობით „სამხრეთის ქალაქები ჩაკეტილია და იუდა პირწმინდად განდევნილი“. სწორედ აქედან, სამცხე-ჯავახეთიდან იქნა განდევნილი ეგრე წოდებული თურქი მესხები, ანუ იუდეველები, წარმოშობით ქრისტიან მართლმადიდებლები, ძალადობით გამაჰმადიანებულნი, საქართველოს მოსახლეობის მტრებად იქცნენ. მაშინ, როცა მიმდინარეობდა ამ მხარის ათვისება, ქართველი მოსახლეობის ჩასახლება, მაშინ თურქ მესხებმა ყოველმხრივ ხელი შეუშალეს ამ კეთილშობილურ საქმის ბოლომდე მიყ-

ვანას; ღამით თავს ესხმოდნენ ქართველ ოჯახებს და დედაბუდიანათ ყველას კლავდნენ და ანადგურებდნენ. მათ მიმართ არავითარმა ღონისძიებამ არ გაჭრა და ბოლოს ყველანი გადაასახლეს იმ მხარეში, სადაც მუსლიმანები ძალზე ბლომად ცხოვრობდნენ. ...

იძულებით, ძალადობით, დაშინებით სარწმუნოების შეცვლა და სხვა რჯულზე მოქცევა ეს არა ღვთიურია და ასეთი იძულებით რწმენა შეცვლილი მოსახლეობა უფალი ღმერთის მიერ რჩება თავის ძველ სარწმუნოებაზე მართლმადიდებელ ქრისტიანებად, ოღონდ თვითონ უნდა მოინანიონ, რაც მოხდა და აღიარონ მართლმადიდებლური ქრისტიანობა. ასე, მაგალითად, ვიცით რომ აჭარელი მართლმედიდებლები თურქებმა უდიდესი ზეწოლის შედეგად გაამუსლიმანეს, ხოლო ისინი რწმენის მიხედვით ქრისტიან მართლმადიდებლად ითვლებიან. უკვე გავიდა ორასი წელი რომ აჭარა დაუბრუნდა დედა სამშობლოს საქართველოს და არ გამოჩნდა ვინმე ღვთის კაცი, რომ აეხსნა აჭარლებისთვის მათი მუსლიმანური სარწმუნოებაზე ყოფნა უდიდესი ცოდვაა უფალი ღმერთის წინაშე. ისინი ნებაყოფნობით უნდა დაბრუნებოდნენ ქრისტიანულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას; ამით მოიხსნიან იმ უდიდეს ცოდვას, რომელსაც დღემდე ატარებენ. ვთხოვ ჩემს საყვარელ აჭარლებს განაგდონ სატანა ეშმაკი და თაყვანი სცენ ჭეშმარიტ მართლმადიდებელ უფალ ღმერთს, საქართველოს ღმერთს, ღმერთების ღმერთს მთელს დედამიწაზე.

13-22. იტყვი გულში: რატომ მეწია ეს ყველაფერი? - დიდი დანაშაულის გამო, რომ გაგშიშვლებია კალთები და ქუსლები გამოგჩენია.

23. თუ შეიცვლის ზანგი თავის კანს და ვეფხვი თავის

აჭრელებულ ბეწვს? თქვენც, სიბოროტეს დაჩვეულნი, თუ შეძლებთ სიკეთის ქმნას?

24. გავანიავებ მათ ბზესავით უდაბნოს ქარში.

25. ეს არის შენი წილი, ეს ხვედრი გეკუთვნის ჩემგან, ამბობს უფალი, რაკი დამივიწყე და სიცრუის იმედი გქონდა. ...

14-12. შეუდგებიან მარხვას, მაგრამ მე არ მოვისმენ მათ ვედრებას. მომიტანენ აღსავლენს და შესაწირავს, მაინც არ შევიტკბობ მათ, რადგან მახვილით, შიმშილით და შავი ჭირით ვაპირებ მათ ამოწყვეტას.

სწორედ ასეთი უბედურება გვჭირს და რაც შეიძლება მალე უნდა მოვიდეთ გონს, ვიმოქმედოთ, რომ უფალი ღმერთი ჩვენს მიმართ შემწყალე გახდეს და შეგვინდოს ყველა ჩადენილი ცოდვები, რომ მოწყალების თვალით გადმოგვხედოს.

მარტო: სალოცავში, ღვთის სახლში, საყდარში, ტაძარში სიარული, სანთელის ანთება და პირჯვრის გადაწერა არ შველის მორწმუნე ერს, ადამიანს, ქრისტიან მართლმადიდებელს, არამედ მთელი სულით, გულით, გონებით უნდა შევიყვაროთ უფალი ღმერთი და ჩვენი მოყვასი. ვიცხოვროთ სამართლით და სიმართლით. უარვყოთ სატანა, სატანიზმი და ყოველგვარი ბოროტი საქმე. ... ამავე დროს კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ქართულ ენაზე მეტყველება, რადგან უფალი ღმერთის ენაა ის. დავიცვათ და თაყვანი ვცეთ ჩვენს სამშობლო საქართველოს, მის ღმერთს ცაბაოთ უფალს, ანუ ქართველი ერის ცასთან, ზეციურ ძალებთან მიბმის უფალს. ...

***იერემია*** 15-19. ასე ამბობს უფალი: თუ შეინანებ, მოგაბრუნებ, რომ დადგე ჩემს წინაშე; თუ ძვირფასიანს

გამოარჩევ უფასურისგან, ჩემს ბაგესავით იქნები. ისინი მობრუნდებიან შენსკენ, შენ კი არ მიუბრუნდები მათ.

20. დაგაყენებ ამ ხალხის წინ სპილენძის მაგარ კედლად; შეგებრძოლებიან, მაგრამ ვერ გძლევენ, რადგან შენთან ვიქნები, რომ გიხსნა და დაგიფარო, ამბობს უფალი.

21. დაგიფარავ ბოროტმოქმედთაგან და დაგიხსნი უწყალოთა ხელიდან.

16-14. აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, როცა აღარ იტყვიან: ვფიცავ უფალს, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოიყვანა ისრაელიანებიო,

15. არამედ: ვფიცავ უფალს, რომელმაც გამოგვიყვანა ისრაელიანები ჩრდილოეთის ქვეყნიდან და ყველა ქვეყნიდან, სადაც კი განდევნილი ჰყავდა ისინიო, რადგან დავაბრუნებ მათ თავიანთ მიწაზე, რომელიც მათ მამაპაპას მივეცი. ...

ამ აბზაცის წაკითხვის შემდეგ დღესავით ნათელი გახდა, რომ საუბარია ჩრდილოეთით რუსეთზე და სამხრეთით საქართველოზე. ხოლო იზრაილის ჩრდილოეთით ზღვებია დაფუძნებული. ...

16-18. ჯერ ორმაგად ვაზღვევინებ მათ მათი დანაშაულისა და ცოდვების გამო, რომ წარყვნეს ჩემი მიწა; საკერპო გვამებით და სისაძაგლით რომ აავსეს ჩემი სამკვიდრო.

17-5. ასე ამბობს უფალი: დაწყევლილია კაცი, რომელსაც ადამიანის იმედი აქვს და ხორციელში ეძებს შემწეობას, გულით კი შორდება უფალს.

7. კურთხეულია კაცი, რომელიც ესავს უფალს და უფალია მისი საესავი. ...

21-1. ვაი მწყემსებს, რომლებიც ღუპავენ და ფანტავენ ჩემს სამწყსოს ცხვარს, ამბობს უფალი.

2. ამიტომ ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი, მწყემსებზე, რომლებიც მწყემსავენ ჩემს ერს; თქვენ გაფანტეთ ჩემი ცხვარი, თქვენ გარეკეთ იგი და ყური არ უგდეთ. აჰა, მე ვუგდებ ყურს თქვენს ბოროტ საქციელს, ამბობს უფალი.

3. მე თავად მოუყრი თავს ჩემს ცხვარს ყველა ქვეყნიდან, სადაც გავყარე ისინი. დავაბრუნებ მათ თავიანთ საძოვარზე, ინაყოფიერებენ და იმრავლებენ.

4. დაუყენებ მწყემსს და ისინი დამწყემსავენ მათ, აღარ შეშინდებიან, არ დაფრთხებიან, არ დაიკარგებიან, ამბობს უფალი.

5. აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, და აღვადგენ დავითს მართალ მორჩს; მეფედ და ბრძნულად მოიქცევა; გააჩენს სამართალს და სიმართლეს ქვეყანაში. ...

7. ამიტომ, აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, და აღარ იტყვიან: ვფიცავ უფალს, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოიყვანა ისრაელიანები,

8. არამედ: ვფიცავ უფალს, რომელმაც გამოიყვანა და რომელმაც მოგვიყვანა ისრაელის სახლის თესლი ჩრდილოეთის ქვეყნიდან და ყველა ქვეყნიდან, სადაც გავყარე ისინი. და იცხოვრებენ თავიანთ მიწებზე. ...

25-11. გაოხრდება და გაუკაცრიელდება მთელი ეს ქვეყანა, ბაბილონის ქვეყნის მორჩილებაში იქნებიან სამოცდაათ წელიწადს ეს ხალხები.

12. შესრულდება სამოცდაათი წელი და მე დავსჯი ბაბილონის მეფეს და ამ ხალხს, ამბობს უფალი; ქალდეველთა ქვეყანას მათი დანაშაულის გამო; და სამარადისო უდაბნოდ ვაქცევ მათ.

ჩვენს შემთხვევაში ბაბილონის ქვეყანაში ნაგულისხმევია ჩრდილოეთით რუსეთის სახელმწიფო. სწორედ საბ-

ჭოთა რუსეთის შემადგენლობაში იყო საქართველო სამოცდაათი წელი. ...

25-13. ავახდენ ამ ქვეყანაზე ყოველ სიტყვას, რაც მათზე მითქვამს, ყველაფერს, რაც ამ წიგნშია ჩაწერილი, რაც კი იერემიას უწინასწარმეტყველნია ყველა ამ ხალხზე.

14. რათა მათაც დაიმონებენ მრავალრიცხოვანი ხალხები და დიდი მეფეები, მაგრამ მე მივაგებ მათ, მათი საქმისამებრ და მათი ხელის ნამოქმედარისამებრ.

15. რადგან ასე მითხრა უფალმა, ისრაელის ღმერთმა: გამოართვი რისხვის ღვინით სავსე თასი და შეასვი ყველა ხალხს, ვისთანაც გაგზავნი.

16. შესვან, შებარბაცდნენ და შეიშალონ მახვილის წინაშე, რომელსაც ჩავაგდებ მათ შორის.

17. გამოვართვი თასი უფალს და შევასვი ყველა ხალხს, ვისთანაც გამაგზავნა უფალმა.

18. იერუსალიმს, იუდას ქალაქებს და მის მეფეებს და მთავრებს, რომ გაეოხრებინა, გაეხადა შემზარავი და სამარცხვიხო სანახავი და შეეჩვენებინა, როგორც დღეს არიან. ...

25-31. ქვეყნის კიდემდე მიაღწევს განგაში, რადგან დავა ექნება უფალს ხალხებთან; ყველა ხორციელის განსჯას აპირებს, ბოროტმოქმედნი მახვილს უნდა მიეცეს, ამბობს უფალი. ...

33. ქვეყნის კიდიდან კიდემდე ეყრებიან იმ დღეს უფლის დახოცილნი. არავინ დაიტირებს, არავინ აკრეფს, არავინ დამარხავს, ნეხვივით ეყრებიან მიწის პირზე. ...

35. გასაქცევი აღარ ექნებათ მწყემსებს და თავშესაფარი – ჯოგის პატრონებს.

30-10. ნუ გეშინია, ჩემო მორჩილო იაკობ, ამბობს უფალი, ნუ ფრთხი, ისრაელ, რადგან აჰა, დავიხსნი შენს თავს

შორეთიდან და შენს მოდგმას მისი ტყვეობის ქვეყნიდან. დაბრუნდება იაკობი, იცხოვრებს მშვიდად და მყუდროდ, და აღარ იქნება დამაფრთხობელი.

11. რადგან შენთანა ვარ, ამბობს უფალი, რომ გიხსნა; რადგან ბოლოს მოუღებ ყველა ხალხს, რომელთა შორისაც მყავხარ გაფანტული; შენ კი არ მოგიღებ ბოლოს, ოღონდ დაგსჯი სამართლიანად, დაუსჯელს არ დაგტოვებ. ...

16. და მაინც შეიჭმებიან შენი მჭამელები, შენი მტრები, ტყვეობაში წავლენ ყველანი. აოხრდებიან შენი ამაოხრებლები, გაძარცვავენ შენს მძარცველებს. ...

30-21. მისგანვე იქნება მისი მთავარი და მისივე წიაღიდან გამოვა მისი განმგებელი. მოვიახლოვებ მას და ისიც ახლოს მოვა, რადგან ვინ გაბედავს ჩემთან მოსვლას? ამბობს უფალი. ...

31-7. აჰა, წამოვიყვან მათ ჩრდილო ქვეყნიდან და თავს მოუყრი ქვეყნის, კიდეებიდან...

30. აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, და ახალ აღთქმას დაუდებ ისრაელის სახლს იმ დროს შესახებ, ამბობს უფალი. წიაღში ჩაუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ. მათი ღმერთი ვიქნები მე და ისინი ჩემი ერი იქნებიან..

34-14. ყოველ მეშვიდე წელს გაუშვით თითოეულმა თქვენი მოძმე ებრაელი, რომელიც მოგეყიდათ და ექვს წელიწადს გემსახურებოდათ. თავისუფლად გაუშვით-მეთქი შენგან. მაგრამ არ გაიგონა თქვენმა მამა-პაპამ და ყური არ მათხოვა.

15. თქვენ მოინანიეთ და სწორად მოიქეცით ჩემს თვალში რომ თვითოეულმა თავისუფლება გამოუცხადა თავის მოძმეს. და ჩემს წინაშე აღთქმა დადო ამ სახლში, რომელიც ჩემი სახელით იწოდება. ...

50-5. სიონის გზას იკითხავენ, აქეთ ექნებათ პირი, მოვლენ, რომ შეეკრან უფალს საუკუნო, დაუვიწყარი აღთქმით. ...

თ50-33. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: დათრგუნული არიან ისრაელიანები და იუდეველნიც; მაგრად უჭირავთ ისინი მათ დამატყევართ, არ უნდათ მათი გაშვება.

თავ 25-35-ში ნათქვამია „გასაქცევი აღარ ექნებათ მწყემსებს და თავშესაფარი  ჯოგის პატრონებს". რა თქმა უნდა, თუ ისევ გააგრძელებენ საქართველოს და მისი მოსახლეობის ძარცვას, გაერთობიან ამ პროცესში, დაავიწყდებათ მათ მიერ ჩადენილი უსასტიკესი ცოდვები და ამ დროს კარზე დაუკაკუნებს უფალი ღმერთის ანგელოზი და მოკითხავს ყოველი ჩადენილი ბოროტებაზე პასუხს. ამდენად ბოლოს და ბოლოს ადამიანები არიან დღეს-დღეობით და შეწყვიტონ ბოროტი საქმეების კეთება, იკმარონ რაც ბოროტებით უშოვნიათ და გასცილდნენ საქართველოს; თუმცა უფალ ღმერთს ვერსად დაემალებიან, მაგრამ ამ საქციელის გამო შესაძლოა უფალმა შეუნდოთ და აპატიოთ ჩადენილი ცოდვები; მაგრამ თუ ფაქტზე მოუსწრო განკითხვამ მაშინ კი არაფერი უშველით. ...

რა თქმა უნდა, რუსეთს საქართველოს გაშვება არ უნდა, რადგან მათ კარგად იციან, რომ ქართველი ხალხის გარეშე არცერთი დიდი საქვეყნო საქმე არ გაუკეთებიათ. ამას ვერ ელევიან რუსები, თუმცა ვერც „ველიკო რუსულ შოვინიზმს" თმობენ და ყველაფერს აკეთებენ, რომ ძალადობით საქართველოსთან ურთიერთობა შეინარჩუნონ. ასე, მაგალითად, თითქმის გადაწყვეტილი გახლდათ საქართველოს ნატოში შესვლა, მაგრამ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა, რომ ეს შეთანხმება ჩაეშალათ,

რადგან არცერთი დიდი ომი რუსებს, ქართველი მხედართმთავრების გარეშე არ მოუგიათ და იციან, თუ ქართველები მათ მხარეს იბრძვიან, გამარჯვება გარანტირებულია. ამდენად რუსები არ დაუშვებს იმას, რომ ქართველები მოწინააღმდეგეთა მხარეს გადავიდნენ? მათ იციან, რომ ეს მათთვის გარანტირებული დამარცხებაა და ამას არ დაუშვებენ. ხოლო საქართველოს დღევანდელი ხელისუფალნი ამდენს ვერ ფიქრობენ და ამიტომაც მიდის ჩვენი საქმე უკუღმა. ...

„ყოველ მეშვიდე წელს გაუშვით თვითოეულმა თქვენი მოძმე ებრაელი, რომელიც მოგეყიდათ და ექვს წელიწადს გემსახურებოდათ". ... ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ ბიბლია ებრაელების მიერაა დაწერილი? ებრაელები ბიბლიის დამწერი ერი რომ იყოს, მაშინ ამას დაწერდნენ? ან პეტრეს დაჭირდებოდა იმ წერილის მიწერა მათდამი, რომელსაც თავის წერილებში წერს? ამდენად ჩვენი ყოველი მოსაზრება ბიბლიის დამწერ ერზე, ქართველების მიმართ სწორია და ნამდვილი.

***იერემია*** 50-46. მოვა ბაბილონის აღების ამბავი და შეძრწუნდება ქვეყანა, კივილის ხმა გაისმება ხალხებში. ...

51-8. უეცრად დაეცა ბაბილონი და დაილეწა; ივალალეთ მასზე, მოიდეთ ბალსამონი მისი ჭრილობებისთვის, იქნებ განიკურნოს. ...

10. უფალმა გამოიტანა ჩვენი სიმართლე, წავიდეთ და გავაცხადოთ სიონზე უფლის, ჩვენი ღმერთის, ნამოქმედარი. ...

36. ამიტომ, ასე ამბობს უფალი: აჰა, დავიცავ შენს სიმართლეს და შენს გამო ვიძიებ შურს. ამოვაშრობ მის ზღვას და დავშრეტ წყაროს. ...

49. როგორც ბაბილონმა დასცა ისრაელის დახოცილ-

ნი, ასე ბაბილონშიც დაეცემიან მთელი ქვეყნის დახოცილნი. ...

57. დავათრობ მის გამგებლებს და მის მეომრებს; დაიძინებენ საუკუნო ძილით და ვერასოდეს გაიღვიძებენ, ამბობს მეფე, ცაბაოთ უფალია მისი სახელი. ...

# თავი მეოთხე

ძველი აღთქმიდან გავეცნოთ უფალი ღმერთის წინასწარმეტყველ ***ეზეკიელს***.

1-1. ოცდამეათე წელს, მეორე თვეს მეხუთე დღეს, როცა ტყვეთა შორის ვიმყოფებოდი მდინარე ქებორის პირას; გაიხსნა ცა და ვიხილე ღვთიური ხილვა.

3. გამომეცხადა უფლის სიტყვა ეზეკიელს, ბუზის ძეს, მღვდელს, ქალდეველთა ქვეყანაში, მდინარე ქებორის პირას, და იყო – ჩემზე უფლის ხელი.

28. როგორც ცისარტყელა ჩანს ღრუბლებში წვიმიან დღეს, ასე ჩანდა ეს ნათება ირგვლივ: უფლის დიდების მსგავსი იყო ეს ხილვა. ვიხილე და პირქვე დავემხე, და მომესმა ხმა მეტყველისა.

2- 2. შემოვიდა ჩემში სული, ვინც მელაპარაკებოდა, და ფეხზე დამაყენა; და მესმოდა მისი, ვინც მელაპარაკებოდა.

3. მითხრა: ადამის ძევ! მიგავლინებ ისრაელიანებთან, მოჯანყე ხალხთან, რომლებიც მიჯანყდებიან მე, მცოდავენ ისინი და მათი მამა-პაპა დღესამომდე.

4. ურცხვი და ჯიუტი შვილები არიან, მათთან გაგზავნი, რომ უთხრა, ასე ამბობს უფალი ღმერთი.

5. გინდ გისმინონ, გინდ არ გისმინონ, რადგან ურჩნი არიან, ეცოდინებათ მაინც, რომ წინასწარმეტყველი იყო მათ შორის.

6. შენ ადამის-ძევ, ნუ გეშინია მათი და მათი სიტყვები ნუ შეგაშინებს, თუმცა ეკლად და ძეძვად გექცევიან და მორიელზე იჯდები; მათი სიტყვები ნუ შეგაშინებს და მათი სახე ნუ დაგაფრთხობს; რადგან ურჩი მოდგმაა. ...

9. და მე ვიხილე, აჰა, ხელია გამოწვდილი ჩემსკენ და, აჰა, წიგნის გრაგნილია მასში.

10. გაშალა ჩემს წინ და, აჰა, დაწერილია ორივე მხარეს; სწერია: გოდება, მოთქმა და ვაი.

3-1. მითხრა, ადამის ძევ! შეჭამე, რასაც ხედავ, შეჭამე ეს გრაგნილი და წადი და ელაპარაკე ისრაელის სახლს.

2. გავაღე პირი და შევჭამე ეს გრაგნილი. ...

4. მითხრა: ადამის-ძევ! მიდი ისრაელის სახლთან და უთხარი ჩემი სიტყვები. ...

14. სულმა ამიტაცა და წამიღო; მივდიოდი გამწარებული, რისხვით ანთებული, და უფლის მაგარი ხელი იყო ჩემზე. ...

17. ადამის ძევ! ისრაელის სახლის დარაჯად დამიდგენიხარ. გაიგონებ სიტყვას ჩემი პირიდან და ჩემი სახელით გააფრთხილებ მათ.

18. როცა ბოროტეულს ვეტყვი: სიკვდილით მოკვდებიმეთქი, შენ კი არ გააფრთხილებ მას და არაფერს ეტყვი; ბოროტეულს ბოროტი გზიდან ჩამოსაშორებლად, რომ გადარჩეს, მოკვდება ბოროტეული თავის უკეთურებაში და მის სისხლს შენ მოგკითხავ.

19. თუ შენ გააფრთხილებ ბოროტეულს, მაგრამ არ მოიქცევა თავისი ბოროტებიდან და ბოროტი გზიდან, ის თავის უკეთურებაში მოკვდება, შენ კი გადარჩენილი გყავს შენი თავი.

20. როცა მართალი თავისი სიმართლისაგან მოიქცევა და უკეთურებას ჩაიდენს, საფრთხეს დაუდებ წინ და მოკვდება; თუ შენ არ გააფრთხილებ მას, თავის ცოდვაში მოკვდება, არავინ გაიხსენებს მის სიკეთეს, რომელიც გაკეთებული აქვს, მის სისხლს შენ მოგკითხავ.

21. თუ შენ გააფრთხილებ მართალს, რომ არ სცოდოს მართალმა და ისიც არ შესცოდავს, გადარჩება, რადგან გააფრთხილე. შენ კი გადარჩენილი გყავს შენი თავი.

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ დიდ უხერხულობაში აღმოვჩნდი, რადგან რა შუაში ვარ მე; ნუთუ დავაშავე, რომ სურვილი მქონდა ბიბლია მთელი სიღრმით შემესწავლა? ვინ ოხერი რა ცუდზე ფიქრობს, ცოდვებს ჩადის, რა შუაში ვარ, რომ მისი სისხლი მომკითხოს უფალმა ღმერთმა? ამიტომ გადავწყვიტე, რომ დამეწერა წიგნები და გამევრცელებია. ასე მიწვდომოდა ყველა მკითხველს. ამავე დროს რაც შეიძლება მეტი ადამიანი გადამერჩინა ბოროტებით გამოწვეულ სიკვდილს. ყოველი ადამიანი ამ საშუალებით გადარჩენილი სიკვდილისაგან, ეს ხომ ჩემი უდიდესი ბედნიერებაა.

***ეზეკიელი*** 5-12. შენი მესამედი ჭირისგან დაიხოცება და შიმშილით გაწყდება შენ შორის; მესამედი მახვილით დაეცემა შენს გარშემო; მესამედს ყველა ქარის მიმართულებით გავფანტავ და მახვილს ვიშიშვლებ მათ კვალზე. ...

7-12. დადგა ჟამი, მოაწია დღემდე; მყიდველს ნუ გაეხარდება, გამყიდველი ნუ იწუხებს, რადგან მთელი სიმრავლე მათი შერისხულია.

13. რადგან გამყიდველი ვეღარ მიუბრუნდება გაყიდულს, ცოცხლებიც რომ დარჩნენ; რადგან ხილვა მთელს მათ სიმრავლეზე არ გაცუდდება და ვერცერთი თავის უკეთურების გამო სიცოცხლეს ვერ შეინარჩუნებს. ...

27. მეფე გლოვას მოჰყვება, დიდებული ძრწოლით შეიმოსება და ქვეყნის ერს ხელი აუცახცახდება; მათ საქმეთაებრ მოვექცევი მათ და მათი სამართლისამებრ განვსჯი მათ; და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ.

8-6. მითხრა: ადამის-ძევ! თუ ხედავ, რასაც ისინი სჩადიან? თუ ხედავ ამ დიდ სისაძაგლეს, რომლებსაც ისრაელის სახლი სჩადის, რათა მე განვეშორო ჩემს საწმიდარს? ...

9-4. უთხრა მას უფალმა: ჩაიარე ქალაქში, იერუსალიმში, და ნიშანი დაადე შუბლზე იმ ხალხს, რომელიც კვნესის და მოთქვამს იქ ჩადენილ სისაძაგლეთა გამო.

5. სხვებს უთხრა ჩემს გასაგონად: მოიარეთ ქალაქი მათ კვალზე და მუსრეთ, ნუ შეიბრალებს თქვენი თვალი და ნუ დაინდობთ.

6. მოხუცი და ჭაბუკი, ქალწული, ბავშვები და ქალები სრულიად ამოხოცეთ; ვისაც ნიშანი ადევს, ხელი არ ახლოთ. ჩემი საწმიდარიდან დაიწყეთ. მათაც დაიწყეს ტაძრის წინ მყოფი უხუცესებიდან.

7. უთხრა მათ: გააუწმიდურეთ ტაძარი და აავსეთ ეზოები დახოცილებით და გადით. ისინიც გავიდნენ და ქალაქში დაიწყეს მუსვრა. ...

17-16. ვფიცავ, ამბობს უფალი ღმერთი, თუ თავისი გამეფებული მეფის ქვეყანაში, ბაბილონში, არ მოკვდეს ის, ვინც შეიძულა ფიცი და აღთქმა დაარღვია! ...

18-23. განა მსურს ბოროტეულის სიკვდილი, ამბობს უფალი ღმერთი, არამედ რომ მოიქცეს თავისი გზიდან და იცოცხლებს.

32. რადგან არ მახარებს მე მოსაკვდავის სიკვდილი, ამბობს უფალი ღმერთი, აბა, მოიქეცით და იცოცხლებთ. ...

20-14. მაგრამ ჩემი სახელის გულისათვის ვმოქმედებდი,

რომ არ შელახულიყო იმ ხალხის თვალში, რომელთა თვალწინ გამოვიყვანე ისინი. ...

21-30. შენ კი, ურჯულო, ბოროტეულო მთავარო ისრაელისა, რომელსაც დაუდგა ჟამი, როცა ბოლო უნდა მოეღოს ბოლო დანაშაულს.

32. დამხობას, დამხობას, დამხობას ვუწილხვედრებ და ესეც აღარ იქნება, სანამ ის არ მოვა, ვის ხელშიაც არის სამართალი, რომ მას ჩავაბარო. ...

ძვირფასო მკითხველნო, ამ თავში თავიდან ბოლომდეა აღწერილია, თუ რატომაა უფალი ღმერთი განრისხებული ისრაელზე, ანუ საქართველოზე; რა ხდებოდა დღემდე, რა ხდება სადღეისოდ და რა მოხდება მომავალში. უფალი ღმერთი ბრძანებს დამხობას უწილხვედრებ და ესეც აღარ იქნება; რა თქმა უნდა დამხობაზე უარეს გვპირდება „ვიდრე არ მოვა ის, ჩემი კაცი, რომლის ხელშია სამართალი და სიმართლე, რომ მას ჩავაბარო ისრაელი, მისი მოსახლეობა, ანუ საქართველო. ... მაშინ, როდესაც საქართველოში არსებული ხელისუფლების ხელმძღვანელები, პოლიტიკური პარტიების ლიდერები, მოჩვენებითი ოპოზიციური პარტიების ლიდერები... ჰალსტუხს ხშირად ისწორებენ და ემზადებიან საქართველოს პრეზიდენტობისათვის; მაშინ, როდესაც უფალი ღმერთი სულ სხვანაირად ფიქრობს. მას უკვე შერჩეული ჰყავს პარტია და მისი ლიდერი, რომელსაც მალე წარმოგვიდგენთ პრეზიდენტობის კანდიდატად. ერთხელ კიდევ დაგვაყენებს არჩევანის წინაშე და ეხლაც თუ იესო ქრისტეს ნაცვლად ავაზაკ, კაცისმკვლელ ბარაბას ავირჩევთ, მაშინ ჩვენი საქმე გადაწყვეტილია; დღე დღეზე უნდა ველოდეთ უფალი ღმერთის უსასტიკეს რისხვას; პირველ რიგში განადგურდება ყველა ის, ვინც შეეცდება არჩევნების გა-

ყალბებას, საარჩევნო კომისიის წევრები და ხელმძღვანელები; შემდეგ ყველა ამომრჩეველი და ასარჩევი სატანები, რადგან სასწორზე დევს წუთისოფელი და გაცხოველებულ სატანებს უფალი ღმერთი არ დააღუპვინებს მის მიერ შექმნილ სიცოცხლეს. ამდენად ყალბ დაპირებაზე, ას ლარად და მოჩვენებითი სამსახურებისთვის საკუთარ თავს, ოჯახს და შთამომავლობას ნუ გაწირავთ. ამით ყოველი თქვენთაგანი გაფრთხილებულნი ხართ და ამის შემდეგ, თუ გაგაჩნიათ სინდისი იმის მიხედვით იმოქმედეთ, რასაც კეთილსინდისიერება გკარნახობთ. ...

22-6. აჰა, ისრაელის მთავარნო – თითოეული თავის ძალას იკრებს, რომ სისხლი დაეღვარა შენს შორის. ...

12. ქრთამს იღებენ თქვენში, რომ სისხლი დაღვარონ, ვახშამს და სარგებელს იღებენ და ძალმომრეობით ყვლეფ შენს მოყვასს, მე კი დამივიწყე, ამბობს უფალი ღმერთი. ...

14. თუ გაგიძლებს გული ან თუ შერჩება ძალა შენს ხელებს იმ დღეებში, როცა აღვიძვრები შენს წინააღმდეგ? მე, უფალმა, ვთქვი და გავაკეთებ. ...

29. მდაბიორნი ძალადობენ და მტაცებლობენ, ღარიბღატაკს ჩაგრავენ, ხიზანს უსამართლოდ ავიწროებენ.

30. ვეძებდი კაცს, ზღუდის მშენებელს, რომ დამდგარიყო ნანგრევებთან ჩემს წინაშე და ეხსნა ქვეყანა დაღუპვისაგან, მაგრამ ვერ მოვნახე. ...

33-14. როცა ვეუბნები ბოროტეულს, მოკვდები-მეთქი, ის კი მოიქცევა თავისი ცოდვებისგან და იქმს სამართალს და სიმართლეს.

15. გირაოს დააბრუნებს ბოროტეული, წართმეულს ზღავს, სიცოცხლის წესებით ივლის და ბოროტებას არ ჩაიდენს, ის ცოცხალი დარჩება, არ მოკვდება.

16. არცერთი ცოდვა, რაც კი ჩაუდენია, არ გაუხსენდება, სამართლისა და სიმართლის ქმნისთვის ცოცხალი დარჩება. ...

34-2. ადამის-ძევ იწინასწარმეტყველე ისრაელის მწყემსებზე, იწინასწარმეტყველე და უთხარი მათ მწყემსებს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ვაი. ისრაელის მწყემსებს, რომლებიც საკუთარ თავს მწყემსავენ! განა ცხვარს არ უნდა მწყემსავდნენ მწყემსები? ...

5. გაიფანტნენ უმწყემსოდ დარჩენილნი, მინდვრის მხეცების კერძნი გახდნენ, გაიფანტნენ!

8. ცოცხალიც ვარ, ამბობს უფალი! რაკი მიტაცებულია ჩემი ცხვარი და მიწის მხეცების კერძი გამხდარა ...

10. ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, ისევ მწყემსებს მოვკითხავ ჩემს ცხვარს და გადავაყენებ მათ ცხვრის მწყემსობისაგან...

11. რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე თავად მოვიკითხავ ჩემს ცხვარს და მოვძებნი! ...

15. მე თავად დავმწყემსავ ჩემს ცხვარს და მე თავად დავაბინავებ, ამბობს უფალი ღმერთი. ...

23. ერთ მწყემსს დაუყენებ; თავად დამწყემსავს მათ და ის იქნება მათი მწყემსი.

24. მე, უფალი, ვიქნები მათი ღმერთი; ჩემი მორჩილი დავითი კი წინამძღოლი იქნება მათ შორის. მე, უფალმა, ვთქვი.

25. დაუდებ მათ მშვიდობის აღთქმას და გადავაშენებ ქვეყნიდან სასტიკ მხეცებს, რომ მშვიდად იცხოვრონ უდაბნოში და იძინონ მაღნარებში.

26. კურთხევად ვაქცევ მათ და ჩემი მაღლობის მინდვრებს, დროულად ვადინებ წვიმას და ჩემი წვიმა კურთხევა იქნება. ...

30. მაშინ მიხვდებიან, რომ მე, უფალი მათი ღმერთი, მათთანა ვარ და ჩემი ერია ისინი – ისრაელის სახლი, ამბობს უფალი ღმერთი.

36-27. ჩემს სულს ჩაგიდგამთ შიგნით და ისეთებს გაგხდით, რომ ჩემს წესებზე იაროთ და ჩემი სამართალი აღასრულოთ. ...

37-22. ერთ ხალხად გავხდი მათ ქვეყანაში, ისრაელის მთებზე, ერთი მეფე იქნება ყველასათვის მეფედ; აღარ იქნებიან ორ ხალხად და აღარ იქნებიან გაყოფილნი ორ სამეფოდ ამიერიდან. ...

43-2. და, აჰა, ისრაელის ღვთის დიდება მოდიოდა აღმოსავლეთის გზით, მისი ხმა დიდი ნიაღვრის ხმასავით იყო და ქვეყანა განათდა მისი დიდებით. ...

7. მითხრა: ადამის ძევ! ეს არის ადგილი ჩემი ტახტისა და ადგილი ჩემი ფერხთა ტერფებისა, სადაც საუკუნოდ ვიქნები ისრაელიანთა შორის; აღარ გააუწმიდურებს ჩემს წმიდა სახელს ისრაელის სახლი, არც ის და არც მისი მეფეები, თავიანთი გარყვნილებით და თავიანთ მეფეთა ძეგლებით გორაკებზე. ...

9. ამიერიდან გამარიდებენ თავიანთ გარყვნილებას და თავიანთ მეფეთა ძეგლებს და მე დავმკვიდრდები მათ შორის საუკუნოდ.

48-14. ვერ გაყიდიან მისგან ვერაფერს, ვერც გაცვლიან და ვერც გაასხვისებენ მიწის ნათავარს, რადგან უფლის წმიდაა. ...

ვფიქრობ, რომ ჩემი მიგნება არის ჭეშმარიტება; რომ ისრაელი საქართველოა, ქართველები უფალი ღმერთის ერია, ქართული ენა ღმერთის მიერ დაფუძნებული ენაა, საქართველოს ღმერთი, ღმერთების ღმერთია მთელ დედამიწაზე; **აქ დაიბადა, აღიზარდა და მოქმედებდა იესო**

**ქრისტე. ქართულ ენაზე დაიწერა ბიბლია პირველად,** ჩვენდა სასიკეთოდ; უფალი იესო ქრისტეს ორიათას წელს ცოდნით გამოცხადებამ გამოიწვია ის, რომ გაიღვიძა ლაზარემ; შედეგად ქართულმა ენამ ამეტყველ-და მთელი თავისი ბრწყინვალებით და გაიხსნა მრავალი ბიბლიური ჭეშმარიტება.

მომავალი ორიათასთორმეტი წლის ოცდაერთ დეკემ-ბრიდან, კაცობრიობის ისტორიაში იწყება ახალი ერა ახალი ცხოვრებისა, რასაც თანდათანობით დავინახავთ, ვინც გადაურჩება უფალი ღმერთის რისხვას და გონზე მოსულნი იცხოვრებს სამართლისა და სიმართლის ქვეყანაში. დაფუძნდება ახალი მიწა, ახალი ცა და ახალი სამართლებრივი ცხოვრება; საქართველოს უფალი ღმერ-თის უშუალო მოქმედებითა და ძალისხმევით. ...

ამ საუბრით ვამთავრებთ ძველი აღთქმის მიერ გადმო-ცემული უდიდესი ღვთიური ცოდნიდან გადმოცემულ ნაწ-ილის ახსნა-განმარტბას. დიდი მადლობა უფალ ღმერთს, მის ანგელოზებს, იესო ქრისტეს ჩემი გონების გახსნისა და ამ უდიდესი სიამოვნების მონიჭებისთვის, რაც ღვთიუ-რი ცოდნის მიღებით მივიღე. ამინ!

# თავი მეხუთე

ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ, რომ ჭეშმარიტი და რეალურია, ყოველივე ის რაც ხდებოდა და რაც ხდება, ამის მრავალი ფაქტი გვაქვს ახალ აღთქმაში. ამ მიზნით გავეცნოთ პავლე მოციქულის ეპისტოლეს.

***რომაელთა მიმართ:***

1-1. პავლე, იესო ქრისტეს მონა, ხმობილი მოციქული და რჩეული ღმერთის სახარებისთვის. ...

4. ძალით, სიწმიდის სულითა და მკვდრეთით აღდგომით ღმერთის ძედ გამოჩენილი უფლის ჩვენის იესო ქრისტესთვის.

5. ვისგანაც მივიღეთ მადლი და მოციქულობა, რათა მისი სახელით სარწმუნოებას დაუმორჩილო ყოველი ხალხი,

6. რომელთა შორის ხართ თქვენც, იესო ქრისტეს მიერ ხმობილნი. ...

14. ბერძენთა და ბარბაროსთა, ბრძენთა და უგნურთა მოვალე ვარ. ...

17. ვინაიდან მასში ცხადდება სიმართლე ღმრთისა, სარწმუნოებიდან სარწმუნოებაში; რომელიც დაწერილია: „მართალი რწმენით იცოცხლებს".

18. რადგანაც რისხვა ღმრთისა, ცხადდება ზეცით ყოველგვარი უღმერთოებისა თუ უსამართლობის მოქმედ კაცთა მიმართ, რომელნიც უსამართლობით ახშობენ ჭეშმარიტებას.

19. ვინაიდან რაც შეიძლება იცოდეთ ღმერთზე, ცხადია მათთვის, იმიტომ რომ ღმერთმა გამოუცხადა მათ;

20. რადგან ის, რაც უხილავია მასში. მარადიული ძალა და ღვთაებრიობა მისი, სამყაროს შექმნიდან მისსავ ქმნილებებში ცნაურდება და ხილული ხდება: ასე რომ, არ შეუძლიათ თავის მართლება.

21. და რაკი შეიცნეს ღმერთი, მაგრამ არ ადიდეს, როგორც ღმერთი, და არც მადლი შესწირეს, არამედ ამაონი იქმნენ თვიანთი ზრახვით, და დაბნელდა მათი უგონო გული;

22. ბრძენკაცებად მოჰქონდათ თავი და შლეგებად იქცნენ;

23. და უხრწნელი ღმერთის დიდება ხრწნადი კაცის, ფრინველთა და ქვეწარმავალთა ხატებაზე გაცვალეს.
24. ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა მათსავე გულისთქმათა უწმინდურებას, ასე რომ, შებილწეს თავიანთი სხეულნი;
25. სიცრუეზე გაცვალეს ჭეშმარიტება ღმრთისა, და ჰმსახურებდნენ შექმნილსა და არა შემოქმედს, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე, ამინ.
26. ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა საგინებელ ვნებებს, ვინაიდან ქალებმა მათი ბუნებრივი წესი არაბუნებრიობით შეცვალეს;
27. ასევე კაცებმაც დაუტევეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი, და გულისთქმით გახურებულნი აღერივნენ ერთმანეთს, მამრი მამრთან იქმოდა სარცხვინელს, და თვითონვე იღებდნენ თავიანთი ცდომის საკადრის სასჯელს.
28. და რაკი იუკადრისეს გონებით ღმერთის წვდომა, ამიტომაც უჯერო საქმეთა საქმნელად მისცა ღმერთმა ისინი უკუღმართ ვნებას.
29. ასე რომ, აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, სიძვით, უკეთურებით, ანგარებით, ბოროტებით; სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ზაკვით, ბოროტი ჩვევით.
30. ავსიტყვანი, ცილისმწამებელნი, ღმერთის მოძულენი, ქედმაღალნი, ცუდმედიდნი, ბოროტების წყარონი, დედ-მამის ურჩნი.
31. უგულისხმონი, უნდონი, უყვარულნი, უწყალონი,
32. რომელთაც იციან ღმერთის სამართალი, რომ ამნაირ საქმეთა ჩამდენნი სიკვდილის ღირსნი არიან, მაგრამ არა მარტო თვითონ სჩადიან, არამედ ჩამდენთაც თანაუგრძნობენ.

2-1. ამიტომ თავს ვერ იმართლებ, ვინც უნდა იყო, კაცო, რომელიც განსჯი, ვინაიდან მსჯავრით, რომლითაც სხვას განსჯი, შენსავე თავს განსჯი, რადგანაც იმავე სჩადიხარ, რისთვისაც განსჯი.

2. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ არის მსჯავრი ღმრთისა,, ჭეშმარიტებისამებრ, ყველა ამგვარი საქმის მოქმედთა მიმართ. ...

6. როდესაც იგი მათი საქმეთაებრ მიაგებს ყველას. ...

16. საიმდღისოდ, როცა, ჩემი სახარებისამებრ, ღმერთი განსჯის კაცთა ფარულ საქმეებს იესო ქრისტეს მიერ.

17. აჰა, შენ იუდეველად იწოდები, და თავს იმშვიდებ რჯულით, და იქადი ღმერთს.

18. და იცი მისი ნება, და გესმის უკეთესი, რჯულით განსწავლულს,

19. და თვით მორწმუნეს გგონია, რომ შენა ხარ ბრმათა მეგზური და ნათელი ბნელში მყოფელთათვის,

20. უგუნურთა მასწავლებელი და ყრმათა მოძღვარი, რომელსაც გაქვს შემეცნებისა და ჭეშმარიტების ნიმუში რჯულში.

21. კი მაგრამ, სხვებს რომ ასწავლი, რად არ ასწავლი შენსავე თავს?

22. ქადაგებ: არა იპაროო, და იპარავ? ამბობ: არ იმრუშოო, და მრუშობ? კერპები გძაგს და მკრეხელობ?

23. რჯულს იქადი და რჯულის დარღვევით ღმერთს შეურაცხყოფ?

24. ვინაიდან, როგორც წერია, თქვენს გამო იგმობა ღვთის სახელი წარმართთა შორის.

25. წინდაცვეთილობა სარგოა, თუ რჯულს ასრულებ, ხოლო თუ რჯულს გადადიხარ, შენი წინდაცვეთილობა წინდაუცვეთელობად იქცევა.

26. და თუ წინდაუცვეთელი რჯულის მართლწესებს იცავს, განა მისი წინდაუცვეთელობა წინდაცვეთილობად არ შეირაცხება? ...

28. ვინაიდან იუდეველი ის კი არაა, ვინც გარეგნულადაა იადეველი; არც ისაა წინადაცვეთა, რომელიც გარეგნულია და ხორციელი.

29. არამედ იუდეველი ისაა, ვინც შინაგანადაა იუდეველი; და წინადაცვეთაც ისაა, რომელიც გულისა და სულისმიერია და არა ასოსმიერი. და კაცთაგან კი არ იქება იგი, არამედ ღმრთისაგან.

საუბარია იმაზე, რომ მორწმუნე პიროვნება ის არის, რომელმაც თავის ცხოვრებაში ადრე ჩადენილი ცოდვები მოინანია, დაიცვითა, ჩამოიშორა, განიწმინდა; გულით და სულით გახდა მორწმუნე მარადცოცხალი ღმერთის მიმართ. ხოლო ასოს ჩუჩას მოჭრა როდი ნიშნავს წინადაცვეთას, რასაც ებრაელები და მუსლიმანები ჩადიან და ამით ისინი თავს უფალი ღმერთის მსახურებად მიიმჩნევენ. ამიტომაა რჯულის კანონში ასე ბუნდოვნად გადმოცემული ეს კანონი და ის მუსლიმანებისა და ებრაელების მიერ დღემდე აუხსნელი რჩება. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა სხვადასხვა სახის მრავალი სარწმუნოება. მათ საკუთარი რწმენის შესაქმნელად გადაიწერეს რჯულის კანონები და ამ რჯულის სწავლების დონეზე დარჩნენ დღემდე. მაშინ როდესაც უკვე დადგა განკითხვის დრო.

ყოველმა ერმა თვითონ უნდა იზრუნონ საკუთარ მომავალზე და მით უმეტეს სარწმუნოების მიღება ნებაყოფნობით უნდა მოხდეს და არა ძალადობით, დამუქრებით, მოტყვილებით, მოსყიდვით და სხვა მავნე ჩვევებით. ვიმეორებ: მიუხედავად იმისა, რომ აჭარა თითქმის ორასი

წელია რაც დაუბრუნდა დედა სამშობლოს და არავის არ დაუძალებია მათთვის დაბრუნებოდნენ ქრისტიანულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, უარი ეთქვათ მუსლიმანურ სარწმუნოებაზე; მაგრამ ეხლა კი დრო დადგა და მეტი არ რჩებათ, თუ თავის გადარჩენა უნდათ, დაუბრუნდნენ ქრისტიანულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას; თორემ შესაძლოა ცოტახნის შემდგომ დაგვიანებული იქნას, რადგან ეს არის მათი გამოცდა. ვთხოვ უფალ ღმერთს შეუნდოს მათ ეს მიუტევებელი ცოდვა და მოიყვანოს გონს ყოველი მუსლიმანი აჭარელი თუ სხვა გამუსლიმანებული, გაიაღოვებული, ან სხვა სარწმუნოებებზე მოქცეული ქართველები დაუბრუნდნენ მათ დედა სარწმუნოებას, ქრისტიანულ მართლმადიდებლობას. უფალო ღმერთო მომეცი საშუალება ან გამაცანი ისეთი ქართველი კაცი, რომელიც დამეხმარება ამ წიგნის გამოცემაში, რომ მივაწოდო და დაურიგო ჩემს ძვირფას და საყვარელ თანამემამულეებს, ერს და მოყვასს. ...

8-14. ვინაიდან ყველა, ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ღმერთის ძეა.

15. რადგანაც მონობის სული როდი მიგიღიათ, რომ კვლავინდებურად გეშინოდეთ, არამედ მიიღეთ ძეობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: აბბა, მამაო!

16. იგივი სული უმოწმებს ჩვენს სულს, რომ ღმერთის შვილები ვართ.

17. ხოლო თუ შვილნი ვართ, მემკვიდრენიც ვართ, ღმერთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუკი მასთან ერთად ვივნებთ, რათა მასთან ერთად ვიდიდოთ.

ვიცით, რომ ამ რწენით ქართველთა დიდი უმრავლესობის გვარები ძეზე და შვილზე ბოლოვდება; სწორედ ეს

მიანიშნებს ამა თუ იმ წარმოშობის გვარები ითვლება უფალი ღმერთის ძეებად და შვილებად. ამიტომაა, რომ ქართველები ერთი-მეორეს არ მიმართავენ მამის სახელით, რადგან ეს სასტიკად მიუღებელია. ყოველმა ქართველმა იცის თავისი ბიოლოგიური მამა და ამიტომ მას შეხსენება, რომ შენ ამა და ამ კაცის შვილი ხარ არ სჭირდება, რადგან დარწმუნებულია თავისი დედის კეთილსინდისიერებაში და ბიოლოგიური მამის რეალობაში. ასეთი მიმართვა სჭირდებათ იმ ხალხს, ერს, ქვეყანას, სადაც დედათა გარყვნილების დონე ძალზე მაღალია და შვილმა არ იცის რეალურად ვინაა მისი ბიოლოგიური მამა; სწორედ მას სჭირდება შეძახება, შენ ნამდვილად ამა და ამ კაცის შვილი ხარ, მაშინ როდესაც თვით დედამაც არ იცის, მისი შვილი რომელი მამაკაცისაგან ჰყავს. ...

9-3. ასე რომ, ვისურვებდი თავად ვყოფილიყავი შეჩვენებული ქრისტეს მიერ ჩემი ძმების, ჩემი სისხლის და ხორცის გამო.

4. რომლებიც არიან ისრაელიტნი, და რომლებსაც ეკუთვნით ძეობა და დიდება, მცნებანი და რჯულისდება, ღმერთის მსახურება და აღთქმანი;

5. მათნივე არიან მამანი, რომელთაგან ხორციელად არის ქრისტე ღმერთი, ყველაზე ამაღლებული, კურთხეული უკუნისამდე. ამინ.

გადავხედოთ დიდ ისტორიულ წარსულს და დავინახავთ თუ რამდენი ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა საზღვარგარეთის ქვეყნებში და რამდენი მათ შორის გახდა ამავე ქვეყნის წმინდანი. საერთოდ საქართველოს მთელი თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე ჰყავდა ყველა ქვეყანაზე მეტი წმინდანი. თუ ბიბლიაში მოყვანილ ქართველ წმინდანებს მივათვლით, მაშინ მსგავ-

სი შედეგი არცერთ ხალხმრავალ ქვეყანას არ ექნება. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ქართველ ახლადშობილ ბავშვებს ძალზე ხშირად უწოდებენ წმინდანთა სახელებს და თავი მოწონთ თოთოეულ მათგანს, რომ წმინდანთა სახელებს ატარებენ.

9-6. მაგრამ არა ისე, თითქოს გაცუდდა სიტყვა ღმრთისა, ვინაიდან ყველანი როდი არიან ისრაელიტნი, რომელნიც არიან ისრაელისაგან.

7. არც შვილნი არიან ყველანი, რომელნიც არიან აბრაამის თესლისაგან; არამედ ითქვა: „ისააკის მიერ იწოდება შენი თესლი“.

8. ესე იგი, ხორციელი შვილნი კი არ არიან შვილნი ღმრთისა, არამედ აღთქმის შვილნი შეირაცხებიან თეს-ლად. ...

18. ამრიგად, ვინც სურს, მას შეიწყალებს, და ვინცა სურს, მას განაფიცხებს.

26. და იმ ადგილას, სადაც მათ მიმართ ითქვა: თქვენ არა ხართ ჩემი ხალხი, იქვე ცოცხალი ღმერთის ძეებად იწოდებიან.

27. ხოლო ესაია ღაღადებს ისრაელისათვის: ისრაელის ძეთა რიცხვი იმდენიც რომ იყოს, რამდენიც ქვიშაა ზღვისა, მხოლოდ ნაშთი თუ ცხონდება.

28. ვინაიდან სიტყვას ასრულებს და მალე გადაწყვეტს, გადამწყვეტ სიტყვას აღასრულებს უფალი ქვეყნად.

29. და როგორც იწინასწარმეტყველა ესაიამ: „უფალ საბაოთს რომ არ დაეტოვებინა ჩვენთვის თესლი, ვიქნე-ბოდით როგორც სოდომი და გომორას ვემსგავსებო-დით“.

30. რას ვიტყვით? წარმართნი, რომელნიც არ ეძებენ სიმართლეს, ეწიენ სიმართლეს, სიმართლეს რწმენის მიერ.

31. ხოლო ისრაელი, რომელიც ეძებდა სიმართლის რჯულს, სიმართლის რჯულს ვერ მიწვდა.

32. რატომ? იმიტომ, რომ ეძებდა არა რწმენის მიერ, არამედ რჯულის საქმეთა მიერ. რადგანაც წაიფორხილეს ფეხწამოსაკრავ ქვაზე.

33. როგორც დაიწერა: „აჰა, მე დავდებ სიონში ქვას ფეხწამოსაკრავს და კლდეს საცდურისას, და მის მიმართ მორწმუნე თავს არ შეარცხვენს...“.

10-1. ძმანო, ნდომა ჩემი გულისა და ჩემი ვედრება ღმერთის მიმართ ისრაელისთვის არის, მისდა სახსნელად.

2. ვუმოწმებ მათ, რომ აქვთ საღმრთო შური, მაგრამ არა ცოდნით.

3. ვინაიდან, რაკი არ იცოდნენ ღმერთის სიმართლე და თავიანთი სიმართლის დამტკიცებას ცდილობდნენ, არ დამორჩილდნენ სიმართლეს ღმრთისას.

4. იმიტომ რომ რჯულის დასასრული ქრისტეა, ყველა მორწმუნის სიმართლისათვის. ...

9. რადგან თუ შენი ბაგეებით უფლად აღიარებ იესოს, ხოლო შენს გულში იწამებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, – ცხონდები. ...

10-20. ხოლო **ესაია** კადნიერდება და ამბობს: „ვეპოვნინე მათ, რომელნიც არ მეძებდნენ, და გამოვეცხადე მათ, რომელნიც არ მკითხულობდნენ“.

21. ისრაელისთვის კი ამბობს: „მთელი დღე ვიწვდიდი ხელებს ურჩი და უჯიათი ხალხის მიმართ“.

ნათლად ჩანს, რომ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთ, როგორ მოხერხებულად იყენებენ ახალი აღთქმის, უფალი ღმერთის მოციქულები. ხშირად ახსენებენ მათ და მათმიერ წარმოთქმულ სიტყვას: მრევლის, ეკლესიის, ხალხის ერის მოსასმენად და სასწავლებლად. ამდენად თუ

გვსურს ვიცოდეთ ჭეშმარიტი, რეალური ღვთიური ცოდნა, უნდა ვიცოდეთ ძველი და ახალი აღთქმანი, ორივენი, რომ აღვივსოთ უფალი ღმერთის დიდებით და ბრწყინვალებით, რომ ვასწავლოთ მრევლს, ეკლესიას და ერს. ...

11-1. ამრიგად, ვამბობთ: ნუთუ ღმერთმა განიშორა თავისი ხალხი? არამც და არამც. **მეც ისრაელიტი ვარ**, აბრაამის თესლისა და ბენიამინის ტომისაგან.

2. არ განუშორებია ღმერთს თავისი ხალხი, რომელიც წინასწარ იცნო. ან იქნებ არ იცით, რას ამბობს წერილი ელიასათვის? როგორ შესჩივის იგი ღმერთს ისრაელის გამო:

3. „უფალო, შენი წინასწარმეტყველნი მოკლეს და შენი საკურთხეველნი დაანგრიეს. მეღა დავრჩი, და ეძებენ ჩემს სულს".

4. მაგრამ რას ეუბნება მას პასუხი ღმრთისა? – „მე დავიტოვე შვიდი ათასი კაცი, რომლებსაც არ მოუყრიათ მუხლი ბაალის წინაშე.

5. ასეა, ამჯერადაც მადლისმიერი არჩევანით დარჩა ნაშთი.

6. მაგრამ თუ მადლის მიერ, უკვე არა საქმეთა მიერ, თორემ მადლი აღარ იქნებოდა მადლი. ხოლო თუ საქმეთა მიერ, უკვე აღარ არის მადლი, თორემ ისევ საქმე აღარ არის საქმე.

7. მერედა, რა? რასაც ეძებდა ისრაელი, მას ვერ ეწია; ხოლო რჩეულნი ეწიენ; დანარჩენებს კი დაევსოთ თვალი.

8. როგორც დაიწერა: „მისცა მათ ღმერთმა მთვლემარე სული; თვალნი, რომელიც ვერ ხედავენ, და ყურნი, რომელნიც ვერ ისმენენ".

9. ხოლო დავითი ამბობს: დაე, ექცეთ ტაბლა მახედ და ბადედ, საცდურად და სანაცვლოდ მათდა.

10. დაე, დაევსოთ თვალნი, რათა ვერ იხილონ, და მოდრიკე მათი ზურგი სამარადისოდ. ...

უფალი ღმერთი ამბობს: „მე დავტოვე შვიდი ათასი კაცი, რომლებსაც არ მოუყრიათ მუხლი ბაალის წინაშე“. აქ საუბარია, რომ ეს შვიდი ათასი კაცია: ღმერთის, ერის და ქვეყნის იმედად დარჩენილნი, რომლებსაც თაყვანი არ უციათ უცხო ღმერთებისთვის, სატანისა და სატანიზმის წინაშე, მიატოვეს ბოროტების გზა და ეთაყვანებიან სამართალს და სიმართლეს; სამშობლოს, ერს და მთელ მოსახლეობას. მათი იმედი აქვს უფალ ღმერთს, რომ ისინი წარუძღვება ისრაელიანებს ანუ ქართველებს შინაური თუ გარეშე მტერთა სამხილებლად და გასადევნად. ხოლო რაც შეეხება მათ განადგურებას, ამას საკუთარ თავზე იღებს უფალი ღმერთი და ვინც ასეთი ხალხიდან გონს არ მოვა, თვით უფალი ღმერთი მიხედავს მათ. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ამ შვიდიათასი კაცთა შორის ჯერჯერობით ერთი ვარ თქვენი მონა და მორჩილი. ჩვენ არავის ვებრძვით, პირიქით ვცდილობთ ვინც გონზე მოვა გადავარჩინოთ; ამიტომ უჩვენოთ სწორი გადარჩენის გზა, რომ მიიღონ ღვთიური ცოდნა და შეასრულონ ღმერთის დავალებანი. ჩვენი ფუნქცია კი ის არის, ვამხილოთ ყოველი ცოდვილნი და უჩვენოთ გადარჩენის ღვთიური გზა. ამის შემდეგ ვინ რას იმოქმედებს, ეს უკვე ჩვენ არ შეგვეხება, რადგან უფალი ღმერთი იმდენად დიდსულოვანია და ჩვენზე შეყვარებული, რომ ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს და შეგვახსენებს დაუბრუნდეთ მას, ვაღიაროთ ცოცხალი ღმერთი, გირაო დაუბრუნოთ სამშობლოს და მის მოსახლეობას, მოიქცნენ ბოროტი გზისგან, თაყვანი სცენ მარადცოცხალ, მარადშემოქმედ უფალ ღმერთს.

11-11. მე ვამბობ: ნუთუ წაიფორხილეს, რათა დაეცნენ? არამც და არამც. არამედ მათი დაცემისაგან არის წარმართთა ხსნა. რათა აღძრას საღმრთო შური.

12. ხოლო თუ მათი დაცემა ქვეყნის სიმდიდრეა, მათი სიმწირე – წარმართთა სიმდიდრე, რამდენად უფრო მეტი იქნება სავსება მათი?

13. თქვენ გეუბნებით, წარმართთ: რამდენადაც წარმართთა მოციქული ვარ, ვადიდებ მსახურებას ჩემსას.

14. იქნებ ასე მაინც შევძლო საღმრთო შური აღვძრა ჩემსავ თვისტომთა შორის, და ვიხსნა ზოგიერთი მათგანი. ...

22. ხომ ხედავ სიკეთეს და სიმკაცრეს ღმრთისას: სიმკაცრე – დაცემულთა, ხოლო სიკეთე – შენს მიმართ, თუკი მისი სიკეთით მკვიდრობ; არა და, შენც მოკვდები. ...

25. ვინაიდან არა მსურს, ძმანო, არ იცოდეთ ეს საიდუმლო (რათა თქვენსავე გონსჯას არ დაეყრდნოთ) რომ ისრაელის სიბრმავე ნაწილობრივია, დროებითი, ვიდრე არ შემოვა წარმართთა მთელი სიმრავლე.

არაერთხელ ვთქვი, რომ „ლაზარე“ ანუ ქართული ენა მიძინებულია და ეს მიძინება, სიბრმავე, მოკვდინება დროებითია, თუმცა ეს დროებითობა გაიჭიმა მთელი ოთხი ათასი წელი. ეს დრო საქართველოსთვის ძალიან დიდი დროა, ხოლო უფალი ღმერთისათვის ოთხი დღე. ამ ღონისძიებას უფალი ღმერთის გეგმის შესასრულებლად ჰქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა, რადგან გარკვეული დროის შემდეგ ამ ენის გაღვიძებით, გაცოცხლებით სრულად ამეტყველებით უფალი ღერთი დაანახებს ისრაელის, ანუ საქართველოს მოსახლეობას მის ძალას, შემოქმედებას და იმ რეალობას, რაც მას შეუძლია და ამის შემდეგ იწამებს უფალ ღმერთს ყველა გადარჩენილი ადამიანები, რომლებიც ადიდებენ მას და მის შემოქმედებას,

ხოლო ამის შემდეგ დაინახავს მთელი კაცობრიობა უფალი ღმერთის რეალურ, ხილულ მოქმედებას და ისინიც აღიარებენ მარადცოცხალ, მარადშემოქმედ უფალ ღმერთს. ასე რომ თვით უფალ ღმერთს სჭირდებოდა ყოველივე ეს, მან დაგეგმა ყოველი მოქმედება და შეასრულა კიდეც. ამიტომ ამბობს: „ჩემს დიდებას სხვას არ მივცემ“. რასაც გვპირდება მომავალ დღეებში, იმასაც უეჭველად აღასრულებს და თითოეული ჩვენთაგანი მზად უნდა ვიყოთ უფალი ღმერთის რისხვისას თუ როგორ მოვიქცეთ და გადავირჩინოთ თავი. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება ეს წიგნი. ... შოთა რუსთაველი გვასწავლის „თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა“.

11-26. და ასე მთელი ისრაელი ცხონდება, როგორც დაწერა: „მოვა სიონით მხსნელი და მოაქცევს უღმერთოებას იაკობისგან.

27. და ეს არის ჩემმიერი აღთქმა მათ მიმართ, როდესაც წარვხოცავ მათ ცოდვებს“.

28. სახარების მიხედვით, ისინი მტრები არიან თქვენს გამო, ხოლო არჩევის მიხედვით, საყვარელნი მამათა გამო.

29. რადგან ღმერთის ნიჭნი და მოწოდება უცვალებელნი არიან.

30. ვინაიდან როგორც თქვენ ოდესღაც ეურჩეთ ღმერთს, ხოლო აწ შეწყალებულნი ხართ მათი ურჩობის გამო.

31. ასევეა ახლა ისინიც ურჩნი არიან თქვენი შეწყალებისთვის, რათა თავადაც შეწყალებულ იქმნენ.

32. რადგან ღმერთმა ყველანი ურჩობაში მოამწყვდია, რათა ყველანი შეიწყალოს.

33. ეჰა, ღმერთის სიუხვის, სიბრძნის და ცოდნის სიღრმე, რაოდენ გონებამიუწვდომელნი არიან მისი მსჯავრნი და გამოუკვლეველი მისი გზანი!

34. რადგან ვინ შეიცნო უფლის გონება, ან ვინ იყო მისი თანამზრახველი?

35. ან ვინ მისცა მას წინასწარ, რადგან კვალადაც მიეგოს მას?

36. რადგანაც მისგან და მის მიერ და მის მიმართაა ყოველი დიდება, მას უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

12-19. თქვენი თავისთვის ნუ იძიებთ შურს, საყვარელნო, არამედ მიეცით ადგილი ღმერთის რისხვას, ვინაიდან დაწერილია: ჩემია შურისგება და მე მივაგებ, – იტყვის უფალი.

20. ამრიგად, თუ შენი მტერი მშიერია, დააპურე იგი; თუ მწყურვალია, წყალი ასვი მას, რადგან ამით მოგიზგიზე ნაკვერჩხლებს აგროვებ მის თავზე.

21. ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ კეთილით სძლიე ბოროტს.

13-1. დაე, ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას დაემორჩილოს, ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმრთისაგან, დიახ, ყველა ხელმწიფება ღმერთის მიერ დადგენილია.

2. ამიტომ, ვინც ეწინააღმდეგება ხელმწიფებას, ღმერთის განჩინებას ეწინააღმდეგება; ხოლო წინააღმდგომნი თვითონვე მოიწევენ თავიანთ თავზე სასჯელს.

3. ვინაიდან მთავარნი კეთილის მოქმედთათვის კი არა, ბოროტმოქმედებისთვის არიან საშიშნი, შენ გინდა, არ გეშინოდეს ხელმწიფებისა? კეთილი ჰქმენი და იქნები მისგან.

ყველაფერი კარგად და გასაგებადაა ნათქვამი: „ყოველი ხელმწიფება ეკუთვნის უფალ ღმერთს და მის მიერაა დადგენილი. თუ ხელმწიფებას შეეწინააღმდეგები, მაშინ თვით უფალი ღმერთის ნებას ეწინააღმდეგები, ამით კი საკუთარ თავზე მოიწევ უფალი ღმერთის რისხვას“. ეს

რომ კარგად ცოდნოდათ მეოცე საუკუნის თავად-აზნაურებს, შემდგომი კულაკებს, მაშინ ამდენი მსხვერპლი და სახელმწიფოს მტრები არ აღმოჩნდებოდა. ამ მეტად რთულ საქმეში, განსაკუთრებით საქართველოში, აღმოჩნდა მრავალი სახელმწიფოს, მმართველობის სისტემის მოწინააღმდეგენი, ისეთი ძლიერი მენშევიკური მთავრობა და საერთოდ მენშევიზმი, როგორც საქართველოში იყო, არსად არ ყოფილა; ამიტომაც იყო ის დიდი რეპრესიები საქართველოში და ამდენი მსხვერპლი მოყვა მას. ყოველივე ეს არცერთი კაცის ნება სურვილით არ მომხდარა. ...

14-11. ვინაიდან დაწერილია: ვცხოვრობ მე, ამბობს უფალი, და ჩემს წინაშე მოიყრება ყოველი მუხლი და ყოველი ენა აღიარებს ღმერთს.

12. ამრიგად, ყველა ჩვენგანი თავის ანგარიშს ჩააბარებს ღმერთს.

16-20. ხოლო ღმერთი მშვიდობისა მალე შემუსრავს სატანას თქვენს ფეხქვეშ. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი იყოს თქვენთან. ამინ. ...

25. ხოლო მას, ვისაც ძალუძს, განგამტკიცოთ თქვენ ჩემი სახარებისა და იესო ქრისტეს ქადაგებისამებრ, დაფარული საიდუმლოს გამოცხადებით, რომლის გამოც დუმდნენ საუკუნენი. ...

26. და რომელიც აწ გამოცხადდა საწინასწარმეტყველო წიგნთაგან, მარადიული ღმერთის ბრძანებით, და რწმენისადმი დასამორჩილებლად ეუწყა ყველა ხალხს, –

27. ღმერთს, ერთსა და ბრძენს, იესო ქრისტეს მიერ, დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

დიახ, გესაუბრებით იმ ღვთიური ცოდნის მიმართ, რომლის შესახებ დუმდნენ საუკუნეები. ... ახალი ქართული ენით, ლაზარეს გაღვიძების, აღდგენის, გამოცოცხლების

და მთელი ძალით ამოქმედების შედეგად. დიდება უფალ ღმერთს, იესო ქრისტეს, ანუ ღვთიური ცოდნის ხელმეორედ გამოცხადებისთვის, რომლის უშუალო მოქმედებით გაიღვიძა და აღდგა „ლაზარე“ და ამით ძალიან მალე დაიწყება ახალი ერა კაცობრიობის ცხოვრებაში. ...

***ეკლესიასტე***: 1-4. თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე.

9. რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი.

ასე, რომ არ არსებობს რაიმე ჩვენს ცხოვრებაში, მთელ დედამიწაზე, რომ არ იყოს უმაღლეს დონეზე განხილული ბიბლიაში, ყოველი ცხოვრებისეული ფაქტია უმაღლეს დონეზე დამუშავებული და ჩამოყალიებბული ჩვენთვის, მომავალი თაობებისთვის ცხოვრებისა და ჭკუის სასწავლებლად. წაკითხულიდან კარგად ჩანს, რომ ცხოვრების განმავლობაში ისტორიულად ბევრი რამ მეორდება. ამიტომ იყო, რომ თამამად ვთქვი ყოველი ათასწლეულის ბოლოს თითქმის ერთი და იგივე მეორდება; ამ აზრმა შემასწავლა ისტორიული პროცესები საქართველოს ცხოვრებაში, ყოველი ათასწლეულის დასაწყისი და წინარე ათასწლეულის დასასრული, ეს ჭეშმარიტება მთელი სიცხადით დადასტურდა. აქედან გამომდინარე გვესაუბრება ეკლესიასტე „რაც იყო, ის მეორდება ამ ცისქვეშეთში“. ახალი არაფერიაო გვამცნობს ის. ...

***პავლეს წერილი კორინთელთა მიმართ:*** 3-16. ნუთუ არ იცით, რომ ღმერთის ტაძარი ხართ, და სული ღმრთისა დამკვიდრებულია თქვენში?

17. ვინც ღმერთის ტაძარს დააქცევს, დააქცევს მას ღმერთი, ვინაიდან ღმერთის ტაძარი წმიდაა, ხოლო ესა ხართ თქვენ. ...

4-20. ვინაიდან ღმერთის სასუფეველი სიტყვით კი არ არის, არამედ ძალით.

21. რა გსურთ? კვერთხით მოვიდე თქვენთან თუ სიყვარულითა და თვინიერების სულით? ...

6-14. ღმერთმა აღადგინა თვითონ უფალი, და აღგვადგენს ჩვენც თავისი ძალით. ...

19. ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულის წმიდისა, რომელიც გაქვთ ღმერთისაგან, და არ ეკუთვნით თქვენს თავს?

20. რადგან სასყიდლითა ხართ ნაყიდნი. მაშ, ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულითა და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღმრთისა.

9-13. ნუთუ არ იცით, რომ ტაძრის მსახურნი ტაძრისაგან ჭამენ და საკურთხევლის მსახურნი საკურთხევლისაგან იღებენ წილს?

14. ასე უფალმაც უბრძანა სახარების მქადაგებელთ, რომ სახარებით ცხოვრობდნენ. ...

11-3. ისიც მინდა გაუწყოთ, რომ ყოველი კაცის თავი ქრისტეა, ქალის თავი – კაცი, ხოლო ქრისტეს თავი – ღმერთი.

4. ყოველი კაცი, რომელიც თავდაბურული ლოცულობს ანდა წინასწარმეტყველებს, თავს ირცხვენს.

5. და ყოველი ქალი, რომელიც თავდაუბურავი ლოცულობს ანდა წინასწარმეტყველებს, თავს ირცხვენს, რადგანაც ეს იგივეა, რომ თავგადაპარსული იყოს. ...

7. ამრიგად, კაცმა არ უნდა დაიბუროს თავი, ვინაიდან ხატია და დიდება ღმრთისა, ხოლო ქალი ქმრის დიდებაა.

8. რადგან კაცი კი არ არის ქალისაგან, არამედ ქალია – კაცისაგან. ...

14. განა თვით ბუნება არ გასწავლით, რომ თუ კაცი გრძლად უშვებს თმას, ეს საძრახისია მისთვის?

15. ხოლო თუ ქალი უშვებს დიდებაა მისთვის, რადგანაც თმა საბურველად მისცა მას. ...

12-4. ნიჭი სხვადასხვაა, მაგრამ ერთი და იგივეა სული.

5. და მსახურებაც სხვადასხვაგვარია, მაგრამ ერთია უფალი. ...

7. ხოლო თითოეულ ჩვენთაგანს სასიკეთოდ ეძლევა სულის გამოვლენა.

8. ზოგს სულისაგან ეძლევა სიბრძნის სიტყვა, ხოლო ზოგს – ცოდნის სიტყვა იმავე სულით;

9. ზოგს – რწმენა იმავე სულისაგან; ხოლო ზოგს – ნიჭი მკურნალობისა იმავე სულით;

10. ვის – სასწაულთმოქმედება, ვის – წინასწარმეტყველება, ვის – სულთა გარჩევა, ვის – სხვადასხვა ენა, ვის კიდევ – განმარტება სხვადასხვა ენის.

11. ხოლო ყოველივე ამის მოქმედია ერთი და იგივე სული, და უწოდებს თვითეულს, როგორც თავად ნებავს.

12. ვინაიდან როგორც ერთია სხეული, მაგრამ მრავალი ასო აქვს, ყოველი ასო, ერთი და იგივე სხეულისაა, და თუმცა მრავალია, მაინც ერთ სხეულს ქმნის, ასევეა ქრისტეც.

13. რადგან ჩვენ ყველამ ერთი სულით ნათელი-ვიღეთ, ერთ სხეულად, იუდეველებმაც და ბერძნებმაც, მონებმაც და თავისუფლებმაც; და ყველას ერთი სული გვაქვს ნასვამი. ...

13-13. ჯერჯერობით კი სამია: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია.

***პავლე – მეორე კორინთელთა მიმართ***: 3-11. რადგან თუ წარმავალს აქვს დიდება, მით უფრო მეტია დიდება წარუვალისა.

12. და რაკი ასეთი სახეობა გვაქვს, სრულიად სააშკარაოდაც ვმოქმედებთ.

13. და არა ისე, როგორც მოსე, რომელიც საბურველით იბურავდა სახეს, რათა ისრაელის ძეთ არ ეხილა აღსასრული წარმავალისა.

14. მაგრამ დაბრმავდა მათი გონება, რადგან იგივე საბურველი ძველი აღთქმის კითხვისას დღემდე ჩამოუხსნელი რჩება, ვინაიდან ის იხსნება ქრისტეს მიერ.

15. ხოლო დღემდე, მისი კითხვისას, ის საბურველი მათ გულზე ძევს.

16. მაგრამ როგორც მოიქცევიან უფლის მიმართ, ჩამოეხსნებათ საბურველი.

17. უფალი სულია, ხოლო სადაც არ არის სული, იქვეა თავისუფლება.

სიტყვა თავისუფლება ნიშნავს, რომ შენ შენი თავის უფალი ხარ; ვინც ასეთ თავისუფლებას ითხოვს, ის ღმერთისაგანაც თავისუფალია. მას ღმერთისაგან არავითარი შველა, შემწეობა, დახმარება, მიტევება, კურთხევა არ ეღირსება. ვინაიდან უფალი ღმერთია ჩვენი თავის უფალი და ის განსაზღვრავს, განაგებს, წარმართავს ჩვენს მომავალ ცხოვრებას. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი თავის უფალი, თვით უფალი ღმერთია; ხოლო თუ ჩვენი თავის უფალი ღმერთია და ჩვენს შორის ურთიერთ შეთანხმებული კავშირი არსებობს, მაშინ ჩვენ ვართ უდიდესი ბედნიერი ხალხი და საქართველოში არის ოქროს ხანა ცხოვრებისა, რადგან საქართველო მდებარეობს დედამიწის ოქროს კვეთაში. ...

თ13-18. ხოლო ჩვენ, დაუბურავი სახით, როგორც სარკით, რომ აღვიქვამთ უფლის დიდებას, იმავე ხატად გარდავიქმნებით დიდებიდან დიდებად, როგორც უფლის სულისაგან. ...

ვიცით, რომ ჩვენი წელთაღრიცხვით, ორიათასი წლის წინათ გამოცხადდა პირველად იესო ქრისტე, შეიქმნა, ჩამოყალიბდა, დაფუძნდა ახალი აღთქმა, მაგრამ მაშინ ძველი აღთქმა არავის გაუშიფრავს მთელი სიღრმისეული ცოდნის მიხედვით, მაგრამ სადღეისოდ იესო ქრისტეს ცოდნით ხელმეორედ გამოცხადების შემდეგ საჭირო გახდა ძველი და ახალი აღთქმათა სიღრმისეული შესწავლა და ქართული ენით ალაპარაკება, რაც თვით უფალი ღმერთის მოქმედებით მოხერხდა და მიეწოდა საქართველოს მოსახლეობას, ვინც მიიღებს, მიიღებს და ვინც არ მიიღებს, ეს მისი საქმეა; იძულებით არავინ აიძულებს მიიღოს მთელი სიცხადით ღვთიური ცოდნა, რადგან ის ნებაყოფლობითაა და ადამიანთა სურვილის მიხედვით განისაზღვრება. უფალი ღმერთის ნებით ხდებოდა დღემდე ყოველი რეალური და იდუმალი საქმე; ასევე მოხდება მომავალ ცხოვრებაში, რადგან უფალი ღმერთის მიერ წინასწარაა დაგეგმილი, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ მომავალში. რა თქმა უნდა არა ისე, რომ ღმერთი გააკეთებს ყველაფერს მის ნებაზე, ჩვენ დავსხდეთ და ვჭამოთ მხოლოდ; არამედ უფალმა ღმერთმა შექმნა ადამიანი, რომ დაამუშაოს მიწა, შექმნას სამუშაო და საბრძოლო იარაღები პირადი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, თავდაცვისათვის და სხვა. ... ამდენად ადამიანთა სამყარო, თითოეული ადამიანი უნდა დაემორჩილოს უფალი ღმერთის ნებას, ადიდოს სამყაროსა და სიცოცხლის შემოქმედი, მიყვეს ღვთიური ცოდნით ცხოვრებას და იარსებებს ბედნიერად, როგორც აქ სამოთხეში, ისე იმ სამოთხეში. სამოთხე კი ასე განიმარტება სამი-ოთხში. სამება: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა; ოთხი – სიცოცხლისათვის აუცილებელი

წარმონაქმი ღმერთის მიერ: მზე, დედამიწა, წყალი და ჰაერი. ...

4-18. როცა ხილულს კი არ მივაპყრობთ მზერას, არამედ უხილავს, ვინაიდან ხილული წარმავალია, უხილავი კი – წარუვალი. ...

5-17. ასე, რომ ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილებაა, ძველი წახდა და აჰა, ყოველივე არის ახალი. ...

20. ამრიგად, ქრისტესთვის ვმოციქულობთ, თითქოს ღმერთი შეგაგონებდეთ ჩვენს მიერ; და გევედრებით ქრისტეს სახელით, შეურიგდით ღმერთს;

21. რადგან ცოდვის არმცოდნე ცოდვის მსხვერპლად აქცია ჩვენი გულისთვის, რათა ღმერთის სიმართლედ ვქცეულიყავით მასში.

7-10. რადგან წუხილი ღმერთის გულისთვის შეიქმს სინანულს სახსნელად, ხოლო წუხილი ამქვეყნიური სიკვდილს შეიქმს. ...

11-14. თუმცა რა გასაკვირია, თვით სატანაც ხომ სინათლის ანგელოზის სახეს იღებს.

15. რა დიდი საქმეა, რომ მისი მსახურნიც სიმართლის მსახურთა სახეს იღებენ? მაგრამ მათივე საქმეთაებრ იქნება მათი აღსასრულიც. ...

***პავლე: მეორე თესალონიკელთა მიმართ:***

2-3. ნურც ნურავინ ნურასგზით გაცდუნებთ თქვენ, რადგან არ მოიწევა ის დღე, ვიდრე უმალ არ მოაწევს განდგომილება და არ გაცხადდება ცოდვის კაცი, ძე წარწყმედინდისა.

4. წინააღმდგომი და იმის მსურველი, რომ თავზე მოექცეს ყველაფერს, რაც სახელდებულია ღმერთად თუ ღვთაებად, ასე რომ, ღმერთის ტაძარშიც დაჯდება იგი, როგორც ღმერთი, და ღმერთად მოგვაჩვენებს თავს.

6. და აწ იცით, თუ რა არ აძლევს გასაქანს, რათა გაცხადდეს თავის დროს.

7. რადგანაც ურჯულოების საიდუმლო უკვე მოქმედებს, მაგრამ არ აღსრულდება მანამ, სანამ შუაგულით არ აღირიცხება ძალა, რომელიც გასაქანს არ აძლევს მას.

8. და მაშინ გაცხადდება ურჯულო, რომელსაც უფალი იესო წარხოცავს ბაგეთა თვისთა სულით, და განაქარვებს თავისი მოსვლის გამონათებით.

9. მას, ვისი მოსვლაც არის სატანის შეწევნით, მთელი ძალით და ნიშებით და ცრუ სასწაულებით.

10. და უსამართლობის ყველა საცდურით წარწყმედისათვის, რადგანაც არ შეიწყნარეს ჭეშმარიტების სიყვარული, რომელსაც შეეძლო მათი ხსნა.

11. ამიტომაც მოუვლენს მათ ღმერთი საცდურის ქმედებას, რათა ირწმუნოს სიცრუე.

12. რათა განისაჯოს ყველანი, რომელთაც არ ირწმუნეს ჭეშმარიტება, არამედ შეიყვარეს უსამართლობა.

9. და მივედი ანგელოზთან, და ვუთხარი მას: მომეცი მეთქი წიგნი, და მითხრა მე: აიღე და შეჭამე იგი, და გაგიმწარებს მუცელს, მაგრამ პირში იქნება თაფლივით ტკბილი.

10. და ავიღე წიგნი ანგელოზის ხელიდან, და შევჭამე იგი, და ეტკბილა პირს ჩემსას, როგორც თაფლი, მაგრამ, რა შევჭამე, გაამწარა მუცელი ჩემი.

11. და მითხრა მე: კვლავინდებურად გმართებს წინასწარმეტყველება ხალხთა და ერთა, და ენათა, და მეფეთათვის.

11-1. და მომეცა კვერთხის მსგავსი ლერწამი და ითქვა ჩემდა მიმართ: ადექი და გაზომე ღმრთის ტაძარი და საკურთხეველი, და თაყვანისმცემელნი მასში.

2. ხოლო ეზო, რომელიც გარს აკრავს ტაძარს, გამორიცხე და ნუ გაზომავ მას, რადგანაც მიეცა იგი წარმართთ, და დათრგუნავენ წმიდა ქალაქს ორმოცდაორი თვე. (მხედრიონნი და მისი ხელმძღვანელობა ზუსტად ამ დროში მოქმედებდნენ).

3. და მივცემ ორ მოწმეს ჩემსას, და იწინასწარმეტყველებენ ათას ორას სამოცი დღე, ძაძით მოსილნი.

4. ესენი არიან ორი ზეთისხილი და ორი სასანთლე, რომელნიც დგანან დედამიწის უფლის წინაშე.

5. და თუ ვინმე მოინდომებს მათ ვნებას, ცეცხლი გამოვა მათი პირიდან და შეჭამს მათ მტრებს და თუ ვინმე მოინდომებს მათ ვნებას, ამგვარად მოკლულ უნდა იქნეს. ...

7. და როდესაც აღასრულებენ წინასწარმეტყველებას მათსას, მხეცი უფსკრულიდან ამომავალი, შეებრძოლება მათ, და შემუსრავს მათ, და მოაკვდინებთ მათ.

8. და მათი ცხედრები დაიყრება მოედანზე დიდი ქალაქისა, რომელსაც სულიერად ეწოდება სიდომი, და ეგვიპტე, სადაც ჯვარს აცვეს მათი უფალი.

9. და მრავალნი ხალხთა და ტომთაგან, და ენათა და ერთაგან სამ დღენახევარს უყურებენ მათ, და არავის დაანებებენ საფლავად დადებას მათსას. ...

13. და იმავე საათს იქნება მიწისძვრა დიდი, და მეათედი ქალაქისა დაიქცა, და ამოწყდა მიწისძვრისას შვიდი ათასი სახელი კაცის, და სხვები შეძრწუნდნენ და დიდება მიაგეს ღმერთს ცისას.

14. და მეორე ვაებამ გადაიარა, და აჰა, მოდის მალე მესამე ვაება.

15. და მეშვიდე ანგელოზმა ჩაჰბერა საყვირს და გაისმა ცაში გრგვინვა, რომელიც ხმობდა სამეფო ქვეყნისა გარდა სამეფო უფლის ჩვენისა და მისი ქრისტესი. და იმეფებს უკუნითი უკუნისამდე. ...

18. და წარმართნი განირისხდნენ, და მოვიდა რისხვა შენი, და ჟამი მკვდართა განსჯისა, და ნაცვლისგების შენისა – მონათა წინასწარმეტყველთა, წმიდათა და სახელის შენის მოშიშთა, დიდთა თუ მცირეთა მიმართ და მიწის დამღუპველთა დაღუპვისა.

19. და გაიღო ტაძარი ცაში, და გამოჩნდა კიდობანი მისი აღთქმისა მისსავ ტაძარში, და იქმნა ელვა და ქუხილი, გრგვინვა, მიწისძვრა და სეტყვა დიდი. ...

12-12. მაშ, გიხაროდეთ, ცანო და თქვენც, ვინც მკვიდრობს მათში. ვაი მიწისა და ზღვი მკვიდრთ, რადგანაც ჩამოხდა თქვენდა მომართ ეშმაკი, სასტიკი რისხვით სავსე, ვინაიდან იცის, რომ ცოტაღა დარჩა ხანი.

13. და როცა იხილა ურჩხულმა, რომ დაემხო ქვეყნად, დევნა დაუწყო ქალს, რომელმაც შვა ვაჟი.

14. და მიეცა ქალს ორი ფრთა ვეება არწივისა, რათა ფრენდეს გველის წინაშე, უდაბნოში, თავის ადგილას, და თავს ირჩენდეს იქ დროის, დროთა და ნახევარი დროის მანძილზე. ...

17. და განრისხდა ურჩხული ქალზე, და გასწია, რათა შებმოდა დანარჩენებს მისი მოდგმისაგან, რომლებიც იმარხავენ ღმერთის მცნებებს, და აქვთ მოწმობა იესოსი.

13-5. და მიეცა მას პირი მზვაობრად მეტყველი და

მდგომელი, და მიეცა მას ხელმწიფება, რათა იბრძოდეს ორმოცდაორი თვე.

6. და განახვნა ბაგენი თავისნი საგმობლად ღვთის მიმართ, რათა ჰგმოს სახელი და სამკვიდრებელი მისი და მკვიდრნი ცისანი.

7. და მიეცა მას ძალი წმიდათა მიმართ ბრძოლისა და მათი ძლევისა, და მისცა მას ხელმწიფება, რათა მბრძანებლობდეს ყველა ტომსა და ენას და ხალხს.

8. და მიწის ყოველი მკვიდრნი, რომელნიც არ არიან ჩაწერილნი სიცოცხლის წიგნში ქვეყნის დასაბამიდან დაკლული კრავისა, თაყვანი სცეს მას.

9. ვისაც ყური აქვს, ისმინოს.

10. ვისაც ტყვედ მიჰყავს სხვა, თვითონაც ტყვედ წაიყვანება, ვინც მახვილით ჰკლავს სხვას, თვითონაც მახვილით მოკვდება; აქაა წმიდათა მოთმინება და რწმენა. ...

15. და მიეცა იმის ძალა, რომ სული ჩაუდგას მხეცის ხატს, რათა ხატი მოქმედებდეს და მეტყველებდეს, და იქმოდეს იმას, რომ ვინც თაყვანს არ სცემს მხეცის ხატს, მოკლული იქნას.

16. და იქმს იმას, რომ ყველა, მცირე თუ დიდი, მდიდარი თუ ღატაკი, თავისუფალი თუ მონა, ყველა აღიბეჭდოს ნიშნით მათს მარჯვენა ხელსა თუ შუბლზე.

17. და ვერავინ იყიდის ან გაყიდის რასმე, გარდა იმისა, ვისაც აქვს ნიშანი, ან სახელი მხეცისა, ან მისი სახელის რიცხვი.

18. აქაა სიბრძნე, ვისაც აქვს გონება, გამოითვალოს მხეცის რიცხვი, ვინაიდან ესაა რიცხვი კაცისა, და რიცხვი მისი ექვსას სამოცდაექვსი.

მხეცის, ანუ სატანის ხატი და რიცხვი ექვსასსამოცდაე-

ქვსი უკვე ავხსენით, ვფიქრობ გამგებთათვის გასაგებად და კიდევ აღარ გავიმეორებთ. ...

14-1. და გავიხედე, და აჰა, კრავი, სიონის მთაზე მდგომარე და მასთან ასორმოცდაოთხი ათასი, რომლებსაც შუბლებზე აწერიათ მამის მისის სახელი.

5. და მათი ბაგეთათვის უცხოა ტყვილი, რადგან უბიწონი არიან ღმერთის ტახტის წინაშე.

6. და ვიხილე სხვა ანგელოზი, შუა ცაში მფრინავი, და ჰქონდა სახარება მარადიული, რათა ეხარებინა მიწის მკვიდრთათვის, და ყოველი ხალხისა და ტომისა, და ენისა და ერისათვის.

7. და ამბობდა ხმამაღლა: გეშინოდეთ ღმერთისა და მიაგეთ მას დიდება, ვინაიდან მოვიდა მისი სასჯელის ჟამი, და თაყვანი ეცით მას, რომელმაც შექმნა ცა და მიწა, და ზღვა და წყალთა წყარონი. ...

8. და მეორე ანგელოზი მოსდევდა მას და ამბობდა: დაემხო ბაბილონი, დიდი ქალაქი, რადგანაც ასვა ღვინო მისი სიძვის რისხვისა ყველა ხალხს.

9. და მესამე ანგელოზი მოსდევდა მას და ამბობდა ხმამაღლა: ვინც თაყვანს სცემს მხეცს ან ხატს მისას, აღიბეჭდება შუბლი მისი ან ხელი მისი ნიშნით.

10. და სვამს ისიც ღმრთის რისხვის ღვინოს, რომელიც შეზავებულია წმიდად მისივე რისხვის სასმისში, და ეწამება გოგირდითა და ცეცხლით წმიდა ანგელოზთა წინაშე და წინაშე კრავის.

11. და კვამლი მისი წამებისა ავა უკუნითი უკუნისამდე, და არ ექნებათ მოსვენება არც დღისით და არც ღამით, მხეცისა და მისი ხატის თაყვანისმცემელთ, ანდა მისი სახელის ნიშნით აღბეჭდილთ.

12. აქ არის მოთმინება წმიდათა, რომელნიც იმარხავენ ღმერთის მცნებებსა და იესოს რწმენას. ...

15. და გამოვიდა მეორე ანგელოზი ტაძრიდან, და შეღაღადა ღრუბელზე მჯდომარეს: მიუშვი შენი ნამგალი და მომკე, რადგანაც მოვიდა მკის ჟამი და მოაწია სამკალი ქვეყნად.

16. და დაუშვა ღრუბლებზე მჯდომარემ თავისი ნამგალი ქვეყნად, და მომკა ქვეყანა.

17. და გამოვიდა სხვა ანგელოზი ციური ტახტიდან და ჰქონდა მასაც ნამგალი წამახული.

18. და სხვა ანგელოზი, ცეცხლის მიმართ ხელმწიფების მქონე, გამოვიდა საკურთხევლიდან, და ხმამაღლა შესძახა მას, რომელსაც ჰქონდა ნამგალი წამახული: მიუშვი ეგ წამახული ნამგალი, და მოსთვლე მტევანი, ვინაიდან დამწიფდა ყურძენი ქვეყნად.

19. და დაუშვა ანგელოზმა ნამგალი ქვეყნად, და მოისთვლა მტევანნი ქვეყნისა და ღმერთის რისხვის ვეება საწნახელში ჩაყარა ისინი.

20. და დაიწურა საწნახელი ქალაქგარეთ, და წარმოსდინდა სისხლი საწნახელს, ვიდრე ცხენთა აღვირამდე ათას ექვსასი უტევანის მანძილზე.

15-1. ვიხილე სხვა ნიშანი ცაში, დიდი და საკვირველი: შვიდი ანგელოზი, რომლებსაც ჰქონდათ შვიდი წყლულება უკანასკნელი, რადგანაც მათით სრულდებოდა ღმერთის რისხვა. ...

6. და გამოვიდა ტაძრიდან შვიდი ანგელოზი, რომლებსაც ჰქონდათ წყლულება შვიდი, სელის წმიდა და ბრწყინვალე სამოსით მოსილნი და მკერდზე ოქროს სარტყელით შემოგარსულნი.

7. და ერთმა ოთხ ცხოველთაგანმა მისცა შვიდ ანგე-

ლოზს შვიდი თასი ოქროსი, აღვსილნი უკუნითი უკუნისამდე ცოცხალი ღმერთის რისხვით. ...

16-2. და წავიდა პირველი და დასთხია თავისი თასი ქვეყნად; და მოიწყლნენ სასტიკი და საზარელი წყლულებით კაცნი, რომელთაც ჰქონდათ მხეცის ნიშანი და თაყვანს სცემდნენ მის ხატს.

3. და მეორე ანგელოზმა დასთხია თავისი თასი ზღვაზე, და იქმნა სისხლი, როგორც მკვდრისა, და ყოველი სულდგმული ამოწყდა ზღვაში.

4. და მესამემ დასთხია თავისი თასი მდინარეებსა და წყაროებზე, და სისხლად იქცა. ...

8. და მეოთხემ დასთხია თავისი თასი მზეზე, და მიეცა მას კაცთა დაწვა ცეცხლით. ...

10. და მეხუთემ დასთხია თავისი თასი მხეცის ტახტზე და დაბნელდა საუფლო მისი, და იკვნეტდნენ თავიანთ ენას სიმწრისაგან.

11. და ჰგმობდნენ ღმერთს ციურს თავიანთი სიმწრისა და თავიანთი წყლულების გამო, და არ შეინანიეს საქმენი თავისნი.

12. და მეექვსემ დასთხია თავისი თასი დიდ მდინარეზე ევფრატისა, და დაშრა მისი წყალი, რათა გამზადებულ იქნეს მეფეთა გზა, რომელნიც მოდიან მზის აღმოსავლეთით. ...

17. და მეშვიდემ დასთხია თავისი თასი ჰაერში და მომესმა ციური ტაძრიდან და ტახტიდან მგრგვინავი ხმა, რომელმაც თქვა: აღსრულდა.

18. და იქმნა ელვა და ქუხილი, გრგვინვა და მიწისძვრა დიდი, რომლის მსგავსი არ ყოფილა მას აქეთ, რაც კაცნი არიან ქვეყნად. ...

20. და ყოველი კუნძული გაუჩინარდა და გაქრნენ მთანი.

21. და სეტყვა ტალანტის ოდენა თავს დაატყდათ ზეციდან კაცთ, და ჰგმო სეტყვით მოწყლულმა ხალხმა სახელი ღმრთისა, ვინაიდან მძიმე იყო წყლულება მისი.

17-1. და მოვიდა ერთი ანგელოზი შვიდ ანგელოზთაგანი, რომლებსაც ჰქონდათ შვიდი თასი, და მითხრა მე, და თქვა: მოდი და გიჩვენებ შენ სასჯელს დიდი მეძავისას, რომელიც ზედ აზის მრავალ წყალს.

2. და რომელთანაც ისიძვეს ქვეყნის მეფეებმა და ქვეყნის ყოველი მკვიდრი დაითრო ღვინით მისი სიძვისა.

3. და წამიყვანა მე სულით უდაბნოში, და ვიხილე ქალი, რომელიც ზედ აჯდა წითელ მხეცს, რომელსაც, გმობის სახელებით სავსეს, შვიდი თავი ჰქონდა და ათი რქა. ...

6. და ვიხილე, რომ ქალი მთვრალი იყო წმიდათა სისხლით, და იესოს მოწამეთა სისხლით, და მიკვირდა, მის მხილველს, საკვირველებით დიდით.

7. და მითხრა მე ანგელოზმა: რად გიკვირს? მე გეტყვი შენ საიდუმლოს ქალისას და მისი მტვირთველი მხეცისას, რომელსაც აქვს შვიდი თავი და ათი რქა. ...

9. აქ არის გონება, რომელსაც აქვს სიბრძნე: შვიდი თავი შვიდი მთა არის, რომლებზედაც ზის ქალი.

10. და შვიდი მეფე, რომელთაგან ხუთი დაემხო, ერთი არის, სხვა არ მოსულა ჯერაც, მაგრამ როდესაც მოვა, დიდხანს ვერ გაძლებს.

11. და მხეცი, რომელიც იყო და აღარ არის, მერვეა შვიდთაგან, და წარსაწყმედელად წავა. ...

14. ისინი შეებრძოლებიან კრავს, და სძლებს მათ კრავი, რადგანაც არის უფალი უფლებათა და მეუფე

მეუფეთა, და მასთან მყოფნი ხმობილნი არიანი და სარწმუნონი და რჩეულნი.

15. და მითხრა მე: წყალნი, რომელნიც იხილე, სადაც ზის მეძავი, ხალხები არიან და ბრბონი, ერნი და ენანი.

16. და ათი რქა, რომელიც იხილე, და მხეცი, – ესენი მოიძულებენ მეძავს და გააჩანაგებენ და გააშიშვლებენ მას, შეჭამენ მის ხორცს და ცეცხლით დაწვავენ მას. ...

18. და ქალი, რომელიც იხილე, არის ქალაქი დიდი, რომლის მეუფებასაც ჰმორჩილებს ქვეყნის ყოველი მეფე.

ქალაქი, ანუ ის დედაქალაქი, რომელზედაც საუბარია, ბიბლიის, ანუ ახალი აღთქმის დაწერის შემდეგ დაახლოებით თექვსმეტ-ჩვიდმეტი საუკუნის შემდეგ შეიქმნა, აშენდა და ამოქმედდა. ამჟამად ის მბრძანებლობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანას, ხალხსა და ენებს. მაგრამ ამის შესახებ ბიბლიის ავტორებმა უკვე იცოდნენ უფალი ღმერთის ნება და სურვილი; თვით უფალი ღმერთის ან მისი ანგელოზთა დახმარებით.

18-1. და შემდგომ ამისა, ვიხილე სხვა ანგელოზი, რომელიც ჩამოდიოდა ზეცით, და ჰქონდა ხელმწიფება დიდი, და მისი დიდებისაგან განათდა მიწა.

2. და შეღაღადა და ხმამაღლა თქვა: დაემხო, დაემხო ბაბილონი დიდი, და ეშმაკთა სამკვდროდ, და ყოველი უწმინდური სულის სამყოფლად, და ყოველი უწმინდური და ბილწი ფრინველის საბუდრად იქცა.

3. რადგან მისი სიძვის მძვინვარე ღვინით დაითრო ყველა ხალხი, და ქვეყნის მეფეებმა ისიძვეს მასთან და ქვეყნის ვაჭარნი დამდიდრდნენ ფუფუნების მისის სიუხვით.

4. და მომესმა მეორე ხმა ზეცით, რომელმაც თქვა:

გამოდი მაგისგან, ჩემო სახლო, რათა არ ეზიაროთ მის ცოდვებს და არ მოიწყლათ მისი წყლულებით.

5. რადგან უწიეს მისმა ცოდვებმა ზეცას, და გაიხსენა ღმერთმა უსამართლობა მისი.

6. მიაგეთ მას, როგორც მან მოგაგოთ თქვენ, და საქმეთა მისთაებრ, ორმაგადაც მიაგეთ მას, სასმისით, რომლითაც გასმევდათ თქვენ, ორმაგად ასმევდეთ მას. ...

11. და ქვეყნის ვაჭარნი იტირებენ და იგლოვებენ მის გამო, რადგანაც აღარავინ იყიდის საქონელს მათსას.

საერთოდ თავს ვიკავებ ყველაფრის ამოხსნისა და დაწერაზე, რადგან დაწერილი ალბათ ოცტომეულში თუ ჩაეტევა და ამდენის წამკითხავი არავინაა. თქვენ ამ წიგნით მიიღეთ საკმარისი ცოდნა, თუ დაინტერესდებით, წაიკითხავთ ბიბლიას დაკვირვებით, უკვე გაქვთ შესაძლებლობა შეისწავლოთ მთელი სიცხადით, ის ღვთიური ცოდნა, რომელიც ასე საჭიროა ჩვენი ნორმალური ცხოვრებისათვის. განსაკუთრებით არ ვეხები საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებს, რადგან ყველამ მიხედოს საკუთარ თავს და მომავალს. ...

19-1. და შემდგომ ამისა, მომესმა ცაში მგრგვინავი ხმა, რომელიც ამბობდა: ალილუია! ხსნა და დიდება და პატივი და ძალი უფალს, ღმერთს ჩვენსას!

2. რადგანაც ჭეშმარიტნი და სამართალნი არიან მსჯავრნი მისნი, ვინაიდან განსაჯა დიდი მეძავი, რომელმაც თავისი სიძვით გახრწნა ქვეყანა, და იძია მისი ხელიდან მონათა თვისთა სისხლი.

3. და მეორედ თქვეს: ალილუია! და კვამლი მისი ადის უკუნითი უკუნისამდე. ...

17. და ვიხილე ანგელოზი ერთი, მზეზე მდგომარე, და

ხმამაღლა შესძახა და უთხრა შუა ცაში მფრინავ ყველა ფრინველს: მოდით და შემოკრბით დიდ სერობაზე ღმრთისა.

18. რათა ჭამოთ ხორცი მეფეთა და ხორცი ათასისთავთა, და ხორცი ყველა თავისუფლისა და მონისა, მცირესი თუ დიდის.

19. და ვიხილე მხეცი და ქვეყნის მეფენი და მხედრობა მათი, შეკრებილნი, რათა შებრძოლებოდნენ ცხენზე მჯდომ და მხედრობას მისას.

20. და შეპყრობილ იქმნა მხეცი და მასთან ერთად ცრუ წინასწარმეტყველიც, რომელმაც ქმნა მის წინაშე სასწაულნი, რომლებითაც აცდუნა მხეცის ნიშნის მიმღებნი და მისი ხატის თაყვანისმცემელნი, და ჩავარდა ორივე გოგირდით მოგიზგიზე ცეცხლის ტბაში.

21. ხოლო დანარჩენნი მოისრნენ ცხენზე მჯდომის მახვილით, რომელიც გამოდიოდა მისი ბაგეთაგან, და ყველა ფრინველი მიაძღა მათ მძორს.

20-1. და ვიხილე ანგელოზი, ჩამომავალი ზეცით, რომელსაც ჰქონდა გასაღები უფსკრულის და ხელთ ეპყრა ჯაჭვი გრძელი.

2. და შეიპყრო ურჩხული, გველი დასაბამისა, რომელიც არის ეშმაკი და სატანა, და შეკრა იგი ათასი წლით.

3. და ჩააგდო იგი უფსრულში, და დახშა კარი, ვიდრე არ გასრულდება ათასი წელი; ხოლო შემდგომ ამისა თავს დაიხსნის მცირედი ხნით.

გასაგებადაა ნათქვამი, რომელიც შეესაბამება სინამდვილეს, რადგან: დასაბამის გველი, ეშმაკი და სატანა შეიპყრო ზეცით მოვლინებულმა ანგელოზმა, შებორკა ის და დაამწყვდია ათასი წლით უფსკრულში; ამის შემ-

დეგ თავს დაიხსნის მცირედი ხნით. და ისევ მოვა ათასი წლის გასვლის შემდეგ. ისევ ისევე განმეორდება, რაც ხდება დღეს რეალურად. სწორედ აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველი ათასი წლის დასასრულ-სა და მომდევნოს დასაწყისში, ერთი და იგივე მეორდე-ბა.

20-4. და ვიხილე ტახტნი და მათზე მსხდომარენი, და მიეცათ მათ მსჯავრი, და იესოს მოწმობისა და ღმერთის სიტყვისათვის თავმოკლულთა სულნი, რომელთაც თაყვა-ნი არ სცეს, არც მხეცსა და არც მის ხატს, და არ მიიღეს ნიშანი მისი შუბლსა თუ ხელზე; და ცხონდნენ და სუფევდნენ ქრისტესთან ერთად ათას წელს. ...

7. ხოლო ათასი წლის გასრულების შემდეგ სატანა დაიხსნება თავის საპყრობილედან..

8. და გამოვა, რათა აცდუნოს ხალხნი, რომელნიც არიან ქვეყნის ოთხივე კუთხეში, გოგი და მაგოგი, რათა საბრ-ძოლველად შეკრიბონ ისინი, რომელთა სიმრავლე, რო-გორც ქვიშა ზღვისა.

9. და გამოვიდნენ მიწის სივრცეზე, და გარს შემოერ-ტყნენ წმიდათა ბანაკს და საყვარელ ქალაქს, და ჩამოეშვა ცეცხლი ღმერთისაგან ზეცით და შთანთქა ისინი.

10. და ეშმაკი, მათი მაცდური, ჩავარდა ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, სადაც არიან მხეცი და ცრუ წინასწარმეტყველი; და ეწამებიან დღე და ღამ უკუნითი უკუნისამდე.

11. და ვიხილე სპეტაკი ტახტი დიდი, და მასზე მჯდო-მარე, ვისი სახისგანაც ილტვოდნენ მიწა და ცა, და აღარ დარჩა ადგილი მათი. ...

21-1. და ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგანაც

უწინდელი ცა და უწინდელი მიწა გადაეგო, და ზღვა აღარ არის.

2. და მე იოანემ, ვიხილე წმიდა ქალაქი, ახალი იერუსალიმი, ღმერთისაგან ზეცით ჩამომავალი, გამზადებული, როგორც სასძლო, და სასიძოსთვის შემკული.

ნახსენებია სასძლო ანუ მომავალი დედა, სასიძოსთვის გამზადებული, მომავალი დედა, რაც ნიშნავს რომ ესაა დედაქალაქი საქართველოსი, შესაძლოა თბილისი, ან სხვა რომელიმე ახალი ქალაქი. ...

21-3. და მომესმა მგრგვინავი ხმა ზეცით, რომელმაც თქვა: აჰა, კრავი ღმრთისა კაცთა თანა და დამკვიდრდება მათთან, და ისინი იქნებიან მისი ხალხი, და თვით ღმერთი იქნება მათთან.

4. და შეაშრობს მათ თვალებზე ყოველგვარ ცრემლს, და აღარ იქნება სიკვდილი, და აღარც გლოვა, აღარც ტირილი და აღარც ტანჯვა აღარ იქნება, რადგანაც გადაეგო ყოველივე უწინდელი.

5. და თქვა ტახტზე მჯდომარემ, აჰა, ვიქმ ყოველივე ახალს და მითხრა მე: დაწერე: ეს სიტყვანი სარწმუნონი არიან და ჭეშმარიტნი.

6. და მითხრა მე: აღსრულდა. მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული. და მივცემ მწყურვალს სიცოცხლის წყლის წყაროსაგან უსასყიდლოდ.

7. მძლეველი დაიმკვიდრებს ყოველს, და ვიქნები მისი ღმერთი და ის იქნება ჩემი ძე.

8. ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა, ბილწთა და მკვლელთა, მეძავთა და მწამვლულთა, კერპთაყვანისმცემელთა და ყოველთა ცრუთა ხვედრი ტბაშია, ცეცხლითა და გოგირდით მოგიზგიზეში. ეს არის მეორე სიკვდილი. ...

14. და ზღუდეს ქალაქისას ჰქონდა თორმეტი საფუძველი, და მათზე კრავის თორმეტი მოციქულის თორმეტი სახელი. ...

27. და ვერ შევა შიგ სიბილწისა თუ სიცრუის ვერცერთი მოქმედი და თანაზიარი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელნიც ჩაწერილნი არიან კრავის სიცოცხლის წიგნში.

22-1. და მიჩვენა მე წმიდა მდინარე სიცოცხლის წყლისა, ანკარა, როგორც ბროლი, ღმერთისა და კრავის ტახტისაგან გამომდინარი.

2. მისი მოედნის შუაში და მდინარის გაღმა-გამოღმა, ხე სიცოცხლისა, თორმეტგზის ნაყოფის გამომღები, ყოველთვე ნაყოფის თვისის მომცემი, და ხის ფოთოლნი – ხალხთა სამკურნალოდ.

3. და აღარ იქნება არავითარი წყევლა, და ტახტი ღმრთისა და კრავისა იქნება მასში, და მონები მისი ემსახურებიან მას. ...

18. და ვმოწმობ ყველას მიმართ, ვინც ისმენს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს: თუ ვინმე რამეს დაურთავს მათ, ღმერთი დაურთავს მას წყლულებს, რომლებიც წერია ამ წიგნში.

19. და თუ ვინმე რამეს მოაკლებს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს, ღმერთი მოაკლებს მის წილს სიცოცხლის ხისას და წმიდა ქალაქისას და იმისა, რაც წერია ამ წიგნში.

20. ამბობს, ვინც მოწმობს ამას: ჰო, მოვალ მალე! ამინ! ჰო, მოდი, უფალო იესო!

21. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი ყველა თქვენგანთან. ამინ!

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ძნელი არაა მიხვდე,

თუ რა საშიში და უხერხულია იმუშაო წიგნ ბიბლიასთან ერთად და დაწერო შენი მოსაზრება უფალი ღმერთისა და მფარველი ანგელოზის დახმარების გარეშე. აბსოლიტურად უნდა დარწმუნდე შენი მოქმედების სისწორეში და აუცილებლობაში, რომ შენი მოქმედება არის აუცილებლობით გამოწვეული. ამდენად დიდ მადლობას ვუხდი უფალ ღმერთს, მფარველ ანგელოზს და ბიბლიის დამწერ ყველა წინასწარმეტყველთ, რომლებმაც მომცეს ეს ნიჭი და ცოდნა ამეხსნა თქვენთვის ზოგიერთი ცოდნა ბიბლიიდან. ამავე დროს წინასწარ დიდ მადლობას ვუხდი ყოველ მკითხველს, ვისაც აქვს სათანადო ცოდნა, მიიღებს და შეასრულებს ყოველ ზემოთ თქმულს უფალი ღმერთისა და მის წინასწარმეტყველთა ნათქვამს, სულით, გულით, გონებით ეზიარება ქრისტიანულ მართლმადიდებლურ რწმენას და იზრუნებს სამშობლოზე, მოყვასზე და ბედნიერ მომავალზე. ეს გახლავთ ჩემი მიზანი ამ წუთისოფელში. ამისთვის ვშრომობ მთელი ჩემი ცხოვრება, და ვიდრე არ დავრწმუნდი უკვე ხანშიშესულმა ჩემი მოქმედების სისწორეში, მანამ თავს არ მოგახვიეთ ცოდნა და მოსაზრება, რომელიც აქამდე დამიგროვდა.

# თავი მეშვიდე

***სახარება მათესი:*** *4-4.* ხოლო იესომ მიუგო და უთხრა: დაწერილია: არა მხოლოდ პურით იცოცხლებს კაცი, არამედ ყოველი სიტყვით, რომელიც გამოდის ღმერთის პირიდან.

ბიბლიას ჩვენ უკვე გავეცანით. საკმარისია, რომ ვიფიქროთ, არა მარტო პურით არსებობაზე, არამედ ვიცხოვროთ და ვიცოცხლოთ ყოველი სიტყვით, რომელიც გამოდის ღმერთის პირიდან, რომელიც გადმოგვეცა უფალი ღმერთის წინასწარმეტყველთა მიერ და მართლმადიდებელი სამღვდელოების, საპატრიარქოს, პატრიარქის მიერ. ყოველი მათი მომსმენი და მქადაგებელნი იცხოვრებენ და იცოცხლებენ და იმოქმედებენ უფალი ღმერთის გზით მომავალ ცხოვრებაში.

***ამოს წინასწარმეტყველი:*** 8-1. ასე მახილვინა უფალმა ღმერთმა: აჰა, მოწეული ხილით სავსე კალათა.

2. მითხრა: რას ხედავ, ამოს? ვთქვი: მოწეულ ხილით სავსე კალათას-მეთქი. მითხრა უფალმა: მოაწია ჩემი ერის, ისრაელის, ბოლომ. მეტს აღარ ვაპატიებ.

3. მოთქმით იტყვიან სასახლის სიმღერებს იმ დღეს, ამბობს უფალი ღმერთი; უამრავი გვამი იქნება, ყველგან დაყრიან უხმოდ.

4. ისმინეთ ეს, ღარიბ-ღატაკთა შთამთქმელნო და ქვეყნის ბეჩავთა დამღუპველნო;

5. რომ ამბობთ: როდის გავა ახალმთვარეობა, რომ გავყიდოთ პური, და შაბათი, რომ გავაღოთ ბეღლები, შევამციროთ ეფა, გავზარდოთ შეკელი და ვიტყუოთ მრუდე სასწორითო,

6. ვიყიდოთ ვერცხლით ბეჩავნი და წყვილ ხამლით ღარიბ-ღატაკნი, პურის განაცხრილი კი გავყიდოთ?

7. დაიფიცა უფალმა იაკობის დიდება, თუკი ოდესმე დავივიწყო ერთი მათი ნამოქმედარიც კი.

8. ნუთუ არ შეიძვრება მიწა ამის გამო და არ მოჰყვება გოდებას ყოველი მისი მკვიდრი? აიწევს ერთიანად

ნილოსივით, მოვარდება და უკუიქცევა ეგვიპტის მდინარესავით.

9. იმ დღეს იქნება, ამბობს უფალი ღმერთი, რომ შუადღისას ჩავიყვან მზეს და დღის სინათლეზე დავაბნელებ ქვეყანას.

10. დღესასწაულებს გლოვად გადაგიქცევთ და ყველა თქვენს სიმღერას გოდებად; ჯვალოს შემოგახვევთ წელზე და ყველა თავი გადაიპარსება; ავატირებ ქვეყანას, როგორც მხოლოდშობილზე ტირიან, და მწარე დღე იქნება მისი ბოლო!

11. აჰა, დგება დღეები, ამბობს უფალი ღმერთი, როცა მოვავლენ ქვეყანაზე შიმშილს, არა შიმშილს პურისას და წყურვილს წყლისას, არამედ უფლის სიტყვების მოსმენისას.

12. იხეტიალებენ ზღვიდან ზღვამდე და ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთამდე; მი-და-მოივლიან უფლის სიტყვის საძებნელად, მაგრამ ვერ ჰპოვებენ. ...

14. სამარიელ აშიმას მოფიცარნი, რომ ამბობენ: ცოცხალია შენი ღმერთი დანი, ცოცხალია ბერშებას გზაო, დაეცემიან და ვეღარ ადგებიან.

ამ დიდ უბედურებათა შემდეგ, რომელიც მოწეულია საქართველოზე, რადგან ძალზე ბევრი ბოროტმოქმედება, გაუგონარი სისაძაგლენი ხდება, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უსასტიკეს გასაჭირშია, ადამიანები იხოცება უმკურნალოდ, რადგან ჯანმრთელობის დაცვის სისტემა განადგურებული და ხელმიუწვდომელია მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის. სრულიად მოსპეს არსებული განათლების სისტემა, შემოიღეს უვარგისი, საერთოდ მიუღებელი ახალი სისტემა და მოსწავლეებს თავი-

დანვე უჩლუნგებენ გონებას და ცოცხალ რობოტებად ზრდიან; ისინი მხოლოდ შემსრულებლებად თუ გამოდგებიან, შეუძლიათ იმუშაონ მოჯამაგირეებად, მიმტანებად, შეშის მჭრელებად და სხვა სამუშაოთა შემსრულებლებად. ამით ახალგაზრდობას და საქართველოს მომავალს უსპობენ ბედნიერ მომავალს. შრომისუნარიანი ქართველი ხალხი იძულებით ტოვებენ საქართველოს და საზღვარგარეთ გარბიან, რომ გადაარჩინონ ოჯახი შიმშილით განადგურებას. მაშინ, როდესაც სატანათა უსაშველოდ გამდიდრებას აზრი არ აქვს, რადგან უფალი ღმერთი შეახსენებს მათ: „შიშველი მოხვედით და შიშველნი წახვალთ ჯოჯოხეთში".

ყოველივე ამას სჭირდება ცოდნა, თუ რა ხდებოდა დღემდე, რა ხდება დღეს და რა მოხდება უახლოეს მომავალში. ამ ცოდნას უფალი ღმერთისაგან მიიღებს ჯერ საქართველო, ქართველი ხალხი და ამის შემდგომ გავრცელდება მთელს დედამიწაზე. სწორედ ამიტომ ამბობს უფალი ღმერთი: „აჰა, დადგება დღეები, როცა მოვავლენ ქვეყანაზე შიმშილს, არა შიმშილს პურისას, და წყურვილს წყლისას, არამედ უფლის სიტყვების მოსმენისას". ... „სწორედ ამ ცოდნას დაუწყებენ ძებნას, მაგრამ არ ექნებათ". თუმცა უფალმა ღმერთმა მაინც იზრუნა ამის შესახებ; მოავლინა საქართველოში მისი ხმობილი ადამიანები, მათ დაწერეს მრავალი წიგნები და ზოგი მათგანი დაიბეჭდა კიდეც. რომ ისარგებლონ ამ წიგნებით, მიიღონ ღვთიური ცოდნა და ამ ცოდნით იცოცხლონ, იმოღვაწეონ წუთისოფელში, ვისაც სურვილი ექნება იცოცხლონ მარადიულ სასუფეველში.

ყოველი იდუმალის სრულად განმარტება ამ პატარა

წიგნში ვერ ხერხდება, თუმცა ისინი განმარტებულია ჩემს სხვა წიგნებში. ...

***ამოს წინასწარმეტყველი:*** 9-1. ვიხილე უფალი, სამსხვერპლოსთან მდგარი, და მითხრა: დაჰკარი ბულაურებს, რომ შეირყეს ზღურბლი და თავზე დაემხე მათ ყველას; მათ საბოლოოს მე მოვსრავ მახვილით, გამქცევი ვერსად გაიქცევა და მათგან ვერავინ გადარჩება.

2. ქვესკნელშიც რომ ჩაიმარხონ, იქიდან ამოვიყვან მათ ჩემი ხელით; ზეცაში რომ ავიდნენ, იქიდანაც ჩამოვიყვან;

3. ქარმელის წვერზეც რომ დაიმალონ, იქაც მოვძებნი მათ და შევიპყრობ; ჩემს თვალსაც რომ მიეფარონ ზღვის ფსკერზე, იქ უბრძანებ გველებს და დაკბენენ მათ;

4. ტყვედაც რომ ჩაუვარდნენ თავიანთ მტრებს, ვუბრძანებ მახვილს, რომ იქ ამოხოცოს ისინი. თვალს დავადგამ მათ ავბედითად და არა სასიკეთოდ.

5. უფალი, ცაბაოთ ღმერთი, თუ შეეხო დედამიწას, დადნება იგი დაატირდება ყოველი მისი მკვიდრი; აიწევს მაღლა ნილოსივით და დაბლა დაიწევს ეგვიპტის მდინარესავით.

6. ცაში აიგო მან თავისი სამყოფელი და მიწაზე დააფუძნა თავისი კამარა; მოუხმობს ზღვის წყლებს და მიუღვრის მათ მიწის ზედაპირს: უფალია მისი სახელი.

7. განა ქუშელებივით არა ხართ ჩემთვის, ისრაელიანებო? ამბობს უფალი; განა ისრაელი არ გამოვიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან, როგორც ფილისტიმელნი ქაფთორიდან და არამელნი კირიდან?

8. აჰა, უფლის ღვთის თვალი ცოდვილ სამეფოზეა და აღგვი მას პირისაგან მიწისა, ოღონდ საბოლოოდ არ აღგვი იაკობის სახლს, ამბობს უფალი.

9. რადგან, აჰა, ვუბრძანებ და გავცხრილავ ისრაელის სახლის ყველა ხალხს, როგორც ხორბალი იცხრილება. და ერთი მარცვალიც არ დავარდება მიწაზე.

საუბარია, რომ უფალი ღმერთის ბრძანებით ისრაელის სახლი, ანუ მთლიანად მთელი საქართველო, სადაც ცხოვრობს მრავალი ეროვნების ხალხი გაიცხრილება ყველა, ანუ განიკითხება ყოველი ერი, კაცი თუ ქალი... არცერთი კეთილი, მორწმუნე ადამიანი არ დაიღუპება, „ერთი მარცვალიც არ დავარდება მიწაზე“, ხოლო ყოველი ბოროტმოქმედი, მატყუარა, გარყვნილი, კაცისმკვლელი, სატანა და მათი მომხრენი განადგურდებიან და როგორც ხორბლის მტვერი და ჭუჭყი ქარს გავატანო, ამბობს უფალი ღმერთი. ასე განიწმინდება ისრაელი ბოროტმოქმედთა არსებობის შეწყვეტით.

9-10. მახვილით მოკვდება ყველა ცოდვილი ჩემს ერში, რომლებიც ამბობენ, არ დააჩქარებო, არ მოაწევო ჩვენზე უბედურებას.

11. მას ჟამს აღვმართავ დავითის დამხობილ კარავს: გარღვეულს შევკრავ, დანგრეულს გავამთელებ და ისე აღვადგენ, როგორც ძველ დროში იყო.

12. რათა დაეპატრონონ ედომის ნატამალს და ყველა ხალხს, რომელთა შორისაც ჩემი სახელი იხსენიება, ამბობს უფალი ღმერთი, ამის მოქმედი.

13. აჰა, დადგება დრო, ამბობს უფალი, როცა მხვნელი თავს წაადგება მომკელს და ყურძნის მწურავი – მთესველს; ბადაგად დაიღვრებიან მთები და გორაკები დადნებიან.

14. დავაბრუნებ ტყვეობიდან ჩემს ერს, ისრაელს; ააშენებენ გაუკაცურებულ ქალაქებს და დასახლდებიან; ჩაყ-

რიან ვენახებს და დალევენ მათ ღვინოს, გააშენებენ ბაღებს და შეჭამენ მათ ხილს.

15. დავნერგავ მათ თავიანთ მიწაზე და აღარ აღმოიფხვრებიან თავიანთი მიწიდან, რომელიც მივეცი მათ, ამბობს უფალი, შენი ღმერთი.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთთქმული ამ თავში შეეხება როგორც ბოროტმოქმედთ თავიანთი სასჯელის გათვალისწინებით, ხოლო ყოველ კეთილშობილთ თავიანთი კეთილი საქმეთა შესაბამისად, კეთილი მიეზღება.

როგორც ვიცით, ამ ქვეყნად უცოდველი არავინ არ ვართ, თუმცა გააჩნია ვინ როგორი ცოდვა ჩაიდინა, შეიძლება თუ არა მისი მონანიებით ამ ცოდვათა მიტევება, ან არ შეიძლება. მაგალითად, ადამიანის მიერ ადამიანის მოკვლა მიუტევებელი ცოდვაა და მითუმეტეს უდანაშაულო მართალი კაცის მოკვლა, რადგან ადამიანებს სიცოცხლეს უფალი ღმერთი აძლევს და ის წარმართავს მის სიცოცხლის ხანგრძლივობას; ხოლო რომელ ადამიანს აქვს ნება, რომ ჩაერიოს უფალი ღმერთის საქმეში. მის მიერ ადამიანზე მიცემული სიცოცხლე წაართვას ადამიანს, მით უმეტეს მართალ მორწმუნეს. ასეთ მკვლელ ადამიანებს საგანგებოდ და სანიმუშოდ ტანჯავს, აწამებს, ცოცხლად ალპობს უფალი ღმერთი და კლავს მათ.

ასევე მიუტევებელ ცოდვებს ჩადიან ის სატანები, რომლებიც მასიურად ანადგურებენ საკუთარ მოყვასს, ფიზიკურად სპობენ. ასე მაგალითად: ვისაც შემოაქვს ქიმიურ დანამატებიანი ვადა გასული საკვები, პროდუქტები, ვადაგასული და ფალსიფიცირებული წამლები, უსაფუძვლოდ ზრდიან ფასებს პროდუქტებზე და ღარიბ-ღატაკთ არ მიუწვდებათ ხელი მათ საყიდლად, შედეგად კი

შიმშილით იღუპებიან, ვინც ჭამს დღევანდელ პენსიონერთა კუთვნილ თანხებს და მთელს ყოფილ საბჭოთა ქვეყნის რესპუბლიკებიდან ყველაზე დაბალ პენსიას აძლევენ პენსიონერებს, მაშინ როდესაც მათ შექმნილ სახალხო და სახელმწიფო ქონების გაყიდვით გახდა სატანები მილიონერები, მილიარდერები; ვინც ავრცელებს ნარკოტიკებს, მოწამლულ თამბაქოს და ამით მდიდრდებიან, ვინც აცდუნებს ფულით ახალგაზრდობას და რყვნიან მათ. ვინც მოსპო ჯანდაცვის სისტემა და ამით ხელი შეუწყო მოსახლეობის უმკურნალოდ გაწყვეტას. ისინი, ვინც მუშაობენ ძალოვან სტრუქტურებში, სასამართლოს სისტემაში და არაადამიანურად იქცევიან: უმოწყალოდ ცემენ უდანაშაულო ადამიანებს, მომიტინგეებს, არსებული უვარგისი მთავრობის მოწინააღმდეგეებს, უსამართლო განაჩენის გამომტანთ მაშინ, როდესაც უდანაშაულო ადამიანები წლობით, ათწლობით იტანჯებიან საპატიმროებში; ადამიანთა უფლებების დამრღვევთ და სხვა ნაძირალებთ.

თითოეულ ჩვენთაგანს გვაინტერესებს, თუ როგორ, რა მეთოდებით შეიცვლება არსებული უვარგისი დემონკრატიული სისტემა და რა ახალი ქვეყნის მართვის სისტემა იქნება შემოღებული, რომელიც ასე რადიკალურად შეცვლის არსებული ურჩხულის სისტემას; შემოიღებს ახალს, უმჯობესს ჩვენთვის, და უფალი ღმერთისთვის მისაღებ სამმართველო სისტემას. ...

***სახარება მათესი:*** 13-52. ხოლო იესომ უთხრა მათ: ამიტომ ყოველი მწიგნობარი, რომელიც ცათა სასუფევლის მოწაფე გახდა, მსგავსია სახლის პატრონისა, რომელსაც თავისი საუნჯიდან გამოაქვს ახალიც და ძველიც. ...

57. არ არის წინასწარმეტყველი პატივის გარეშე, თუ არა თავის მამულში და თავის სახლში.

რა თქმა უნდა ყოველივე ეს კარგად ვიცი და წინასწარ შევეგუე, რომ არავითარ დაფასებას ჩემი შრომის გამო, ჩემს სიცოცხლეში ვერ მივიღებ, თუმცა უდიდესი კმაყოფილი ვარ იმისა, რომ უფალი ღმერთის ხმობილი ვარ და ყოველ მის ბრძანებას, დავალებას, სწავლებას ვასრულებდი და შევასრულებ, სანამ სული პირში მიდგას. რა თქმა უნდა არ მეშინია სიკვდილის, რადგან გარდაცვალება ჩემთვის, შეიძლება ითქვას, გარანტირებულია. ...

24-14. და იქადაგება სასუფევლის ეს სახარება მთელს ქვეყანაზე, ყველა ხალხის სამოწმებლად; და მაშინ მოიწევა დასასრული.

როდესაც კაცობრიობა, მისი გადარჩენილი ნაწილი, მიხვდება რეალობას, ის თუ რა ხდებოდა, რა ხდება და დაინახავს რა მოხდება, ამის შემდეგ იწამებენ უფალ ღმერთს, შეიმეცნებენ ყოველ მის საქმეს, შეიყვარებენ მას და სათანადოდ ადიდებენ უფალ ღმერთს; ამის შემდეგ დედამიწაზე იქნება სულ სხვა ბედნიერი ცხოვრება. მშვიდობიანად და ურთიერთ სიყვარულით, პატივისცემით იცხოვრებენ ადამიანები; სატანების, ბოროტმოქმედთა გარეშე. ...

ამდენად საინტერესოა თუ რა ცხოვრების, ქვეყნის მმართვის ახალი სისტემა იქნება შემოღებული, არსებული ურჩხულის მმართველობის სისტემისაგან განსხვავებით. ამ საქმეში დახმარებისათვის მივმართოთ ისევ ბიბლიას. კერძოდ „ახალ აღთქმას“.

***სახარება იოანესი:***

1-42. მან პირველმა მონახა თავისი ძმა სიმონი და

უთხრა მას: ვიპოვე მესია (რაც თარგმნით ნიშნავს ქრისტეს) ...

4-25. უთხრა მას ქალმა: ვიცი, რომ მოვა მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე, და როცა მოვა, გვაუწყებს ჩვენ ყოველივეს.

როგორც უკვე დავრწმუნდით, იესო ქრისტე უკვე მოვიდა; დადგა დრო, რომ გვაუწყოს ყოველივე, მათ შორის ჩვენ შევიმეცნეთ რაც ხდებოდა წარსულში და რატომ ხდებოდა ის, რაც მოხდა. ასევე გავეცანით რა ხდება ჩვენს თვალწინ რეალურად, რატომ ხდება ის და რაა საჭირო, რომ ვიმოქმედოთ არსებულ პრობლემათა აღმოსაფხვრელად. რა მოხდება მომავალში და რა შედეგებს უნდა ველოდეთ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე.

უკვდავი, მარადცოცხალი ქართული ენის დახმარებით შეგვიძლია ამოვხსნათ და განვმარტოთ სიტყვა მესია. დავმარცვლოთ ის და მივიღებთ მესია ანუ მე-სია. მე – ეს ხომ პიროვნებაა, რომელიც თავისი შრომით, სწავლით, შემოქმედებითი საქმიანობით შექმნა საკუთარი ძე, მისი შემოქმედების სახით, რომელმაც შეძლო თავისი გვარით და სახელით, შემოქმედებით გამხდარიყო საყოველთაოდ ცნობილი ადამიანი, პიროვნება საქართველოში. რა თქმა უნდა, ასეთი პიროვნება შეიძლება იყოს მეცნიერი, სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, სამართალმცოდნეობის, სამხედრო თავდაცვის, მედიცინის, განათლების, სოფლისმეურნეობის და სხვადასხვა დარგებში. ის ითვლებოდეს ამა თუ იმ დარგის უდიდეს სპეციალისტად და ამავე დროს არის კეთილსინდისიერი, საქართველოს და მოყვასის უანგარო მოყვარული და დამცველი, რომელიც დიდი სიამოვნებით

იმუშავებს დანგრეული, გაპარტახებული საქართველოს სახალხო მეურნეობის, მისი ეკონომიკის, თავდაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის და საერთოდ ახალი საქართველოს აღმშენებლობის საქმეში. რაც შეეხება სია-ს ეს გახლავთ ასეთი ცნობილი სპეციალისტთა სია, რომლებიც ერთობლივად იმუშავებენ საქართველოში არსებული ყველა პრობლემათა მოსაგვარებლად; საქართველოსა და მისი მოსახლეობის შემდგომი ბედნიერი ცხოვრებისათვის. ...

ახალი მმართვის სისტემა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ, მესიის არსებობის პირობებში: მესია, ანუ მე კაცთა სია, ჩემი შეხედულებით თავდაპირველად უნდა შედგებოდეს ოცდაჩვიდმეტი რჩეული სპეციალისტებისაგან. ყოველ სახალხო მეურნეობის თუ საქართველოს მართვის სისტემიდან ყველაზე ღირსეული, მცოდნე, პატიოსანი, მშრომელი და უანგარო ადამიანები, რა თქმა უნდა დაკმაყოფილებული იქნებიან სოლიდური ხელფასებითა და მომსახურეობით.

თავდაპირველად მესიას და მის რაოდენობას ადგენს და ქმნის სახალხო არჩევნებში დემოკრატიული მართველობის სისტემის პირობებში არჩევნებში გამარჯვებული პარტია. და არა დემონკრატიულ ანუ ურჩხულის მართველობის პერიოდში გაყალბებით გამარჯვებული რომელიმე პარტია. ... მესია ირჩევს საკუთარ ხელმძღვანელ ორგანოს, ან ყოველი წევრი ერთნაირი ხმის უფლებით სარგებლობს; ქმნიან საკუთარ წესდებას და სამოქმედო პროგრამას, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს აუცილებლად შემდეგი პირობები: მესია შეისწავლის ყოველ საპრეზიდენტო პიროვნების ავტობიოგრაფიას, გაესაუბრე-

ბიან მას და სათანადო შეფასების შემდეგ საკუთარი რეკომენდაციით, შეიყვანს საპრეზიდენტოდ ასარჩევ სიაში. ასე რომ მესიის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატი გამარჯვების შემთხვევაში გარკვეულ ძალაუფლებას მიიღებს. მესიის ძალაუფლებას არ შეეხება და ის დარჩება სამარადჟამოდ. პირიქით მესია აწარმოებს კონტროლს პრეზიდენტის საქმიანობაზე. მესიის წევრები აუცილებლად უნდა იყონ უპარტიოები და აბსოლიტურად უნდა იმუშაონ ყოველგვარი ზეწოლისა ან რაიმე ვალდებულებათა გარეშე. ისინი ვალდებულნი არ არიან, რომელიმე პარტიის მიმართ. ... რადგან ქვეყნის მართვისას სათავეში სხვადასხვა დროს, შეიძლება მოვიდნენ სხვადასხვა პარტიები და ამით მოახდინონ მათ მესიაზე გარკვეული ზეწოლა. ... ყოველი პარტია, რომელიც სამმართველო სისტემის სათავეში მოვა დაემორჩილება მესიას. ...

თუ არჩეულმა პრეზიდენტმა ვერ გაამართლა დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობისას, მესია ვალდებულია, გადააყენოს პრეზიდენტი დაკავებული თანამდებობიდან, შეისწავლოს მისი მუშაობის პერიოდი, რაიმე შეგნებული დარღვევების შემთხვევაში დასაჯოს კანონის მიხედვით; ხოლო მოსახლეობას წარუდგინოს ახალი პრეზიდენტობის კანდიდატების სია პრეზიდენტად ასარჩევად.

მესია ვალდებულია შექმნას აკადემია, სასწავლო ცენტრის სახით, სადაც საქართველოში დაბადებული და აღზრდილი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდობა მიიღებენ სწავლა-განათლებას. მათ ლექციებს წაუკითხავს მესიის ყოველი წევრი საკუთარი ცოდნის მიხედვით. ასე რომ ყოველი ახალგაზრდა, რომელიც ამ აკადემიას დაამთავ-

რებს უნდა იცოდეს სახალხო მეურნეობის ყოველი დარგი, ისტორია, სამართალმცოდნეობა, კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კანონები, ენები და თითქმის ყველაფერი, რა ცოდნაც შეიძლება დაჭირდეს პრეზიდენტს თავისი მუშაობისას. ისე რომ რომელიმე მრჩეველმა ვერ შეძლოს მისი შეცდომაში შეყვანა. ყოველივე ამის შემდგომ თანდათანობით ჩამოყალიბდება საქართველოში მმართვის სისტემა, დაიწყება ნორმალური ცხოვრება. რაც გამოიწვევს საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფ გაუმჯობესებას, რადგან საქართველო პატარა ქვეყანა და ყოველგვარი შესაძლებლობა არსებობს ქართველმა ხალხმა იცხოვრონ ბედნიერად. თვით უფალი ღმერთის უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით, ხელშეწყობით. ... სათანადო აღზრდის შემდეგ მესია, აკადემიის სწავლების კურსის დამთავრების შემდეგ, რეკომენდაციებს გაუწევენ კურსდამთავრებულებს საქართველოს ხელმძღვანელ ორგანოებში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში სამუშაოდ. ასე რომ მესია არა მარტო უზენაესი ხელმძღვანელი ორგანო იქნება საქართველოში, არამედ ახალი კადრების აღზრდის, ჩამოყალიბების, დასაქმების ორგანიც გახდება. მათი გამოშვებული კადრები მიიღებენ სათანადო რეკომენდაცია-დახასიათებებს თანამდებობებზე სამუშაოდ. ასე რომ საქართველოს სახელმწიფო გახდება ერთ-ერთი უნიკალური ქვეყანა დაკომპლექტებული მცოდნე და საქმიანი ახალგაზრდობით.

რა თქმა უნდა, მესიის შემადგენლობაში, როგორც წესი არჩეული უნდა იყოს სასულიერო პირები, ვისაც რეკომენდაციას გაუწევთ საქართველოს საპატრიარქო. ...

თუ რომელიმე მესიის წევრმა გამოიჩინა რაიმე მიკერძოება ვინმეს მიმართ, ან ტენდენციური გახდა რომელიმე დარგის განვითარების მიმართ, რომლის დაჩქარებული ტემპით განვითარება, არაა ისე საჩქარო, როგორც სხვა აუცილებელი დარგების, ან მოხუცებულობის, ავადმყოფობის, მოუცლელობის გამო ვერ ახერხებს მესიის სხდომებზე მოსვლას, სათანადო მუშაობის წარმართვას და სხვა მიზეზები, მაშინ მესიის სათანადო სხდომაზე გადაწყდება მისი პენსიაზე გასვლის საკითხი, რომ წავიდეს დამსახურებული მოღვაწის სახელით და დაენიშნოს მესიის მიერ გადაწყვეტილი პენსიის რაოდენობა. ... მის ნაცვლად უკვე მესია ირჩევს ახალ მესიის წევრს ხმის ორი მესამედი გადაწყვეტილებით. და სხვა მრავალი საკითხები, რომლის მიმართ თვით მესიის სხდომაზე მიღებული უნდა იქნეს სამუშაო და სამოქმედო წესდება, რომელიც სავალდებულოა მესიის მუშაობისთვის. წესდებას, პროგრამას, სამუშაო გეგმას. ... შექმნის მესია და მიიღებენ მესიის სხდომაზე ხმის დიდი უმრავლესობით.

საქართველოს მმართვის ახალი სისტემა დამუშავებული აქვს პარტია „სამშობლოს" და მისი სახელმწიფოს სამმართველო სისტემაში არჩევის შემდეგ ყოველივე ზემოთთქმულს განახორციელებს საქართველოს მოსახლეობის მომავალ ცხოვრებაში. ...

თითქმის ყველაფერი მზადაა და ველოდებით მოსახლეობის გამოფხიზლებას რომ წარუდგინოთ ყველა საჭირო ცოდნა, რომელიც აუცილებლობითაა გამოწვეული; მოუთმენლად ელის მას მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რომ დაადგეს საშველი ჩვენს ტანჯულ ცხოვრებას და შევცვალოთ ის ახალი, უმჯობესი, ღვთიუ-

რი ცოდნით გაბრწყინებული, ბედნიერი ცხოვრებით, რომელსაც მოვესწრებით, ვისაც ამის სურვილი აქვთ და სათანადოდ იმოქმედებენ დარჩენილ ცხოვრებაში. ...

***სახარება იოანესი:*** 6-15. ხოლო იესომ გაიგო, რომ აპირებდნენ მოსვლას და მის გატაცებას, რათა გაამეფონ იგი, და ხელახლა განმარტოვდა მთაზე. ...

38. ვინაიდან იმისთვის როდი ჩამოვედი ზეცით, რომ აღვასრულო ჩემი ნება, არამედ ნება ჩემი მომავლინებლისა.

39. ხოლო ჩემი მომავლინებლის ნება ისაა, რომ, რაც მომცა, არაფერი დავღუპო, არამედ ყველაფერი აღვადგინო უკანასკნელ დღეს.

40. ჩემი მომავლინებლის ნება ისაა, რომ ყველას, ვინც ხედავს ძეს და სწამს იგი, ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე, და მე აღვადგენ უკანასკნელ დღეს. ...

***სახარება მათესი***: 7-12. როგორც თქვენ გსურთ მოგექცნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექეცით მათ, ვინაიდან ესაა რჯული და წინასწარმეტყველნი. ...

მთელი ცხოვრება მომწონდა სამართალი და სიმართლე, რადგან ვინც მიცნობს დამიმოწმებენ, რომ მიყვარს სწავლა, შრომა, უფალი ღმერთი და მოყვასი. ასეთი კაცი კი თავისი ცხოვრებით ბედნიერია წუთისოფელში.

ყოველივე ამის შედეგად უფალმა ღმერთმა დამაჯილდოვა ღვთიური ცოდნით, რაც ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა. უფალ ღმერთს, ღმერთების ღმერთს, საქართველოს ღმერთს ყოველივე ამის მონიჭებისთვის უდიდესი მადლობა; დიდება და აღიარება არ მოაკლდება ჩემგან მარადცოცხალ, მარადშემოქმედ ჩვენს ღმერთს; ერთადერთსა და ყოვლის შემოქმედს, სამყაროში მოძრაობათა მომწესრიგებელს.

გთხოვთ ყველას, ვინც გაიზიარებთ ღვთიურ ცოდნას, ეცადეთ შესაძლებლობის მიხედვით გააცნოთ ის თქვენს ნაცნობებს და უცნობებსაც, რომ ჯერ კიდევ რჩება მცირე-ოდენი დრო ვიზრუნოთ საკუთარი თავის, ოჯახის, სამშობლოს, მოყვასის გადარჩენაზე ჩვენივე მოქმედებით, უკვე დაგვიანებულნივართ, მაგრამ უფალი ღმერთი დიდ-სულოვანია, მრავალჯერად მიმტევებელი და თუ ჩვენც მოვინდომებთ, უსათუოდ გადავრჩებით.

ამის შემდეგ, ვინც გადავრჩებით, მოდის საქართველოს ცხოვრების ოქროს ხანა, რომელიც ჰქონდა ოთხიათასი წლის წინათ ჩვენს წინაპრებს და ძალით, მოტყუილებით, აფერისტობით წაართვეს ელინელებმა, და ამ ყოველივეს უწოდეს „კოლხეთიდან ოქროს საწმისის წაღება“. დადგა დრო დავიბრუნოთ ერთდროს წართმეული „ოქროს საწმისი“.

უფალი ღმერთი ჰფარავდეს სრულიად საქართველოს, კაცობრიობას და ყოველ მორწმუნე ადამიანებს. ამინ!

*ოქტომბერი, 2011 წ.*

# ო მ ა რ   ც ხ ვ ა რ ა ძ ე

# ოსკარი

/ცოდნა, რომლის შესახებ დუმდნენ საუკუნენი/

# O M A R   T S K H V A R A D Z E

# O S K A R I

**/mystery which has been kept secret for long ages past/**


გამომცემლობის რედაქტორი
**მამა დიმიტრი (ლევან ჩოხელი, პოეტი)**

მხატვარი
**პროფ. ნიკო ხერკელაძე**

მხატვრული რედაქტორი
**პროფ. გიორგი ლარიაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი
**მარი ეგნატაშვილი**

კორექტორი
**ნანა ლუტიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**ვერონიკა არუთინიანი**

ტირაჟი 100 ეგზემპლარი
ფასი სახელშეკრულებო
თბილისი 2013 წ.



**ომარ შალვას ძე ცხვარაძე** დაიბადა 1943 წლის 30 დეკემბერს ვანის რაიონის დაბა ვანში.

1951 წელს შევიდა ვანის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1961 წელს, ხოლო 1962 წელს სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1967 წელს.

1974 წელს ჩაირიცხა საკავშირო ცეკას უმაღლეს პარტიულ სკოლის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1980 წელს.

1990 წლიდან მუშაობს საქართველოს საპატრიარქოს მიერ 1989 წელს გამოცემულ წიგნი „ბიბლია“ შესწავლაზე. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე შრომა – ისტორიულ-ფილოლოგიურ და რელიგიურ თემებზე.

1998 წლიდან პარტია „სამშობლოს“ თავმჯდომარეა, სადაც მუშაობს ამჟამადაც.

2013 წელს არჩეული იქნა საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად. ჰყავს მეუღლე, ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.